

769  
1970



რუსთაველის სახელობის სამართველოს სახელმწიფო  
თეატრალური ინსტიტუტი

# თეატრალური ინსტიტუტი

(სამეცნიერო შრომების კრებული)

გომი II

160

# ତମାତିରୁଳ୍ଲାଶରୀ ପୁରୁଷ

(ସାମ୍ରାଜ୍ୟରେ ଶରୀରରେ କରୁଥିଲା)

୪୩୯ II

୧୯୦୦୯

ମୁଦ୍ରଣ ବିଧି — 1970 ଫେବୃରୀ



792+792(c41)  
792+792 (17.924)  
≈ 391



რედაქტორი ილია თავაძე  
ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი

სარედაქციო კოლეგია: შ. გოგიძე, ე. გუგუშვილი  
(ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი), **ა. თავშარაშვილი**, შ. მა-  
ჭავარიანი (ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი), ბ. ნიკოლაიშვილი  
(ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი), დ. ჯანელიძე (ხელოვნებათ-  
მცოდნეობის დოქტორი).

შ. რუსთაველის სახელობის საქართველოს სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის შრომები, ტ. II

თეატრის ისტორიის კათედრა

ღიგიტრი ჯანელიძე

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი

უფლისციის არქოლოგიური გათხრების დროს  
აღმოჩენილი ნიღბოსაცი მიზანის ჩანდაკვაბის  
გეიზენელობა ძველი ქართული თეატრის  
ისტორიისათვის

უძველეს ცნობებს ქართველ ტომთა სახახობრივ კულტურის შესახებ ჩვენ ვპოულობთ ძვ. წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულის შუახანისათვის.

როგორც უკვე ახლა გარკვეულია ხეთებისა და მითანის, — ამ ერთ დროს უძლიერესი სახელმწიფოების, — განადგურების შემდეგ (ძვ. წ. XIII ს.) მცირე აზიაში მრავალი ტომი შეიქრა. ძვ. წ. XII საუკუნეში მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილში დამკვიდრდნენ სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მოსული ქართველი ტომები შუშქები, ტაბალები — მერმინდელი მესხებისა და ტიბარენების ერთი ნაწილი. ეს ქართველი ტომები დიდად დაწინაურდნენ, დაქარდა მათი სოციალური და კულტურული განვითარება, რასაც დიდად შეუწყო ხელი მათმა დახელოვნებამ რკინის მეტალურგიის დარგში. ძვ. წ. VII საუკუნეში, მუშქებმა და ტაბალებმა ჩამოაყალიბეს თავიანთი სამეფოები. მუშქების სამეფო VII ს. დასასრულს და VII საუკუნის დასაწყისში (ძვ. წ.), — მითას მეფობის დროს, — გადაიქცა მცირე აზიის უძლიერეს სახელმწიფოდ (გ. მელიქიშვილი, კისტორии древней Грузии, Тбилиси, 1959, стр. 226).

ტაბალებმა და მუშქებმა ძველ სამყაროში სახელი გაითქვეს ლითონის დამუშავებასთან ერთად თავიანთი ხელოვნებითაც, რასაც მოწმობებ ძველი ებრაული და ბერძნული წყაროები. ხალხთა შესახებ უძველესი ცნობების შემცველ „დაბალებაში“ ტაბალები (თაბალები) მოხსენებული არიან: იაბალებად, იუბალებად და თუბლებად. თო-



ბელის ან თუბალ-კაინის შესახებ ნათქვამია: „ესე იყო კვეშალი რომ, მშედელი რვალისა და რკინისა“. იუბალის შესახებ ნათქვამია: „ესე იყო გამომაჩინებელ საფსალმუნისა და ებნისა“ («Он был отец всех играющих на гуслих и свирели». — „დაბადება“, ნაწ. I, თბილისი, 1884, მესაქმეთა წიგნი, 4, 21—22. Священия книги ветхого завета в переводе с еврейского текста. Берлин, 1913, 4, 21—22).

ბერძნება ისტორიკოსს ეფორეს (ძვ. წ. IV ს.) ტაბალ-ტიბარენის შესახებ შემდეგი ცნობა აქვს დაცული: „ტიბარენები გატაცებული არიან თამაშით (ცეკვით) და სიცილით და ამას თვლიან უდიდეს ბედნიერებად“ (ბიზანტიური მწერლების ცხობები საქართველოს შესახებ, ს. კაუხ ჩიშვილის თარგმანით და განმარტებით. ტფილისი, 1936, ტ. III, გვ. 285). აკად. ს. ჯანაშია ეხებოდა რა „შესაქმეთა წიგნის“, ავტორის ცნობას იუბალის შესახებ, წერდა: „უძველესი სამყაროს თვალში, განათლებულ ებრაელთა მოწმობით, ქართველ ტომთა ხელოვნება, კერძოდ მუსიკა, უმაღლეს საფეხურზე იყო ასული“ (შრომები. თბილისი, 1959, ტ. III, გვ. 73).

ბერძნებს თავიანთ მითებში ფრიგიელ მარსიუსის და ფრიგიული წარმოშობის ოლიმპოსთან ერთად მრავალეროვანი სალამურის (პანის ფლეიტის) გამომგონებლად და გამავრცელებლად შითიური და თანაც ისტორიულად ცნობილი ფრიგიის მეფე მიდასი ჰყავთ მიჩნეული. ბერძნების მიერ ფრიგიის მეფედ მიჩნეულ მიდასს ასურელები იცნობდნენ მუშების მეფე მითად. უცხოელი მეცნიერების ვინკლერის, სეიისის, ლემან ჰაუსტის და სხვ. მიერ ბერძნებისათვის ფრიგიელ მიდასის სახელით ცნობილი მეფე მუშების (მესახების) მეფე მითად მიჩნეული (К. Леман-Хаунт. Вступительная лекция по истории и культуре хальдов. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 1937, ტ. 6, გვ. 261).

ხორსაღაბადის დიდ წარწერიდან ჩანს, რომ შარტო ერთს შუსკების მეფე მითას სამი ქვეყანა ჰქონია სამფლობელოდ. ამ მითას ბერძენი მწერლები ფრიგიის მეფე მიდასს ეძახდნენ, ხოლო ეს გარემოება ამტკიცებს, რომ ერთ დროს ფრიგიის მიწა-წყალიც მუსკებს უნდა ჰკუთვნებოდათ (ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. წიგნი პირველი და მეორე. თბილისი, 1913, გვ. 37—38). იმ ფაქტს, რომ მითას სამეფოს ასურელები „მუშების სამეფოს უწოდებენ, ხოლო ბერძენი „ფრიგიელთა სამეფოს“ გ. მელიქი შვილი შემდეგნაირად ხსნის: მუშები აღბათ შეაღგენდნენ ამ სამეფოს ერთ-ერთ ნაწილს, რომლის მეფეები ფლობდნენ უზარმა-

ზორ მიწა-წყალს არა მარტო აღმოსავლეთ, არამედ მცირე აზიანული ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილშიც, მათ შორის ანტიკური წყაროებით მოხსენებულ ფრიგიასაც. მეზობლები აღმოსავლეთის პერიოდის ასურეთელები და ურარტულები უწოდებდნენ ამ სახელ-მწიფოს „მუშქების სამეფოს“, რადგან მათ მეზობლად სწორედ ამ სახელმწიფოს მცხოვრებთაგან მუშქები მოხალეობდნენ. ბერძნები ამ სახელმწიფოს „ფრიგიის სამეფოს“ უწოდებდნენ, რადგან მათთან ყველაზე ახლობელი ნაწილი ამ სამეფოისა ფრიგია იყო (Г. Меликишвили, К истории древней Грузии, Тбилиси, 1959, стр. 226).

ფრიგიელ მიდასის სახელით ცნობილ მუშქების (ძესხების) შეფე მითას შესახებ ძვ. წ. IV საუკუნის ბერძენ პოეტ თელე სტე<sup>1</sup> ნათვამი აქვს: „შესანიშნავად მხმობელი მრავალლეროვან სალმრთო სალამურებს შეფე ფრიგიელმა შეუწყო დორიული მუშის შეტრქე ლიდიური ნომი და გარს შემოარტყა მრავალლეროვანი ლერწამი მსუბუქფრთიანი სუნთქვის ჩაბერვით“ (ვ. სტე შე ნკო-კუ ფტინა, პანის სალამური, თბილისი, 1936, გვ. 61). ბერძნული ლეგენდის მიხედვით აპოლონის კითარის და მარსიუსის მრავალლეროვანი სალამურის შეჯიბრებაში მსაჭულად მუშქების შეფე მითა ყოფილა. ამ მუსიკოს-მეფეს უპირატესობა მრავალლეროვან სალამურისათვის მიუნიჭებია. ვ. სტე შე ნკო-კუ ფტინას აზრით, ამ მითოლოგიურ შემთხვევაში სიმბოლიზირებულია მცირე-აზიურ მრავალლეროვან სალამურზე დაკვრის ოსტატობის დაპირისპირება და ოპოზიცია ბერძნული კითარის ხელოვნების წინააღმდეგ, მაგრამ აქვე უნდა შეგნიშნოთ, რომ ძველი ებრაული ლიტერატურული ძეგლების მოწმობით ქართველთა ტომებს მიეწერებოდათ სიმებიან საკრავებზე შემსრულებლობაშიც დიდად დახელოვნება („იყო გამომაჩინებელ საფსალმუნისა და ებნისა“). საფსალმუნეცა და ებანიც, როგორც ეს გარკვეული აქვს ივ. ჯავახიშვილს, სიმებიანი საკრავები იყო (ივ. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები. თბილისი, 1938, გვ. 135—139).

ქართველ ტომთა (ტაბლები — ტაბარენების, მუშქების — მესხების) მუსიკალურ-სანახაობრივი ხელოვნება, ეტყობა, უმაღლეს საფეხურს აღწევდა. იგი გამოყენებული ყოფილა, როგორც სატაძრო და მეფის სასახლის კარის დღესასწაულებზე, ასევე სახალხო-სანახაობრივ შეჯიბრებებშიც. განათლებული ებრაელებისა და ბერძნების მოწმობით ქართველთა ტომები საკრავები მუსიკის გარკვეულ დარგების (სიმებიანი და ჩასაბერი საკრავების) გამომგონებლად არიან აღიარებული. ბერძნული წყაროები ახასიათებენ ტიბა-

რენებს, როგორც თამაშობა-ცეკვის დიდად შოუვარულ რომელსაც იგი თავის უდიდეს ბეღნიერებად, კეთილდღეობაზე და ნეტარებად მიაჩნდა. მუშების სახელმწიფოში ეჭყობოდა დიდი სანახაობრივი-მუსიკალური შეჯიბრებები. თვით მუშების მეფე მითა ითვლებოდა მრავალდღეროვან სალამურების გამომგონებლად და განვირცელებლად, მასზე დაკვრის ხელოვნების ქომაგად და მსაჭად. ასეთი მითოლოგიური გადმოცემები იმის ახარეკლი უნდა იყოს, თუ რაოდ ენ დიდი საკულტო-სახელმწიფო ბრივი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა მინიჭებული ქართველ ტომთა მცირეაზიურ გაერთიანება-სამეფო ფონებში სანახაობრივ-მუსიკალურ ხელოვნებას.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოს მიწა-წყალზე მცხოვრებ ქართველ ტომთა გაერთიანებისათვის?

მცირეაზიულ მუშების სამეფოს დაცემის შემდეგ, მუშების (მესხების) ნაწილმა, ეტყობა, ასიმილაცია განიცადა, ხოლო ნაწილი თავის ქვეყნიდან გამოდევნილ იქნა. მათ ეტყობა ჩრდილოეთ აღმოსავლეთ მხრით შეაღწიეს და დასახლდნენ ისტორიულ საქართველოს ტერიტორიაზე. შემდეგ მესხებმა კიდევ უფრო ჩრდილოეთისკენ იწყეს მოძრაობა, ისინი ჩნდებიან აღმოსავლურ ქართულ სამეფოში — ქართლში (იბერიაში), რის მოწმობასაც შეიცავს თვით ამ სამეფოს დედაქალაქის სახელწოდება „მცხეთა“, რაც, როგორც ვარაუდობენ, წარმოშობილია მესხების ტომობრივ სახელწოდებიდან (მცხეთა — სა-მცხე). რომ ეს მესხები ნამდვილად შეადგენდნენ იმ მცირეაზიულ მუშების ნაწილს, ამას ამტკიცებს ქართლის (იბერიის) სამეფოში მცირეაზიულ-ხეთური ელემენტები. ძველი ქართლის სამეფოს წარმართული პანთეონის სათავეში იყო მთვარის ღვთაება არმაზი, ერთ-ერთი მთავარი ღვთაება იყო ზადენი. „არმას“ ხეთური-სახელწოდებაა მთვარისა და ღვთაება შთვარესი, ხოლო „ზადენში“ მეცნიერები ხედავენ მცირეაზიული ღვთაება „სანდონს“ (სანტაში). ისე, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ქართლის საძეფოს შექმნასა და მის კულტურულ ცხოვრებაში, ეტყობა, დიდი როლი უთამაშნია მცირეაზიულ-ხეთური ტრადიციების მატარებელ მუშებს-მესხებს (Г. Меликишвили, К истории древней Грузии, стр. 229).

რომ წარმოვიდგინოთ თუ როგორი იყო ეს ტრადიცია, უნდა გავითვალისწინოთ წინა აზის ხალხთა თეატრალური ტრადიცია. ეგვიპტელები ძველი სამეფოს ხანაში (ე. ი. ძვ. წ. 30—25 საუკუნეებში) უკვე წარმოადგენდნენ მითების სიუჟეტებზე აგებულ წარ-



მოდგენებს — მისტერიებს. შუა სამეფოს ხანაში (20 საუკუნით ადრეილური სამეფო მეფის წელთაღრიცხვიდე), რელიგიური მისტერიები წარიშპართნენ მეფის (ფარაონის) სადიდებლად, მისი ავტორიტეტის განსაზტკიცებლად. ჰეროდოტე (ძვ. წ. V საუკ. ისტორიკოსი) ძველ ეგვიპტურ სანახაობებს აღარებდა ძვ. ბერძნულ დიონისეს მისტერიებს და მიღიოდა იმ დასკვნამდე, რომ ბერძნებმა ეგვიპტელები-საგან გადაიღეს მათი დღეობები და ჩვეულებანი (II, 48—58); (M. Коростовцев, B. Соловьев, Египетский театр и драматургия, ТЭ, II, №. 628—629). თუ ამაზე ადრე არა ეგვიპტელებს ძვ. წ. XVI საუკუნიდან მაინც გაჩნდათ საერთო თეატრი პროფესიული მსახიობებით, ამას მოწმობს ემხებას სტელა ედფუდან, რომელიც მიეკუთვნება XVIII დინასტიის დასაწყის ხანას (ძვ. წ. XVI საუკ.); ამ სტელიდან ჩანს, რომ ემბეჭი იყო შოეტიალე მსახიობი და მუსიკოსი. ამ დროიდან უკვე არსებობდა მსახიობის პროფესია (იქვე, გვ. 630).

ჩემს საკანდიდატო დისერტაციაში („ქართული თეატრის ხალხური საწყისები“) ვეცადე ნათელმეყო, რომ წინააზიური სანახაობრივი ხელოვნების გამოძახილი ჩანს ძველ ქართულ სანახაობრივ კულტურაში. მუშკებმა ხომ ხეთებისაგან მემკვიდრეობად მიღეს, შეითვისეს და განვითარეს მათი შემოქმედებითი მონაცოვარი. ხეთების ქვეყანაში დრამატული განსახიერების განვითარებას (მისტერიებიდან საერთო ხასიათის დრამატულ წარმოდგენამდე) უნდა გამოეწვია ღრმა ცვლილებები სანახაობრივ კულტურაში. სწორედ ამის აღმნიშვნელი უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ხეთების ქვეყნის — მარაშის მეფე თავის ტიტულატურაში შოიხესნიებს შოცეკვავეთათვის ამაღლებული ადგილის შექმნას. წინა აზიაში სანახაობრივი კულტურის განსახიერება იმ დონეზე ასულა, რომ ქურუმებს გილგამეშის ეპოსის დრამატული განსახიერება დაუწყიათ (ჯანელიძე დ. ქართული თეატრის ხალხური საწყისები, თბილისი, 1948, გვ. 5—16).

უკველივე ამის შემდეგ შემთხვევითად არ უხდა ჩანდეს, რომ უფლისციხეში, სადაც ანტიკური ხანის უძველესი თეატრალური ნაგებობა არის შემონახული, აღმოჩნდა ნიღბოსანი შეჩანგის ქანდაკება, — თავისებური პარალელი სტეფანწმინდაში, გასული საუკუნის 70-იან წლებში, ნაპოვნი განძილან შოცეკვავე-მუსიკოს-მომღერლის ქანდაკებისა. ორთვე ქანდაკი ძვ. წ. VII—VI საუკუნეებით თარიღდება. ძველი სამყაროს მუსიკალური კულტურის შევლევარი პროფ. რ. გრიგ ბერი ქართული კულტურის საწყისებში პოულობს ძვ. აღმოსავლეთის კულტურული მემკვიდრეობის გამაგრძელებელ



ხაზს («История музыкальной культуры», М.-Л. 1941, т. I, стр. 164). ნიღბოსანი მეჩანგის ქანდაკების აღმოჩენა ქართულ-იბერიული კულტურის უძველეს ცენტრში უფლისციხეში იმის მანიშნებელია, რომ ქართული მუსიკალური და სანახაობრივი კულტურის საწყისების ახსნისას მეტად ფრთხილი უნდა ვიყოთ და არ უნდა გაგვიტაცოს იოლმა დასკვნებმა, რაც ბერძნულ-რომაული კულტურიდან ნასესხობის გაბატონებული თეორიით შეიძლება მივიღოთ.

ჩვენთვის საინტერესო ნიღბოსანი მეჩანგის ქანდაკება აღმოჩნდა ბამბების ნამოსახლარის გათხრებისას, რაც 1958 წლიდან დაიწყო. ბამბები მდებარეობს უფლისციხის კლდეში ნაკვეთი ნაქალაქარის დასავლეთით 0,5 კმ. სოფ. უფლისციხის ქ. გორთან დამაკავშირებელ გზასა და მდინარე მტკვარს შორის. ბამბებში დაღსტურდა, რომ არსებობს ძვ. წ. V—IV საუკუნეების სამაროვანი და მომდევნო პერიოდის ნამოსახლარი. ამ ნამოსახლარის ერთ-ერთი ნაგებობის თიხატკეპნილ იატაკის ქვეშ 1961 წ. აღმოჩნდა ნიღბოსანი მეჩანგის თიხის პატარა ფიგურა.

ეს ძეგლი პირველად გამოაქვეყნა არქეოლოგშა დავით ხაჭუტაშვილმა თავის მონოგრაფიულ ნარკვევში: „უფლისციხე, 1957—1963 წწ. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები“, წ. 1, თბილისი, 1964 გვ. 73—75 და ტაბ. XLIII, 2; სურ. 5).

დავით ხაჭუტაშვილი ამ ქანდაკების იღწერილობის დასასრულს შენიშნავს: „სპეციალურ ლიტერატურაში მსგავს ქანდაკებებს არა ერთხელ მიექცა ყურადღება... წინაანტიკური და ანტიკური ხანის ქანდაკებებს და ნიღბებს, ქართული თეატრის ისტორიასთან დაკავშირებით სპეციალურად შეეხო ქართველი ხელოვნებათმცოდნე დ. ჯანელიძე. ჩვენი ქანდაკების შესწავლასთან დაკავშირებით, როგორც ჩანს, შეიძლებოდა არა ერთი საყურადღებო საკითხი დასმულიყო, მაგრამ, ვფიქრობ, მათზე მსჯელობა სათანადო დარგის სპეციალისტებისათვის უფრო „შესაფერი იქნება“ (იქვე, გვ. 75). დავით ხაჭუტაშვილი ეხება რა უფლისციხის მახლობლად ბამბებში იღმოჩენილ ქანდაკებას, შემდეგ მოსაზრებას გამოთქვამს „იგი (ქანდაკება ნიღბოსანი მეჩანგისა — დ. ჯ.) ძვ. წ. VII—VI საუკუნეს მიეკუთვნება და ამ ხანის ქართლის (იბერიის) სახვითი ხელოვნების ერთ-ერთი საყურადღებო ძეგლია. მაგრამ მისი მნიშვნელობა მარტო ამით არ ამოიწურება, რადგან იგი გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს ქართული სიმებიანი საკრავების, მუსიკალურ კულტურისა და აქტიორული ხელოვნების მდგომარეობაზე (გვ. 74).

დ. ხახუტაიშვილსაც რომ არ გამოვეწვიეთ, ეს ძეგლი არ შეიძლო განვითაროს განვითაროს  
 ლება ძველი ქართული თეატრის ისტორიის მქონევარის ყურადღებას არ იძყრობდეს. პირველ ყოვლისა იმით, რომ მეჩანგვე წარმოდგენილია როგორც ნიღბოსანი და ამნაირად თრიალეთის ვერცხლის სასმისზე გამოხატული მისტერიული ქმედობა ნიღბოსან მრგვალის გომვლელთა (ანუ მეფერხულეთა) შესრულებით და სოფ. მელაანის მახლობლად მელი-ლელეში აღმოჩენილი ცხვრის ნიღბოსან შიშველ მოცეკვავე ქალთა ქანდაკებანი, რომლებიც, აგრეთვე მეორე ათასწლეულის შუა ხანით თარიღდება (კ. ფიცხელაური, ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები, გაზ. „კომუნისტი“, 1967, № 34; გაზ. „თბილისი“, 1966, № 302) გამოხახილს პოლონენ VII—VI სს. იძერულ-ქართულ ქანდაკებაში, რაც იმას ნიშნავს რომ მეორე ათასწლეულის შუა ხანიდან შოკოლებული გარდასახვის კულტურა მთელი ათასი წლის მანძილზე ვითარდება. ეს განვითარება იშით არის მნიშვნელოვანი, რომ ნიღბოსანთა ხელოვნება მითოლოგიურ ცხოველის სახოვან არსებათა წარმოსახვიდან მუსიკის დამკვრელი არსების გამოხატვამდე არის ამაღლებული.

რომ ნათლად გავერკვეთ უფლისციხეში აღმოჩენილი ნიღბოსანი მეჩანგის ქანდაკება თუ რას გამოსახავს, თეატრალურ-მუსიკალური კულტურის განვითარების რა დონეს გამოხატავს, ისევ გავიხსენოთ თუ როგორი იყო სანახაობრივ-მუსიკალური კულტურა და როგორი ხასიათი ჰქონდა მის გამოყენებას წინააზიურ სამყაროში. ვ. გალპინს თავის შრომაში სუბარეთის, ბაბილონისა და ასურეთის მუსიკის შესხებ (The music of the sumerians and their immediate successors bablylonius a assiryans, Cambridge at the university Press, 1937) გამორკვეული აქვს: ა) მუსიკის განვითარების ცენტრს წარმოადგენდა ღვთისმსახურება — ღვთის თაყვანისმცემლობა, მუსიკა ღვთისმსახურების ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენდა; მუსიკა დაკავშირებული იყო ტაძრის რიტუალებთან და ცერემონიებთან (გვ. 51).

ბ) ამასთანავე მუსიკას მნიშვნელოვნი როლი ეკუთნებოდა წინააზიის მეფეთა სასახლის კარის გარიგებით. მუსიკოსებს იშვევდნენ სასახლის კარის ზეიმებზე (გვ. 52);

გ) მუსიკოს-მომღერლები დაკავშირებული იყვნენ შიცვალებულის კულტთან, მეფსალმუნეები და მედოლეები მონაწილეობდნენ

დაკრძალვაში თავიანთი საგოდებელი მუსიკითა და მასზე ბული მოთქმით (გვ. 53);

დ) მეებნე (პეჩანგე), მეფსალმუნე — სიბრძნის განსახიერებად იყო მიჩნეული. გალა (მეებნე, მეჩანგე, მეფსალმუნე) უნდა ყოფილიყო ღრმად და ფართოდ განათლებული; ასურელი მწერალი გალას სახავს სიბრძნედ (გვ. 54)!

ე) საინტერესოა, რომ ორფესვის წინამორბედი სახიერება მომღერალ-მუსიკისისა, რომლის ხელვნება გარეულ ცხოველთა მომთვინიერებელია, უკვე შექმნილი ჰქონდათ წინააზიურ ხალხებს (გვ. 51).

რაც ჩვენი თემისათვის ყველაზედ მეტად სინტერესოა, ეს არის ტრადიცია ნიღბოსან მუსიკოსის მსახიობობისა. გალპინი აღნიშნავს: წინააზიურ ხალხთა მუსიკალურ პრაქტიკაში „ცხოველთა გამომსახველ დამკვრელთა ორკესტრი დაკავშირებული იყო თაყვანისცემის რიტუალის ცერემონიასთან — ეწყობოდა წარმოდგენები შენილბული ადამიანებით, რომლებიც განასახიერებდნენ ცხოველებს და ფრინველებს (გვ. 57). კაცი, რომელსაც ახურავს ჩიტის ნიღაბი, ხელში უჭირავს მშვილდის ფორმის ჩანგი აკომპანიმენტს უწევს სოლო პარტიის მომღერალს. ფილა, რომლიდანაც ეს სურათია გადმოლებული, თარიღდება ძვ. წ. III საუკუნით. იგი უკავშირდება დედალვთაების სიმბოლიურ გამოსახულებას ახალი წლისა და ბუნების გამოცოცხლების დღესასწაულებში (იქვე).

„ქართული თეატრის ხალხურ საწყისებში“ ვეცადე, ხალხურ ზღაპრებსა და თქმულება-ლეგენდებში დაცულ მითოლოგიურ მონაცემთა საფუძველზე, გამეთვალისწინებია ქართველ ტომთა უძველესი შეხედულებანი სიმებიან საკრავებსა და მათ დამკვრელ-მომღერლებზე (გვ. 78—84).

ხევსურთა უძველესი რწმენით ოქროს ჩონგური დაკავშირებულია განაყოფიერებისა და შვილიერების მფარველი ღვთაების (ხახმატის ჭვარი) ვეღრებასთან (გ. ოევდორაძე, ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში. თბილისი, 1939 წ., წიგნი 2, გვ. 23—25). იბერიაში, რომლის წარმართულ პანთეონში წინააზიური წარმომავლობის ღვთაებანი შედიოდნენ (არმაზი, ზადენი), არმაზის ღვთის-

<sup>1</sup> ასეთივე შეხედულებისაა ტველი ებრაული მწერლობა: „მოუძიოთ უფალსა ჩუენსა კაცი მეცნიერი ებნითა გალობით“ (მეცეთა 1, 16, 26). გალა-მგალობელზე, რომელიც უმცროს ქურუმთა წრეს ეკუთვნოდა, წინააზის ხალხებს ანდაზებიც ჰქონდათ გამოთქმული: დაწუნებული მგალობელი მესაყვარელ ხდება“ (И. Дьяконов, Общественные отношения в шумерском и вавилонском фольклоре. ВДИ, 1966, № 1, стр. 23).

მსახურებაში ეწყობოდა მისტერია-წარმოდგენა, ნიღბოსნების ფართვაზე  
და მეჩანგე-მენესტევებისა „განცხომაში... როვეთა ფერხისათვა-  
სახიობითა და ძნობითა“ (ვახუშტი, ზნენი და ჩვეულებანი სა-  
ქართველოსანი. იხ. „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, თ. ღო-  
მოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი 1941, გვ. 18—19). ღომის მრავალ აღწერით, არმაზის დღეობა-მისტერიაში „გამოვიდა მირიან მეფე საზარელითა და  
თუალშეუდგამითა ხილვითა“ („ქართლის ცხოვრება“, ს. ყაუხი-  
შვილის რედაქციით, ტ. 1, გვ. 88). ეს ფრაზა შეიძლება ისე გა-  
ვიგოთ, რომ თვით მეფე ამ დღესასწაულში არმაზ ღვთაების ნიღ-  
ბოსნად გამოდიოდა და ქრისტიან ავტორისათვის ამ შემთხვევაში  
მეფე მიჩნეული უნდა ყოფილყო „საზარლითა და თუალ შეუდგა-  
მითა ხილვითა“, ე. ი. მეფე თვით მონაწილეობდა შენიღბული არ-  
მაზ ღვთაების სადიდებელ მისტერიაში. მეფე ისეთ სანახაობას  
წარმოადგენდა, რომ განცვიფრებული ნინო კითხულობს „რა არს  
ეს?“ — და ამაზე პასუხობენ: „ღმერთი ღმერთთა არმაზ მიუწესს“,  
ე. ი. თვით მთავარი ღვთაებისაგან არის ასე დაწესებულიო, თანაც  
მეფის „ღვთის სახით გამოჩენას თან ახლავს „ზარი“, „ქმანი ნესტე-  
სანი“. ეს ადგილი არსენ ბერს ასე აქვს გაღმოცემული: „და შეძლ-  
გომად მისსა გამოვიდა მეფე მირიან და იქმნეს ქმანი ებნებისა და  
ნესტუებისანი“ (ს. ყუბანენიშვილი, ძვ. ქართული ლიტერატუ-  
რის ქრესტომათია, ტ. 1, თბილისი, 1946, გვ. 221). ამგვარად, ნიღ-  
ბოსანთა და მეჩანგეთა ხელოვნება ძველ საქართველოში, ხალხური  
გადმოცემებით, მითოლოგიურ წარმოდგენებითა და ისტორიული  
წყაროებითაც დაკავშირებული ყოფილა ღვთისმსახურებასთან.

ქართველ მეფეთა სასახლის კარზე მსახიობ-მუსიკოსების გა-  
მოსვლა ჩვეულებად იყო ქცეული და ეტყობა იგი ძველთაძველი  
ტრადიციით იყო შენარჩუნებული. იოანე რუფუსის გაღმო-  
ცემით მეცუთე საუკუნის საქართველოს „ბევრ წარჩინებულს. ამა  
ქვეყნისას, ამ უზრუნველებს და სიამუვნებათა მაძებართ, ჩვეულე-  
ბად ჰქონდათ მიეწვიათ თავისთან მაშრიბნი და მუტრიბნი<sup>1</sup>, ამა  
სოფლის ეს ნაძირალები (თუ არარაობანი — ს. ყ.), რათა ემლერათ  
სიამოვნების და წარმავალი განცხომის მოსაგვრელად“ („პეტრე  
იბერის... ცხოვრება“. გეორგია, ტ. 11 ტექსტები ქართული თარგ-  
მანითურთ გამოსცა და განმარტება დაურთო ს. ყაუხიშვილი

<sup>1</sup> ივ. ჭავახიშვილი თარგმნის: „ბევრ დიდებულებს დროს გასატარებლად  
მგოსან კაცთა და ქალთა სიმღერების მოსმენა ჩვეულებად აქვთ“. („ქართული  
მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები“, თბილისი, 1938, გვ. 228).

შ. ა. თბ., 1965, გვ. 252). ლეონტი მროველის ცნობით მეფეთა სახელის კარზე განცხრომა ეჭყობოდა ჩვ. წ. II საუკუნეში (დაწყებული დღი, ქართული თეატრის ისტორია, ტ. 1, გვ. 135—138), განცხრომა ძვ. ქართულით ეჭოდებოდა: ფერხულის სიმღერა-თამაშს; განცხრომას ნიღბოსანი მსახიობები ასრულებდნენ („...სიმღერით განცხრომელებრ შეიმოსოს პირი“, იქვე, გვ. 136), ტერმინი „სიმღერით განმცხრომელი“ აღნიშნავდა მსახიობს განცხრომა გულისა-შობდა მუსიკალურ საკრავებზე აყოლებით თამაშსა და როკვას („იმღერიან და განსცხრებიან ნესტუებითა და ქნარებითა“ (იქვე), „განსაცხრომელი ურწმუნოთა... წარმოხდეს მროვალნი როკვად და მახიობელნი... თრიატონისა შეიქმნა სახლი იგი სამეუფოდ (იქვე) „განცხრომა“ მიმოსთა წარმოდგენების აღმნიშვნელიც ყოფილა („მიმოსთა თანა განმცხრომელთა“, იქვე, გვ. 137).

საქართველოში სიმებიანი საკრავები, როგორც ეს ეთნოგრაფიული მასალებითა და მითოლოგიური გადმოცემებით ჩანს, მიცვალებულის კულტთანაც ყოფილა დაკავშირებული. თავდაპირველი ჩანგი უდროვოდ დაღუპული ვაჟკაცის ან მზეთუნახავის ხელისა და თმებისაგან გაქეთდა, უბედური მამისა და ბედშავი მზეთუნახავის ცრემლები ჩანგის სიმების მეოქებით მწუხარე ხებად ქცეულან. მოკლული ადამიანის სულის სახლში დაბრუნება, ზვავით გატანილი კაცის გვამის პოვნა მხოლოდ სიმებიანი საკრავის დაკვრით შეიძლება. ჭიანური მიცვალებულის სულის წინამდლოლი საკრავია (დ. ჯანელიძე, ქართული თეატრის ხალხური საწყისები, გვ. 78—84).

მეჩანგენი და მემგოსნენი ქართული „ბალავარიანის“ მოწმობით პანტომიმებს წარმოადგენდნენ: ქალი, მემგოსნენი და მეჩანგენი „მოსწრაფე იყვნეს აღსრულებად ბრძანებასა მეფისასა. და ოდესშე ეჩუენნიან სამოსელითა და სახითა მამაკაცობრივითა და ოდესმე საჭურველითა შეიმკვნიან და ვლენედ წინაშე მისსა და ოდესმე სახითა მონაღირეთადთა, ოდესმე ქნარითა და ნესტოთა და წინწილითა და თითო-პირითა სახიობითა შემკობილნი აწყინებედ, და ოდესმე ებრძვიედ და ზედა მიეჭრებიედ განშიშვლებულნი და ეტყვედ მრავალსა სიტყუასა აღძვრისასა“ („ბალავარიანი“, ილია აბულაძის გამოც., თბილისი, 1957, გვ. 124, დ. ჯანელიძე, ქართული თეატრის ისტორია, ტ. 1, გვ. 162—173). მემგოსნენი და მეჩანგენი უფლისწულს „წინა უროკვიდეს და სტკრითა და ჩანგებითა ქებასა შეასხმიდეს“ („ბალავარიანი“, გვ. გვ., 50, 124; დ. ჯანელიძე, ქართ. თეატრის ისტორია, გვ. 256). ჩანგით ქების შესხმა „რუსუდანიანი“-თაც არის დამოწმებული: „შეიქმნა ლხინი. მორთეს ჩანგისა ძალი და ათქმევდეს შაირთა ხელმწიფეთა ქებისასა და ზავის გამარ-



ჯვებისასა“ („რუსულანიანი“, ილია აბულაძის და ივ. გიგ მართლიანი ხეილის რედაქციით, თბილისი, 1957, გვ. 73).

ნიღბოსან-მეჩანგეთა ხელოვნების ტრადიცია საშუალო საუკუნეებშიაც შენარჩუნებული ჩანს. „რუსულანიანში“ ვკითხულობთ: მოთამაშეებს „რაღაც თეთრი დაფარებინათ პირზედა. წმიდა რამ იყო ასეთი, რომ ისინი უველას ხედევდნენ და ჩვენ ვერას ვხედევდით მათსა სახესა;... ოროლნი გამოვიდიან ერთრიგად, ითამაშიან, და კიდევ სხვა ორნი გამოვიდიან სხვარიგად. რამდენი გამოვიდა, სხვარიგად ითამაშეს, სხვარიგი საკრავი დაუკრეს და სხვა ხმა ოქვეს“ („რუსულანიანი“, გვ. 483). ისე, რომ თუ „რუსულანიანის“ ცნობას რეალური სინამდვილის ასახვად მივიჩნევთ, ნიღბოსანშე ჩან გეთა ხელოვნება მოყოლებული იდვ. წ. VI—VII სს-დან ელინისტური ხანის გამოვლით, შენარჩუნებული და განვითარებული ხან შემდეგ ხანაში და შემდეგ ხანაში და.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს. რომ თვით ქანდაკებაც თავის შეს-რულებითა და შინაარსით ხალხურია და გამომხატველია დაბალ სოციალურ ფენათა ხელოვნების, ე. ი. ხალხურ მოქანდაკეს გამოუქანდაკებია ხალხური სახიობის შემსრულებელი ნიღბოსანი მემღერ ე-მ გოსანი. თუ შევადარებთ ამ ნიღბოსან-მეჩანგეს ანტიკური ხანის ქართულ ძეგლებს: მსახიობის და მოცეკვავის გამოსახულებას, ვანის ნიღბოს, სუროსფოთლებით შემკულ მესახიეს გამომსახველ კამეიას, აშერა გახდება, რომ უფლისციხის ნიღბოსანი მეჩან გვეკრება და პროფესიული კულტურის მაღალ დონეზე გამომსახველ ქანდაკებებს და მეორე მხრივ, ხაზე გასმით ხალხურია, ამ არტისტული კულტურით აღმოჩენილ ძეგლებთან შედარებით. ნიღბოსანის-მეჩანგის გამოსახულება საჭესო დანიშნულების ამსახველი უნდა იყოს და ამდენად ხელოვნების განვითარების გარკვეულ დონეს წარმოგვიდგენს. უფლისციხის ნიღბოსანი მეჩანგე პარალელს პოულობს სტეფანწმინდის განძში აღმოჩენილ მეჩანგის ქანდაკებასთან და განირჩევა ამავე ხანის კოლხურ მონეტაზე გამოხატული ნიღბოსანისაგან — ეს ნიღბოსანი გამოხატულია ხელოვნების განვითარების უფრო მაღალი დონის შესაბამისად, — მაგრამ მასთან საერთო ქვეს: ერთიცა და მეორეც ნიღბოსანია. კოლხურ მონეტაზე უფრო ძველი ტრადიციაა — ცხოველის ნიღბოსანი, მაგრამ უფრო მაღალი არტისტულ კულტურით შესრულებული, უფლისციხის ქან-



დაკზე უფრო ახალი საფეხურია ნიღაბის საშუალებით გარემონტერი  
(აღამიანის მსგავსის წარმოსახვა), მაგრამ მხატვრული შესრულების  
უფრო დაბალი დონით.

აქვე არ შეიძლება არ გავიხსენოთ შემდეგი: უფლისციხესთან  
ყათნალიხევის ბორცვზე აღმოჩნდა ქანდაკი, რომელიც დ. ხახუ-  
ტა შვილის გამორკვევით, უნდა იყოს ქალღმერთის მზექალა. —  
ბარბარეს გამოხატულება.

არ შეიძლება ეს პორელიეფი არ შევადაროთ სვანეთის სოფ.  
მეცხვარიშის ეკლესიის კარზე გამოხატულ მეჩანგეს, რომელიც შე-  
საძლებელია ასევე ღვთაება იყოს, რაღან მათ ორთავეს შემოვლე-  
ბული აქვს ღვთაებრივობის შარავანდედის აღმიშვნელი ზოლი-  
არშია. თანაც მეცხვარიშის ქანდაკებას პირდაპირ უზის მზის გამო-  
სახულება — მაგრამ ეს საკითხი განსაკუთრებულ შესწავლას მოი-  
თხოვს.

ამისდა მიხედვით ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ უფლისციხის  
ნიღბოსან მეჩანგის ქანდაკება წარმოადგენს მისტერიული ქმე-  
დობის ასახვას, როდესაც მსახიობი ნიღაბში გამოხატავს მუსიკის  
და ხელოვნების მფარველი მზის ქართულ ღვთაებას. ხელოვნების  
მფარველი ღვთაება საგულისხმებელია ქართულ წარმართულ პან-  
თეონში. ამაზე მეტყველებს მითიურ „წიქარა“-ში დაცული მითების  
დანაშრევი და „ოქრომუსიკელ“ აპოლონის ტაძრის არსებობის ფა-  
ქტი კოლხთა სავაჭრო ცენტრში — ფაზისში. წინა აზიის ხალხთა  
წარმოდგენითაც მათ ღმერთებს არა მარტო უყვარდათ მუსიკა, არა-  
მეღ თვით მუსიკოსობდნენ. სახელმწიფო იერარქიაშიაც ღმერთე-  
ბის და მეფეების შემდგომი საფეხური მუსიკოსებს ეკავათ  
(Курт Закс, Музыкальная культура Вавилона и Ассирии,  
сб. Музыкальная культура древнего мира, стр. 103).

### დასკვნები:

1. არქეოლოგიური გათხრებით დღითი-დღე ივსება საქართვე-  
ლოს უძველესი სანახაობრივი კულტურის მასალები. ერთ-ერთ  
ასეთ საინტერესო მონაპოვარს წაროადგენს უფლისციხის ბამბებში  
აღმოჩნდილი ნიღბოსანი-მეჩანგის ქანდაკება, რომელიც თარიღდება  
ძვ. წელთაღრიცხვის VII—VI საუკუნით.

2. უძველესი სამყაროს თვალში, განათლებულ ებრაელებისა  
და პერძების მოწმობით, ქართველ ტომთა სანახაობრივ-მუსიკალუ-  
რი ხელოვნება დიდად განვითარებული ყოფილა.

3. უფლისციხეში აღმოჩენილი ნიღბოსანი-მეჩანგის ქანდაკება კართველი უნდა განვიხილოთ ევ. წ. XII საუკ. მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილში დამკვიდრებული ქართველი ტომების მუშქების-ტაბალების მერმინდელი მესხებისა და ტიბარენების კულტურული ვითარების შუქზე, ამასთანავე მხედველობაშია მისაღები, რომ მუშქების (მესხების) ნაწილმა თავის ქვეყნიდან გამოდევნის შემდეგ შეაღწიეს და დასახლდნენ ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე და საგულისხმოა, რომ თან მოიტანეს თავიანთი მუსიკალურ-სანახაობრივი კულტურის ტრადიცია.

4. განათლებული ებრაელებისა და ბერძნების ნაწერებში შემონახული მითოლოგიური გაღმოცემები იმის ანარეკლია, თუ რაოდენ დიდი საკულტო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა უნდა ჰქონდა მინიჭებული ქართველ ტომთა მცირე-აზიურ გაერთიანება-სამეფოებში სანახაობრივ-მუსიკალურ ხელოვნებას.

5. წინააზიური სანახაობრივი ხელოვნების გამოძახილი ჩანს ძველ ქართულ სანახაობრივ კულტურაში. მუშქებმა ხეთებისაგან მიიღეს, შეითვისეს და განავითარეს მათი შემოქმედებითი მონაპოვარი. ქართული სანახაობრივ-მუსიკალურ კულტურის საწყისებში ჩანს ძველი აღმოსავლეთის კულტურული მექანიზრების გამგრძელებელი ხაზი (პროფ. რ. გრუბერი).

6. ნიღბოსანი-მეჩანგის ქანდაკების აღმოჩენა ქართულ-იბერიული კულტურის უძველეს ცენტრში — უფლისციხეში იმის მანიშნებელია, რომ ქართული მუსიკალური და სანახაობრივი კულტურის საწყისების ახსნისას მეტად ფრთხილი უნდა ვიყოთ და არ უნდა გაგვიტაცოს იოლმა დასკვნებმა, რომელნიც ბერძნულ-რომაული კულტურიდან ნახესხობის გაბატონებული თეორიით წარიმართებიან.

7. უფლისციხის ნიღბოსანი-მეჩანგის ქანდაკების (ძვ. წ. VII—VI სს.) შეჯერება ორიალეთის ვერცხლის სასმისზე გამოსახულ ნიღბოსან-მეფერხულეთა მისტერიულ ქმედობასთან (ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანა და აგრეთვე, ამავე ხანის მელი-ღელის ნიღბოსან ქალთა ქანდაკებებთან) საფუძველს გვაძლევს ვითიქროთ, რომ ქართული გარდასახვის კულტურა, მეორე ათასწლეულის შუახანიდან მოყოლებული, მთელი ათასი წლის მანძილზე ვითარდება — მითოლოგიურ ცხოველსახოვან არსებათა წარმოსახვიდან მუსიკის დამკვრელი ადამიანის (ან ადამიანური სახის მქონე ღვთაების) გამხატვამდე.

8. ნიღბოსან-მეჩანგეთა ხელოვნება, მოყოლებული ძვ. წ.



XII—VI სს-დან, ელინისტური ხანის გამოვლით, შენარჩუნებული და განვითარებული ჩანს ისტორიული საქართველოს მიწა-წყალზე საშუალო საუკუნეებსა და შემდეგ ხანაშიაც.

9. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ უფლისციხის ნიღბოსანი მეჩანგის ქანდაკება წარმოადგენს მისტერიული ქმედობის ასახვას — ნიღბოსანი მსახიობ-მუსიკოსი გამოხატავს მუსიკის, სანახაობრივი ხელოვნების მფარველ ღვთაებას — მზის ქართულ ღვთაებას.

10. უფლისციხეში, სადაც მიკვლეულია ანტიკური ხანის თეატრის ნაგებობის ნანგრევები, ნიღბოსანი მეჩანგის ქანდაკების აღმოჩენას გარკვეული მნიშვნელობა აქვს ძველი ქართული თეატრის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით. შესაძლებელია ბამბების ნიღბოსანი-მეჩანგ უფლისციხის თეატრის წარმოდგენის ერთ-ერთი პერსონაჟის ხალხური გამოხატულება იყოს.

სასცენო მეტყველების კათედრა

ბარბარე ნიკოლაიზებილი  
ხელოვნებათცოდნების კანდიდატი, დოცენტ

მოსაზრებანი „ვეფხისტურასი“ მხატვრული  
კითხვის პარშემო


„ვეფხისტყაოსანი“, როგორც პოეტური გენის ნაყოფი, დღეს განსაკუთრებით იზიდავს ხელოვნების ყოველი დარგის მუშაქს და აფიქრებინებს მის მხატვრულ შესრულებას. შემსრულებლური ხელოვნების წარმომადგენლები ცდილობენ და იღწვიან, რომ ჩასწადნენ ამ ჯადოსნური ნაწარმოების მხატვრულ ორსებებს და თავიანთი გამომსახველი საშუალებებით გამოხატონ, ამაღლონ და ამეტყველონ იგი.

ქართული სასცენო მეტყველებისა და მხატვრული კითხვის უპირველესი ამოცანაა „ვეფხისტყაოსნის“ სცენიდან ამეტყველება.

დასტურდება, რომ „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ კითხვას ქართულ მეტყველებაში გარკვეული ტრადიცია ჰქონდა. იგი წარსულში მომეტებულად საკრავზე დაკვრითა და ზედ დამღერებით სრულდებოდა, შემდეგ ერთვარი დაღილინებით უსაკრავოდ.

საქართველოში XVIII საუკუნეში ვხვდებით ლექსის მხატვრული შესრულების ორ სახეს: დამღერებას და სასაუბრო ენასთან დაახლოებულ წარმოთქმას, რომლის დროსაც შენარჩუნებული იყო ლექსის მუსიკალური ბუნება.

XIX საუკუნის დასაწყისში კი საქართველოში უკვე მჯვიდრდება ლექსის წარმოთქმით შესრულება, თუმცა მის პარალელურად არსებობას განავრძობს ლექსის დაღილინებით წარმოთქმაც. ლექსის წარმოთქმის ეს წესი XX საუკუნემდე აღწევს და 1907 წელს მ. კალენჭერიძე წერდა რომ „ვეფხისტყაოსნის“ ლექსს „ეწოდება შაირი და კითხვაც შაირული, საზანდარის მსგავსი უნდა“. საფიქრებელია, რომ ავტორი აქ შაირის მხატვრული წარმოთქმისას გულისხმობს ლექსის მუსიკალური მხარის ისეთ წამოწევას, რომ იგი მუსიკალური საკრავის გაბმულ მელოდიას შეესატყვისებოდეს.



1867 წელს პლატონ იოსელიანი მეტად საგულისხმო ცნობას  
გვაწვდის ვეფხისტყაოსნის კითხვის თავისებურების შესახებ. აღ-  
წერდა რა გიორგი XIII-ის ცხოვრებას, იგი აღნიშნავდა, რომ „სი-  
ყრმიდან განსწავლული საღმრთოითა და საეროითა წერილითა,  
უყვარდა დიდად კითხვა ვეფხისტყაოსნისა, ზეპირად, ძველ დროთა  
ჩვეულებრივი წესითა, წარმოთქმიდა ოცდაათსა და მეტთა მუხლთა,  
ეტრიფოდა ლექსთაწყობასა და გულმხიარულებითა გასაგონად,  
ტკბილად აბოლებდა შოთასა ტკბილთა ნათქვამთა“.

„ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული ტრადიციის შესახებ 1937 წელს  
გაზეთი „მუშა“ აქვეყნებს ი. ნიკოლაიშვილის სტატიას, რომელშიაც  
ნათქვამი იყო, რომ „ამ სამოცი წლის წინად ქართულ ენას მასწავ-  
ლიდა აწ განსვენებული პოლ. კვიცარიძე, ქართულის კარგი მცოდ-  
ნე და მეტად დაკვირვებული მკვლევარი... მისი სიტყვით „ვეფხის-  
ტყაოსანს“ ძველად სიმღერით კითხულობდნენ და გვიმღერა კიდე-  
ვაც. კლასშიაც ის სიმღერით გვაკითხებდა ჭგუფობრივად და ცალ-  
კეულადაც. კარგად მახსოვს ეს კილო და პატივცემული პროფესო-  
რის რჩევით ფართო საზოგადოებისათვის გასაცნობად გადავიტანე  
ნოტებზე.“

ნოტები დაწერილია მინორულ ტონალობაში დაბალი შაირის  
ტექსტზე. ნოტები დაწერილია 5/4 საზომით. მელოდია მეტად მარ-  
ტივი და მონოტონურია და დარღვეულია სიტყვებში ქართული ბუ-  
ნებრივი აქცენტუაცია, რაც გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ  
ტაქტის ბოლოს, სუსტ ნაწილზე, ნახევარი გრძლიობის ნოტები მო-  
დის, მაშინ, როდესაც წინა ძლიერ ნაწილზე მეოთხედებია. გრძელი  
ნოტები სიტყვის მახვილებს არ ხვდება და იწვევს სიტყვების ქარ-  
თული აქცენტუაციის დარღვევას დამღერების დროს შემდეგნაი-  
რად:

იყო არა'ბეთს როსტევ'ან მეფე მღრთისა'გან სვიან'ი  
მაღალი, უხევი, მდაბალი, ლაშქარ მრავალი ყმიანი  
მოსამართლე და მოწყალე მორჭმული განგებიანი  
და თვით მეომარი უებრო, კვლა მოუბარი წყლიანი

ქართული აქცენტუაცია კი შემდეგნაირი უნდა იყოს:

<sup>1</sup> 3 ლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, ტფ. 1936 გვ. 181.

„იყო ა'აბეთს რ'ოსტევან, მე'ფე ღმრთისაგან სე'რანი  
მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარ-მრავალი, ყმიანი,  
მოსამართლე და მოწყალე, მორჭმული, განგებიანი,  
**და** თვით მეომარი უებრო, კვლა მოუბარი წყლიანი.

საფიქრებელია, რომ ავტორის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ დალილ-  
ნებული წარმოთქმის ნოტებზე გადატანა სიზუსტეს მოკლებულია  
და ვერ იძლევა დალილინების ჭეშმარიტ სურათს.

გასული საუკუნის 80-იან წლებში ქართულ პრესაში დაისვა  
კითხვა, თუ როგორ უნდა იყითხებოდეს მხატვრულად ქართული  
პოეზიის უმდიდრესი საგანძურო „ვეფხისტყაოსნი“ და როგორია  
ქართული ლექსის მხატვრული კითხვის წესი და რიგი. ამ საკითხზე  
გახეთი „დროება“ წერდა: „ორიოდ სიტყვა „ვეფხისტყაოსნის“ კი-  
თხვაზე. მე ვფიქრობ, რომ კერ კიდევ არ დაბადებულა ის კაცი, რო-  
მელმაც „ვეფხისტყაოსნი“ კი არა, უბრალო ქართული ლექსი წაი-  
კითხოს, როგორც რიგი და წესია კითხვისა. დაბადების კი, მართლა-  
რა მოგახსენოთ, მაგრამ ეს კი ნამდვილია, რომ სწავლით არავის და-  
უსწავლია რიგიანი კითხვა ამ პოემისა. ილია ჭავჭავაძე, რომელიც  
ამ საღამოს კითხულობდა „ვეფხისტყაოსნის“, საზოგადოდ კარგი  
მკითხველია. იმას მშვენიერი ხმა აქვს, მშვენიერი გამოთქმა; ჩინე-  
ბული კილო, მის კითხვაში ნამდვილი ქართული სიმების უღერა ის-  
მის, მაგრამ, თითონ კითხვაში კი, იმას ხელოვნება აკლია. რალაც  
გამოუთქმელ სიამოვნებას ვპოვებ მე ჭავჭავაძის კითხვაში, როდესაც  
ის თავისი ხმის სასიამოვნო ტემბრით შემოსძხებს:

„მაგას ნუ ბრძანებ, მეფეო, ჭერ ვარდი არ დაგჭენობია.“

რაღაც დიდებული, რაღაც გრძნობისათვის სასიამოვნო რამ ის-  
მის ამ ხმაში, ამ ერის გულიდამ გამოსულ სიტყვების გამეორებაში.  
მაგრამ რა გინდა, რომ სულ ამ ბუნებით კილოს, ამ გულის ხმას მის-  
ლევს ბატ. ილია და ყველა აღვილებს ერთი და იგივე გვარად ამ-  
ბობს.“<sup>1</sup>

ეს საბუთი იმის დამადასტურებელია, რომ გასული საუკუნის  
დასასრულს ქართული კულტურის წარმომადგენლები დიდ მოთხოვ-  
ნილებებს უყენებდნენ „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული კითხვის ხე-  
ლოვნებას და თვით მაღალი ოსტატობის დროსაც კი დაუშვებლად  
თვლიდნენ ერთი რომელიმე მხატვრული ხერხის განმეორებულ გა-  
მოყენებას.

მეტად საყურადღებო ცნობებს იძლევა „ვეფხისტყაოსნის“ მხა-

<sup>1</sup> გაზ. დროება. 1888 წ. № 36.



ტვრული კითხვის შესახებ ი. მეუნარგია, როდესაც აგვიწერდნენ „გოლ დადიანის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ კითხვას. იგი წერს: „ჯერ კიდევ შორს არ წავსულვართ ჩვენ იმ დროიდან, როცა „ვეფხისტყაოსნის“, თუ შეიძლება ასე ითქვას ლილინებდნენ ჩვენ-ში და არა კითხულობდნენ. ახალმა დრომ კითხვა დაუწყო „ვეფხისტყაოსნის“, მაგრამ გალობის ტონი ჯერ კიდევ არ გამონელებია... დადიანი „ვეფხისტყაოსნის“ მშვენივრად კითხულობს. აი რაგვარად იწყებს ის პოემას:

„იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღვთისაგან სვიანი,

მაღალი

უხვი,

მდაბალი,

ლაშქარ-მრავალი, ყმიანი.“

როსტევან მეფის დამახასიათებელ ეპიტეტებს ის ამგვარად ცალცალკე იტყვის, დიდი პაუზით მათ შორის. ეს პაუზა მსმენელის გამოხატულებას უფრო ნათლად წარმოუდგენს არაბეთის მბრძანებლის ვინაობას, ვიდრე ჩვეულებრივი:

„მაღალი, უხვი, მდაბალი“.

ამასთან ამ სამ ეპიტეტს უფრო დაბალი ხმით იტყვის და „ლაშქარ-მრავალში“ ოდნავ ხმას აუწევს, თითქოს ლაშქრით აგრძნობინებს მსმენელს როსტევან მეფის ძლიერებას.

არ ვიცი რომელი ერთი ადგილი წარმოუდგინო მკითხველს „ვეფხისტყაოსნიდან“, რომელსაც ზედმიწევნით კარგად კითხულობს დადიანი. „ვეფხისტყაოსნი“ წიგნია და არა მცირე ლექსი, რომლის თითოეულ ტაქჩე შეიძლება ილაპარაკოს კაცმა — რა ხმით, რა მიმიკით და რა მიხერა-მოხვრით წარმოსთქვამს მკითხველი ამ ტაქტს. მე რომ ლიტონი სიტყვით ვიძახო „მშვენივრად“, „კარგად“, „ზედმიწევნით“ კითხულობს დადიანი ამა და ამ ადგილს მეტქი, ამით ხომ ვერავის გავაგებინებ მართლა როგორ კითხულობს ის „ვეფხისტყაოსნის“ ადგილს“.

მოყვანილი აღწერიდან ჩვენთვის საყურადღებოა, რომ გრიგოლ დადიანის მხატვრული კითხვა ერთგვარი გარდამავალი საფეხურია დალილინებით წარმოთქმიდან წმინდა სამეტყველო წარმოთქმამდე. როგორც ჩანს, გრიგოლ დადიანის მხატვრული კითხვა ხასიათდებოდა ორმა აზრიანობით და ემოციურობით და იგი შესანიშნავად იყენებდა სალექსო პაუზას, როგორც ტაქტის ბოლოს, ისე მის შუაგულში ცეზურის ალაგას, და ეს პაუზა გააზრებული და მხატვრული ჭვრეტით აღვსილი იყო, რაც თავის მხრივ დიდ ემოციურ შთაბეჭდილებას ახდენდა მსმენელზე.

„ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული კითხვის ისტორიისათვის მეტად საინტერესო მასალა გვაქვს დატოვებული ი. მეუნარგიას მიერ, რომელიც აგვიწერს მამია გურიელის მხატვრულ კითხვას:

„მამია ჩინებული მკითხველი იყო.

კარგი კითხვა, როგორც კარგი სიმღერა, უნდა თვითონ გაიგონოს კაცმა, თორემ აღწერით ძნელია იმის სიმშვენიერის გადმოცემა. აღწერას მხოლოდ გარეგანი ნიშნების წარმოდგენა შეუძლია: კითხვა-გალობის ალი და მომხიბლავი ძალა კი ქრება იმავე წამს, რა წამსაც დაიხშო პირი მგალობელისა ან მკითხველისა.

მე სანამ მისი კითხვა არ გავიგონე, არ ვიცოდი, რას ნიშნავს მეფე გიორგის სიტყვა „მსუქნად იტყვის“, რომლითაც იგი უწონებდა კითხვას მის კარისკაცს ივანე აფხაზს... მამიას სიტყვა სადღაც პირის სილრმეში იბადებოდა... სწორედ რომ მსუქნად, ღრმად, მთელის პირით... მშვენიერი იყო ის, როცა კითხულობდა „ვეფხისტყაოსნიდან“... ქაჯეთის ციხის იერიშით აღებას იმ ადგილიდან, საცარუსოველი ამბობს:

ანაზდად ცხენი გაქუსლეს, მათრახბან შეჰქმნა წრიალი!  
იმ ხანამდის, საცა ავთანდილ და ფრიდონ შეეყრებიან ტარიელისგან ნალეწ აბჯარს და რუსთველი იტყვის იმაზე:

ჰეცნეს ნაჯმრად ტარიელისად, სთქვეს, საქმეა მისეული.  
სანამ მამია ამ ტაეპის პირველ ნახევრამდის ჩამოვიდოდა, მისი ხმა თვითონ ბრძოლის ხატი იყო: ძლიერი, სწრაფი, მრისხანებით სავსე, მაგრამ რა აქ ჩამოაწევდა, ის ცოტა ხანს შეჩერდებოდა, ხმას დაუწევდა და ცოტა აჩქარებულად, მუსაიფის კილოზე, თითქო განზე, წასევით წაილაპარაკებდა:

..... სთქვეს, საქმეა, მისეული.

მამიას კითხვაში შესახიშნავი ის იყო, რომ რაც უნდა გაცხარებული კითხვა ჰქონოდა იმას, რაც უნდა ღრამატიული მოძრაობა ყოფილიყო ლექსში, ფრაზასა და ფრაზას შუა მამიაში სრულიად დამშვიდებულ და თავისუფალ არტისტს გრძნობდი. <sup>1</sup>

მამია გურიელის მხატვრული კითხვა დალილინების არავითარ ნიშანს აღარ შეიცავს, მისი კითხვა შემინდა სამეტყველოა და იგი სრულყოფილად იყენებს ძლიერი ემოციის სამეტყველო ინტონაციით გამოსახვას. ამასთან ერთად გურიელის მხატვრული კითხვა, როგორც ჩანს, მეტყველების ბუნებრივი კილოთი და სისადავით ხასიათდებოდა. „ვეფხისტყაოსნის“ ბუნებრივი მეტყველების კილოთი კითხვა თანდათან მკვიდრდება ქართულ სასცენო ხელოვნე-

<sup>1</sup> იონა მეუნარგია. ქართველი მწერლები. I. თბ. 1954 წ. გვ. 365, 366, 367.

ბაში, ხოლო დაღილინებით კითხვა დროთა განმავლობაში მიღწეული ბას ეძლევა.

„ვეფხისტყაოსანშა“ თავისი დასაბამიდან დღევანდლაში მხა-  
ტვრული კითხვის სხვადასხვა საფეხური გავლო. პირველად იგი საკ-  
რავზე დამღერებით იყითხებოდა, შემდეგ დაღილინებით და დღეს კი  
მეტყველებით სრულდება.

ვფიქრობთ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული კითხვის  
დროს უდიდესი მნიშვნელობა აქვს შაირის რიტმის სწორ მიგნე-  
ბას, ვინაიდან სწორად მიგნებული რიტმი ყოველთვის უშუალო  
დავშირში იმყოფება შაირის აზრობრივ-ემოციური ბუნების სწორ  
შეგრძნებასთან.

„ვეფხისტყაოსანი“ დაწერილია თექვსმეტმარცვლიანი საზომით,  
რომელსაც შაირი ეწოდება და რომელშიაც ვარჩევთ „დაბალ  
შაირს“ როდესაც ლექსი ქორე-დაქტილური ლოგაედებით არის და-  
წერილი:

ვინ არ ყოფილა მიჭნური, ვის არ სახმილნი სდებიან?  
ვის არ უნახვან პატიუნი, ვისთვის ვინ არა ბნდებიან?  
მითხარ, უსახო რა ქმნილა, სულნი რად ამოგხდებიან?  
არ იცი, ვარდნი უეკლოდ არავის მოუკრეფიან!

2	3	3	2	3	3
2	3	3	2	3	3
2	3	3	2	3	3
3	2	3	3	5	

და მაღალ შაირს, როდესაც ლექსი ქორეული ან მეორე პეო-  
ნური პოლიმეტრებით არის დაწერილი:

ვარდსა ჰყითხეს: „ეგზომ ტურფა რამან შეგქმნა ტანად, პირად?  
მიკვირს, რად ხარ ეკლიანი? პოვნა შენი რად არს ჭირად?“

მან თქვა: „ტკბილსა მწარე პპოვებ, სჯობს, იქმნების რაცა ძვრად;  
ოდეს ტურფა გაიეფდეს, არღარა ლირს არცა ჩირად“.

2	2	2	2	2	2	2	2
2	2	4	2	2	2	2	
2	2	2	2	4	2	2	
2	2	4	4	2	2		

შაირის მხატვრული კითხვის დროს საჭიროა დაცული იქნეს  
ლექსის რიტმის არსებითი კანონები, სახელდობრ, შაირის ყოველი

ტაეპის ბოლოს აუცილებელია შესვენება, რომელსაც აუცილებელი პაუზასაც ვუწოდებთ ხოლმე. აუცილებელი პაუზა ბუნებრივი და ტაეპში მოთავსებული აზრით გამოწვეული უნდა იყოს და არა სა-შეტყველო ნაკვეთის მექანიკური შეჩერებით.

ისმინე ჩემი თხრობილი, შეჯე, წავიდეთ ნებასა”,  
ნუ მოჰყოლიხარ თავისა თათბირსა, გავონებასა,”  
რაც არა გწადდეს, იგი ქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა”,  
ასრე არ სჭობდეს, არ გეტყვი, ნუ მეჭვ რასაცა თნებასა”.

აღვნიშნავთ ტაეპის ბოლოს აუცილებელ შესვენებას.

შაირის მხატვრული კითხვის დროს ყოველ ტაეპს თავისი სპე-  
ციფიკური ინტონაცია უჩნდება. ამ სპეციფიკურობას იწვევს ყოვე-  
ლი ტაეპის ბოლოს აუცილებელი პაუზა, რომელიც თვითეულ ტაეპს  
ინტონაციურად გამოყოფს და ტაეპში მოთავსებული სიტყვების ერთ  
ინტონაციურ რეალში აერთიანებს. შაირში ყოველი ტაეპის ინტო-  
ნაციას ახასიათებს მოლოდინი შემდგომი ტაეპისა, გარდა მეოთხე  
ტაეპისა, რომელიც სრულ კადანსს იძლევა და სამეტყველო ინტო-  
ნაციას წერტილს უსვამს.

შაირის ტაეპის ინტონაციის საფუძველს მასში ჩაქსოვილი აზ-  
რი წარმოადგენს. ამიტომ მყითხველი კარგად და ღრმად უნდა ერ-  
კვეოდეს ტაეპში მოთავსებულ აზრში, ბოლომდე ესმოდეს სიტყვე-  
ბის და წინადადებების, ან შესიტყვების მნიშვნელობა და არ უნდა  
წარმოთქვამდეს მათ აზრმოკლებულად, როგორც ტერთულის შონა-  
ცველობის რიგს.

ტაეპების ინტონაციაში ადგილი არ უნდა ქონდეს წამდერებას. ტაეპში ჩაქსოვილი აზრი სათანადო ემოციით წარმოთქმული გვაძ-  
ლევს გამომსახველ ინტონაციას, რომელშიაც აზრის სითბო შეხმა-  
ტკბილებულია მეტყველების მუსიკალობასთან.

„ვეფეხისტყაოსნის“ მხატვრული კითხვისათვის საჭიროა ღრმად  
და საფუძლიანად გავერკვეთ აზრის ლოგიკურ განვითარებაში. ამისათვის უპირველესად ყოვლისა, უნდა ვიზრუნოთ, რომ კარგად  
გვესმოდეს ყოველი სიტყვის მნიშვნელობა, განსაკუთრებით ისეთი  
სიტყვებისა, რომლებიც დღევანდელ ქართულ ყოველდღიურ მეტყ-  
ველებაში არ იხმარება. ავილოთ, მაგალითად 654 სტროფი:

ესე ქვაბნი უკაცურნი ვპოვენ, ღევთა შეეკაფნეს;  
შემოვები, ამოვწყვიდენ, ყოლა ვერას ვერ მეხაფნეს,  
მათ მონანი დამიხოცნეს, ჭაჭვნი ავად მოექაფნეს.  
საწუთრომან დამალრიჯა, ცქაფნი მისნი კვლა მეცქაფნეს.



ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობა ასეთია: ხაფება — ნიშავრის  
შეშინებას; მოქაფვა — მოჭურვას, შეჭურვას; ყოლა — სრული აღდგა-  
ცეაფვა — მოტყუებას; შეკაფვა — გამოჩეხვას; ქაბი — გამოქვა-  
ბულს; საწუთრო — წუთისოფელი; დამაღრიფა — მოწყენა, დადარ-  
დიანება; მოყვნილი სტროფის პზრი დღეს შეიძლება ასე გამოგ-  
ოქვათ:

ვიპოვე გამოქვაბული უკაცრიელი, რომელიც დევებს  
გამოუჩეხავთ;

დევებს შევები, ამოვწყვიტე ისე, რომ სრულებით არ  
შევშინებულვარ.

დევებმა მონები დამიხოცეს, ვინაიდგან ჯავშნით ცუდად  
იყვნენ შეჭურვილები.

წუთისოფელმა დამადარდიახა, ვინაიდან მისი მოტყუებით  
კვლავ მოვტყუვდი.

„ვეფხისტყაოსანის“ შაირი ყოველთვის გარკვეული აზრის გა-  
დმოცემას ემსახურება, ამიტომ მხატვრული კითხვის დროს **ლოგი-**  
**კური** მახვილის ხმარება აუცილებელია. მაგრამ ლექსში ლოგიკური  
მახვილის ხმარება გარკვეული სპეციფიკურობით ხასიათდება, რაც  
ლექსის რიტმით და ტაქტის მელოდიით არის განპირობებული.  
შაირის მხატვრული კითხვის დროს ლოგიკური მახვილის ხმარების  
სპეციფიკურობა იმაში გამოიხატება, რომ მისი სიძლიერე ნებისმიერი  
არ არის ისე, როგორც პოზიციაში ხდება. ტაქტში ლოგიკუ-  
რი მახვილის ქვეშ მოქცეული სიტყვა ტაქტის მელოდიურ სურათს  
არ უნდა არღვევდეს, იგი ამოვარდნილი არ უნდა იყოს. შაირში ლო-  
გიკური მახვილის ხმარება მეტ სირბილეს მოითხოვს, ვიდრე ეს  
პროზაშია ხოლმე. მოვიყვანთ ლოგიკური მახვილის ხმარების მაგა-  
ლითს:

თუცა ქალია, ხელმწიფედ მართ ღმრთისა დანაბადია:

არ გათნევთ, იცის მეფობა, უთქვენოდ გვითქვამს კვლა დია;  
შუქთა მისთებრ საქმეცა მისი მზებრ განაცხადია.

ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხგალია.

(ხაზგასმული სიტყვები ლოგიკური მახვილის ქვეშ არის)

შაირის ხმარების დროს ლოგიკური მახვილის ხმარება ინდივი-  
დუალური ხასიათისაა. ამაში მულავნდება მკითხველის მიერ ტექს-  
ტის გაგება და ამოხსნა.

შაირის სწორი წარმოთქმის დროს ტაქტში მერვე მარცვლის



შემდეგ ცეზურა იხმარება. ცეზურა მხატვრულ კითხვაში მცირება პაუზა არის, რომელიც გაცილებით ნაკლებ გრძლიობისა არის ტაქ-პის ბოლოს მოთავსებულ აუცილებელ პაუზასთან შედარებით; შაირის ტაქში, უმეტეს შემთხვევაში, ცეზურა სიტყვების აზრობრივ დაჯგუფებით გამოიყოფა და ამიტომ აზრობრივ პაუზას ქმნის წარმოქმის დროს და არა ხელოვნურ შეჩერებას. შაირის წარმოთქმის დროს ცეზურის ალაგას ადგილი აქვს აგრეთვე ტაქის ინტონაციაში მელოდიურ ცვალებადობას, რასაც ძველად „ხმის-საქცევას“ უწოდებდნენ. მოგვყავს ცეზურის ხმარების მაგალითი:

ნახეს უცხო მოყმე ვინმე, გდა მტირალი წყლისა პირსა.”  
შავი ცხენი სადავითა/ ჰყვა ლომსა და ვითა გმირსა//  
ხშირად ესხა მარგალიტი/ ლაგამ-აბჯარ-უნაგირსა.  
ცრემლსა ვართი დაეფრთვილა./ გულსა მდუღრად ანატირსა.//

მოყვანილ სტროფში აღვნიშნავთ ცეზურას, ხოლო — ტაქ-პის ბოლოს აუცილებელ პაუზას. მხატვრულ კითხვაში ყოველი ცეზურა და აუცილებელი პაუზა აზრის ბუნებრივი დინებით და სიტყვათა დაჯგუფებით არის გამოწვეული.

იმისათვის, რომ „ვეფხისტყაოსანი“ გასაგონი და მოსასმენი გავხადოთ დიდი აუდიტორიისათვის, მხატვრული მკითხველი სრული ანუ სავსე-სტილით უნდა მეტყველებდეს, რომლის დროსაც მეტყველება დარბაისლური და მყაფიო, მსუქანი წარმოთქმით ხასიათდება. მეტყველების მხოლოდ ასეთი ხასიათი შეიძლება იმ დიდი აზრობრივ-ემოციური ტვირთის აწევა, რომლითაც გამოიჩევა „ვეფხისტყაოსანი“.

რუსთაველის რითმები ყოველთვის სწორი და ბუნებრივია, მასში არ გვხვდება ნაკიანი რითმა. შაირის წარმოთქმის დროს რითმის ხაზგასმით წარმოთქმა მიუღებელია, ვინაიდან იგი დაარღვევს ტაქის აზრის დინების მუსიკალობას. ტაქის საერთო მყაფიო წარმოთქმაში რცმა თავისთავად გამოჩნდება ვინაიდან რითმის მუსიკალობაზე და მის მრავალსახეობაზე საკმაოდ ბევრი უზრუნვია რუსთაველს; მხატვრულ მკითხველს ისლა დარჩენია, რომ ტაქში აზრი მყაფიოდ ამოიკითხოს, რის შედეგადაც ცოცხალ მეტყველებაში რითმა თავის მხატვრულ ფუნქციას შეასრულებს.

რამდენიმე სიტყვით გვინდა შევეხოთ შაირის პროსოდიულ „და“-ს. ამ საკითხის გარკვევას მთელი შრომა მიუძღვნა პროფესორ-მა შოთა ძიძიგურმა ახლად გამოცემულ წიგნში: „შოთა რუსთაველის ენის საკითხები“. აქ მოყვანილია აკადემიკოს ნიკო მარის

შეხედულება ამ საკითხზე: „და“ მხოლოდ იმას უჩვენებს, რომ მეტა-  
თხე სტრიქონით, რომლის წინაც იგი დგას, მთავრდება რიტუალ  
პერიოდი; მაგრამ უიმისოდაც აშკარაა რუსთაველის პოზის ლექ-  
სის სტრუქტურა. ეს კავშირი „და“ გაღმონაშოთი დამატება, დეკო-  
რაციულია შოთასთან; ხალხური ზომისათვის კი, საიდანაც იგი რუს-  
თაველმა შეითვისა, კონსტრუქციული იყო მის პირველყოფილ  
მდგომარეობაში, როცა ჯერ კიდევ არ იყო ლექსის რითმი, კიდევ  
შეტი: არ იყო სიმეტრია, თანასწორმარცვლიანობა“.<sup>1</sup> ამასთანავე  
ნ. მარი მიუთითებს რომ პოზიის განვითარების უძველეს საფე-  
ხურზე ლექსს სიმღერა და ცეკვა ახლდა, მის ნაწილებს წარმოოქვ-  
ამდნენ გუნდის მთქმელი (სოლო) და გუნდი; ამ ორი ნაწილის გამა-  
რთიანებელია ის „და“.

პროფესორი ვ. უკოლ ბერიძე იზიარებს ნიკო მარის  
დებულებას, რომ „ვეფხისტყაოსანში“ „და“ კავშირი ხალხური წარ-  
მოშობისაა და მას ლექსის აუცილებელ ნაწილად თვლის და აცხა-  
დებს, რომ არავითარ სამკაულზე ლაპარაკი არ შეიძლება. „რაკი  
„ვეფხისტყაოსანში“ სტროფთა წინადადებები უკავშირობითა გა-  
ერთიანებული, ყოველი უკანასკნელი დასკვნითი წინადადება ბუნე-  
ბრივად „და“ კავშირით უნდა დაიწყოს. იგი აერთიანებს დასკვნას  
წინა ნაწილთან! შოთამ ეს „და“ წმინდა ტექნიკური მოსაზრებით გა-  
რეთ გამოიტანა და მე-17 მარცვლად დააყენა, მაგრამ ამით მისი  
კონსტრუქციულობა მაინც ძალაში დარჩა, „და“ კავშირის გამოყე-  
ნებით რუსთაველი ქართული ხალხური ლექსის პოზიციაზე  
დარჩა“<sup>2</sup>.

ახალგაზრდა მკვლევარმა კ. დანელია არ გაიზიარა ვუკოლ  
ბერიძის შეხედულება, რადგან პოემის სტროფთა დიდი ნაწილი არის  
დასკვნითი ხასიათისა, ხოლო იქ, სადაც, თითქოს დასკვნითობა უნდა  
იყოს, „და“-ს ხმარება გაუმარტლებელი ჩანს... „და“-ს სინტაქსუ-  
რად უფუნქციობის ზედმეტობას მკვეთრად გახაზვს შემდეგი გა-  
რემოება: პოემის მრავალი სტროფის მეოთხე ტაქტი იწყება ს ხვა-  
ა ა ვ ში რ ე ბ ი თ (მაქვემდებარე? ელი, გაპირისპირებული).

„და“ კავშირის შესახებ გ. იმედაშვილი მოსაზრებას გა-  
მოთქვას ვარაუდის სახით: ჰიმნებში ვამჩნევთ „და“-ს სტროფთა  
დაბოლოებებში, სისტემატურად კი რეფრენის დასაწყისში; მას შე-  
საძლოა ქონდეს პაუზის დაცვის დაცვის და ტონური ფუნქცია და

1 შოთა ძიძიგური. შოთა რუსთაველის ენის საკითხები. თბ. 1966 წ. გვ. 50.

2 იქვე. გვ. 52.

წარმოშობილი იყოს საგალობლების მუსიკალური ფრაზის, მუხლის „დაცვის საჭიროებით, „და“ სტროფების გამოიჯნავია.

შოთა ძიძიგური გამოთქვამს იმ მოსაზრებას, რომ „პროსოდიული „და“ მაინც უნდა მივიჩნიოთ სიმღერიდან შომდინარებ; გენეზისურად იგი მუსიკალური ფრაზის არქიტექტონიკასთან არის დაკავშირებული. „და“ კავშირი ოდესლაც ნაწილაკი იყო და შემდეგ მიიღო მან ახალი ფუნქცია. ნაწილაკი „და“-ს მაგვარი შემდეგ კონტექსტების მსგავსად: „ოჰ რა არზა დაუწერე,, და?!“ (ნ. ერისთავი); „ჩვენ კი გული გადავვიტრიალდა — და!“ (აკაკი); „ჰე, რა სეირია — და!“ (ვაჟა) და სხვა.

„და“ კავშირის ხმარება დისკუსიას იწვევს იმ განხრითაც, თუ კონკრეტულად სად უნდა იხმარებოდეს: მესამე ტაეპის დასასრულს, როგორც ამას აკადემიკოსი ნიკო მარი ხმარობდა (ასევე იმარა „და“ კავშირი პროფესორმა სიმონ ყაუს ჩიშვილმა, რომელიც ამ საკითხს შეეხო თეატრალურ ინსტიტუტში რუსთაველის იუბილესადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე, 1966 წლის 7 ოქტომბერს) და ბეჭდავდა კიდევაც:

იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღმრთისაგან სვიანი,  
მაღალი, უხვი, მდაბალი ლაშქარ-მრავალი ყმიანი,  
მოსამართლე და მოწყალე, მორწმული განგებიანი

-ღა

თვით მეომარი უებრო, კვლა მოუბარი წყლიანი.

თუ მეოთხე ტაეპის დასაწყისში, როგორც ამას ბეჭდავენ?

ვინაიდან „და“ კავშირის საკითხი მეცნიერებაში დისკუსიას იწვევს, ჩვენ უფიქრობთ, რომ „ვეფხისტყაოსანის“ მხატვრულ კითხვაში მას უნდა მიენიჭოს მხოლოდ ისტორიული ფუნქცია, რომლის ხმარება დღევანდელ კითხვაში აუცილებელი არ არის.

„ვეფხისტყაოსანი“ რიტმულად ორგანიზებული მეტყველებაა, რომელშიაც მდიდარი შინაარსი მეცნიერებულ შაირის ფორმით არის გაღმოცემული. მხატვრულ მეტყველებაში „ვეფხისტყაოსანის“ წარმოთქმა მოითხოვს ლექსის შინაარსისა და ფორმის სრულ შეხმატებილებას, ერთ მთლიანობაში გაღმოცემას. ამის მისაღწევად კი საჭირო იქნება მკითხველი საფუძვლიანად გაერკვეს „ვეფხისტყაოსანის“ იდეაში, თემაში, სახიერებაში, ერთი მხრივ, და შაირის რიტმში, მეორე მხრივ.

„ვეფხისტყაოსანის“ მხატვრული კითხვის დროს შკითხველია გარკვეული ზეამოცანა უნდა დაისახოს, ამაში გამოვლინდება

მკითხველის მსოფლმხედველობა, ნაწარმოების იდეის სწორი გადა  
ბა. საჭიროა ლექსის შინაარსობრივი ანალიზი, რათა მკითხველმა  
დაადგინოს ნაწყვეტში აზრის თანმიმდევრული განვითარება, გა-  
მოყოს მონაკვეთები და ამოიცნოს ტექსტში ნაგულისხმევი ქვე-  
ტექსტი, რის შედეგადაც მივიღებთ ცოცხალ, აზრიან, გრძნობიერ და  
გამიზნულ მეტყველებას. და ბოლოს, მკითხველმა გარკვეული და-  
შოკიდებულება უნდა დაამყაროს წასაკითხად შერჩეულ ნაწარმოებ-  
თან და გამოავლინოს იგი.

ვფიქრობთ, რომ ლექსის მხატვრული კითხვის ჩამოთვლილი  
პირობების გათვალისწინება ხელს შეუწყობს მკითხველს „ვეფხი-  
ტყაოსნის“ მხატვრული შესრულების პროცესში თანამედროვე მო-  
ახოვნილებების შესაბამისად.

თეატრის ისტორიის კათედრა

### ნაღია ჭალუთაშვილი

ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი, დოცონტი

## იღია პავზაბაძის რეალისტური ესთეტიკა და ჩართული თეატრი

დიდ ქართველ მწერალს, მოაზროვნესა და საზოგადო მოღვაწეს  
ი. ჭავჭავაძეს უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ქართული კულტურის  
წინაშე<sup>1</sup>.

ი. ჭავჭავაძე ქართველ „მესამოციანელთა“ იდეური წინაშემდო-  
ლიც იყო. თავისი მოღვაწეობით მან მოძრაობა, სიცოცხლე და სა-  
ბრძოლო სულისკვეთება შეიტანა იმ დროის საზოგადოებრივ ცხოვ-  
რებაში.

ეპოქაში, როდესაც საქართველოში გაძლიერდა ეროვნული  
და სოციალურ-განმათავისუფლებლური იდეალები, ახალგაზრდა  
„თერგდალეულები“ საზოგადოებრივ სარბიელზე გამოვიდნენ რო-  
გორც მწერლები და პოეტები, პუბლიცისტები, კრიტიკოსები, რო-  
გორც ეპოქის მოწინავე იდეებით შეიარაღებული პოლიტიკური მო-  
ღვაწეები.

რუსეთის მოწინავე რევოლუციურ-დემოკრატიულ აზროვნებით  
შთავონებულებმა, მათ მამულის სამსახურისათვის ლიტერატურული  
სარბიელი აირჩიეს. სწორედ ამიტომაც იყო, რომ დაბრუნდნენ რა-  
პეტერბურგიდან საქართველოში, სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს,  
„მამების“ საზოგადოებრივ და შემოქმედებით კონსერვატიზმს,  
„ერის ტანჯვათა“ და „ერის წყლულთა“ მიმართ გულგრილობას.

<sup>1</sup> უნდა აღვნიშნოთ, რომ ი. ჭავჭავაძის საერთო ლიტერატურული მექანიდ-  
რების შესწავლის საქმეში დიდი დამსახურება მიუძღვით მთელ რიგ ქართველ  
მეცნიერებს—ალ. ხახანაშვილს, ს. ხუნდაძეს, ვ. კოტეტიშვილს, პ. ინგოროვას, შ.  
რადიანს, მ. ღულაგავას, დ. გამეზარდაშვილს, კ. მექელიას, ა. გაჩეჩილაძეს,  
ს. ხუციშვილს და სხვებს, განსაკუთრებით სახტერესო გამოკვლევები მისი ეს-  
თეტიკის თეატრთან კავშირის შესახებ მოგვაწოდეს აკად. გ. გიბლაძემ, ნ. გურა-  
ბანიძემ და სხვ.



ჭერ კიდევ „მგზავრის წერილებში“ ი. ჭავჭავაძემ თავისი ცხოვრის უნიჭებული მოძრაობა აირჩია, ბრძოლა გამოუცხადა ცხოვრებისაგან განდგომასა და მდორე მორეებში არსებობას. ი. ჭავჭავაძეს და მის თანამოაზრებს მიზნად ჰქონდათ და სახული იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნა, მისთვის ახალი გეზის მიცემა. ახალმა ეპოქამ ახალი ამოცანები დაუსახა ქართულ ლიტერატურასა და ხელოვნებას, ამიტომაც იყო, რომ ასე იღწვოდა ი. ჭავჭავაძე იმისათვის, რათა ლიტერატურა თავის მოწოდების სამაღლეზე დაებრუნებინა, გაეხადა იგი სინამდვილის ჭეშმარიტ სარკედ. სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ დიდმა მწერალმა თავის თანამებრძოლებთან ერთად, უურნალ „ცისკრის“ ფურცლებზე ესოდენ ცხარე, შეურიგებელი პოლემიკა გააჩაღა. 1861 წლის უურნალ „ცისკარი“-ს აპრილის თვის ნომერში მან გამოაქვეყნა ცნობილი წერილი „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის მიერ კოზლოვის „შეშლილის“ თარგმანზედა“. ამ წერილში, რომელმაც კონსერვატიული ლიტერატურული წრეების აღშეფოთება და გაშმაგებული წინააღმდეგობა გამოიწვია, ახალგაზრდა და ი. ჭავჭავაძე მკვეთრად ილაშქრებდა კლასიციზმისა და კრიზისის გზაზე დამდგარი რომანტიზმის წინააღმდეგ.

ავტორი, აკრიტიკებდა — რა კარამზინის სენტიმენტალურ სკოლას და მის საკმაოდ უნიჭო წარმომადგენელ პოეტ კოზლოვს, თავის შეხედულებებში იმავე აზრს აღდა, რასაც „მგზნებარე ბესარიონი“, დიდი რუსი კრიტიკოსი ბ. ბელინსკი. გამომდინარებდა — რა ხელოვნების უტილიტარული პრინციპიდან და, ამკვიდრებდა — რა რუსულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში კრიტიკული რეალიზმის საფუძვლებს, ბ. ბელინსკი თავის პირველსავე წერილებში გამოვიდა ფრანგული კლასიციზმის წარმომადგენლების რასინისა და კორნელის წინააღმდეგ, უარყოფითი შეფასება მისცა ი. სუმაროკოვის და ხერასკოვის მემკვიდრეობას.<sup>1</sup>

სრულიად „უნიჭო“, „გაბერილ“ პირვენებებად მიაჩნდა იგივე პოეტები ი. ჭავჭავაძესაც, მისი აზრით ამ უნიჭო შეერლებს თავანისმცემლები მხოლოდ გაუნათლებელ საზოგადოებაში ჰყავდათ.<sup>2</sup>

იზიარებდა — რა ბ. ბელინსკის ძირითად შეხედულებებს იმდროინდელ რუსულ ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, ი. ჭავჭავა-

<sup>1</sup> Белинский В. «С.А.П.», кн. I, стр. 25.

<sup>2</sup> უურ. „ცისკარი“, 1861, აპრილი, გვ. 563.



ქ სწორედ ამ პოზიციებიდან აფასებდა კოზლოვის „შეშლილისა“<sup>1</sup> თარგმანს ქართულ ენაზე. იგი უარპყოფდა პოეტ კოზლოვის „ჰერცანიშანი ნიჭის“, და მიაკუთვნებდა მას „სენტიმენტალურ, ყალბ გრძნობათა, მტირალა და წირპლიანი მწერლების“ იმ რიცხვს, რომელთა მებაირახტრე კარამზინი იყო.

ძირითად ნაკლად პოემა „შეშლილისა“ ი. ჭავჭავაძეს, ისევე როგორც ბ. ბელინსკის, მიაჩნდა ის, რომ კოზლოვმა ვერ შესძლო ვერც რუსული სინამდვილის აღწერა და ვერც ადამიანის წრფელი გრძნობების გამოხატვა. „თუმცა „შეშლილის“ ქვეშ აწერილია რუსული მოთხოვნა, — შენიშნავდა ი. ჭავჭავაძე, — მაგრამ ამ შოთხოვნაში მარტო ენა, ზარი, მარხილი და იამშჩივი თუ არის რუსული, თორემ სხვა არაფერი... ბევრიც რომ წაიკითხოთ, მაინც ქართველი ვერ გაიცნობს... რუსის სოფლის გოგოსა, იმიტომ რომ ეს შეშლილი გოგო, თუმცა კოზლოვი ამბობს რუსისაო, მაგრამ რუსის სარაფანიც არ აცვია ზედა; ეგ რაღაც ურუსო რუსია, კოზლოვის ფანტაზიის შვილი, და არა რუსის ცხოვრებისა. მაგრამ ვინ ჩივის, რომ პოემის გმირი არ არის რუსი, „ერთი ბეჭრ დრამატიზმი და ხელოვნება მაინც იყოს“.<sup>2</sup>

მიაჩნდა — რა სენტიმენტალიზმი განვლილ ეტაპად, ი. ჭავჭავაძე ბელინსკის მსგავსად, აკრიტიკებდა მის სიყალბეს, სინამდვილიდან შორსდგომას, იმას, რომ სენტიმენტალისტები, ბ. ბელინსკის სიტყვით რომ ვთქვათ, „აზრსა და გრძნობას დაექცებლნენ მაღალფარდოვანი ფრაზისათვის“, რომ არაფერი იყო ჭეშმარიტად, ეროვნული და მართალი მათ ნაწარმოებებში. არ ურიგდებოდა — რა ანტირეალისტურ მიმართულებებს, ი. ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში თანმიმდევრულად იცავდა კრიტიკული რეალიზმის პრინციპებს.

ი. ჭავჭავაძე უარყოფდა შიშველ ტენდენციასა და რიტორიზმს ლიტერატურაში, მწერლისაგან მოითხოვდა ობიექტური სინამდვილის, საზოგადოებრივი ცხოვრების ასახვას.

ვერ კიდევ ბ. ბელინსკი წერდა, რომ «чтобы уметь изображать действительность, мало даже дара творчества, нужен еще разум, что-б понимать действительность»<sup>2</sup>.

ი. ჭავჭავაძე შესანიშნავად, ღრმად ერკვეოდა იმდროინდელი საზოგადოებრივი, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ყვე-

<sup>1</sup> ქ. „ცისკარი“, 1861, აპრილი, 570—571 გვ.

<sup>2</sup> Белинский В. Г., Полн. собр. соч., под ред. С. А. Венгерова, т. VIII, стр. 234.

ლა სფეროში და ამიტომაც იყო, რომ სწორედ ამ სინამდვერულ გადალმხატვრულ ასახვისათვის იბრძოდა.

მთელ რიგ წერილებში ი. ჭავჭავაძემ დაგვიტოვა საინტერესო აზრები სინამდვილისა და ხელოვნების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. ამ მხრივ, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ის, რომ დიდი მწერალი იმ მატერიალისტური დებულებებიდან გამომდინარეობდა. რომელიც ამტკიცებდა იმას, რომ ხელოვნება სინამდვილის მხატვრული ასახვის ფორმაა. ი. ჭავჭავაძის ესთეტიკური მსოფლმხედველობას ძირითად საფუძველს ცნობიერებისა და სინამდვილის ურთიერთობის მატერიალისტური გაგება შეადგენს.

ი. ჭავჭავაძის აზრით ბუნება ობიექტურად, ადამიანისაგან და მოუკიდებლად ასებობს, იმავე კანონზომიერებით, როგორც ამ ბუნების ნაწილი, ხასიათლება კერძო ცხოვრებაც, ცნობიერება კი სინამდვილის, „ცხოვრების გამხილავია და გამომხატველი“.<sup>1</sup>

ხელოვნება, როგორც ცნობიერების სპეციფიური ფორმა ი. ჭავჭავაძის შეხედულებით ცხოვრებისაგან იბადება და მისივე ასახვაა, ამიტომაც მის ნიშანდობლივ თვისებას ადამიანთა ცხოვრებისა და ამ უკანასკნელთან უშუალოდ დაკავშირებული ბუნების მოვლენების მხატვრული „ხატებითა და სურათებით“ გამოსახვა წარმოადგენს. ამავე დროს მას მიაჩნდა, რომ „ხელოვნება არის განხორციელება სახეში იდეისა, აზრისა. მუსიკა, მხატვრობა, პოეზია—ესენი სულ სახეში გამოთქვამენ იდეას, ხოლო იმით განიყოფებიან, რომ თავის იდეის გამოსათქმელად სხვადასხვა მასალებს ხმარობენ.<sup>2</sup>

ი. ჭავჭავაძეს ღრმად ესმოდა ხელოვნების აქტიური, გარდამენელი როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, იგი სთვლიდა რომ შეცნიერება და ხელოვნება წარმოიქმნებიან — რა სინამდვილის ასახვის საფუძველზე, გულგრილი როდი რჩებიან ამ სინამდვილის მიმართ — „მეცნიერება და ხელოვნება, — წერდა იგი, — ახსნის ცხოვრების მოთხოვნილებასა, ცნობაში მოიყვანს „ახალსა“ და ამათ შემწეობით გადადის ეს „ახალი“ ისევ ცხოვრებაში და სცვლის ცხოვრებას“<sup>3</sup>.

ი. ჭავჭავაძე ხელოვნების დანიშნულებას მხოლოდ „სარკესავით ცხოვრების გაღმოცემა“-ში კი არ ხედავდა, მას საჭიროდ მიაჩნდა

1 ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად 3. ინკორეცვას რედაქტორობით. საქ. სახ. გამომცემლობა. ტ. III. 1959, გვ. 466 (შემდეგში ცვლილი კრებულის ეს გამოცემა).

2 ი. ჭავჭავაძე, ტ. IV, გვ. 75.

3 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრული კრებული, ტ. III 1959 გვ. 466.

ცხოვრების მრავალმხრივობაში, მოძრაობაში გადმოცემა, მისი დაცული და უარყოფითი მომენტების ასახვა, შემოქმედის მისღაწი აქტიური დამოკიდებულება. იგი თვით ცხოვრების მორევში, მის შუაგულში ჩასვლას მოითხოვდა მშერლისაგან და ამიტომაც სწერდა, რომ „დროა ხელოვნებამ თავი დაანებოს უგომურ ღმეჭასა და თვალების სრესასა, ეგება ცრემლი გამოვიდესო; დროა ჩავიდეს ცხოვრების მდინარის ძირშია, იქ მონახოს შიგ-მდებარე აზრი თავის ცხოველ სურათებისათვის. იქ, ცხოვრების ძირში, იქ იპოვის ბევრ მარგალიტსა და უფრო ბევრ ლექსა და ლაფსა: არც ერთის გამოხატვა უნდა აშინებდეს ხელოვნებასა და არც მეორისა...!“

ი. ჭავჭავაძე სთვლიდა, რომ ხელოვნებასაც და მეცნიერებასაც ზუსტად უნდა დაეცვათ თავისი კანონები, არ მორიდებოდნენ ცხოვრების ნაკლოვანებათა მხილებასა და გაჭიცხვას, ევლოთ „ცხოვრების მდინარეში“ და იქ, ლაფსა და ჭუჭყში, მონახათ ის მარგალიტები, რომელნიც ხალხს დარჩებოდა მისი ცხოვრების საღილებლად.

ხელოვნება ი. ჭავჭავაძისათვის ცხოვრებისა და ჭეშმარიტების განსახოვნებას წარმოადგენდა. დიდი მშერალი რეალისტური ხელოვნების ერთერთ ძირითად საკითხში, ტიპურობის საკითხის დასმასა და გადატრაში თანამედროვეობას უახლოვდება.

მისი აზრით, თუ მეცნიერებაში ერთეული გამოდის განზოგადებულის ფორმაში, ხელოვნებაში განზოგადებული გამოდის ერთეულის ფორმაში. „გარეგანი მხარე საგანში, — წერდა ი. ჭავჭავაძე, — მხოლოდ სათქმელია მისი, რასაც კაცის ჭკუა და საჭიროება მოითხოვს“. ამასთან საგნების, საერთოდ სინამდვილის არსი შედგება კერძო და ზოგად თვისებებისაგან, რომელთა შორის ჭეშმარიტი ხელოვნების საგანს უკანასკნელი წარმოადგენს. მას მაგარითად მოჰყავდა კაცის ქანდაკება, რომელიც „უსიტყვოდ, უთქმელად“ გაგრძნობინებთ იმ აზრს, რომლის გადმოცემაც მოქანდაკეს სურდა. ი. ჭავჭავაძის აზრით, მოქანდაკე ამას აღწევს იმით, რომ ეს სახე ვაჟკაცობაში, ღიდებულებაში, თავგამოდებაში კიდევაც ჰგავს და კიდევაც არ ჰგავს თქვენს ნაცნობ სახეებს, კიდევ მეტიც „მთელი ქვეყნის ვაჟკაცების, ღიდებულების და თავგამომდებლების სახეები ამ მარმარილოს სახეს რომ შეადაროთ, არც ერთი არ ეგვანება და ეგვანება კიდეც“... ამის მიზეზი ილიას აზრით იმაშია, რომ „რასაც საზოგადო ნიშნები ჰქონდათ მთელი ქვეყნის ვაჟკაცებს, დიდებულებს, თავგამოდებაც“

1 ი. ჭავჭავაძე ტ. III, 1953, გვ. 68—69.

ლებს, ისინი სულ არიან გამოკვეთილ ნაკრების  
გასმა ჩვენია—მ. შ.) ამგვარად, ი. ჭავჭავაძისათვის მთავარია ძოვლე-  
ნის არსის დაჭერა და მხატვრულ სახეში განხორციელება, მაგრამ,  
ჯონკრეტული, მხატვრული სახე, წარმოადგენს რა იმ ფოკუსს, რო-  
მელიც თავს უყრის უარესობითეს ნიშნებს, ამასთან ინარჩუნებს თა-  
ვის კონკრეტულობას. ი. ჭავჭავაძეს კონკრეტული პიროვნება  
ლუარსაბ დათქარიდე მიაჩნია ინდივიდათ, რომელიც მთელის სის-  
რულით გამოხატავს მისი სოციალური ფენის არს („იმიტომ არ  
გავიშვებ, — მიმართავს ავტორი ლუარსაბს, — რომ ნიმუშად მინ-  
დიხარ: შენ ათასს ჰგვანებიხარ და ათასი შენა“)!. ლუარსაბი სრულ-  
ყოფილად გამოხატავს გადაგვარებული ქართველი თავადაზნაურო-  
ბის არს და ამავე დროს განსაკუთრებული, ინდივიდუალური, პი-  
რადად მისთვის დამახასიათებელი შტრიხები გააჩნია.

რასაკვირველია, ი. ჭავჭავაძე ვერ ამაღლდა ტიპიურობის დღე-  
ვანდელ, ყოველმხრივ განსაზღვრამდე, მაგრამ მის შეხედულებებში  
ბევრი რამაა ისეთი, რაც მას დღევანდელ ესთეტიკურ აზროვნებას-  
თან აახლოვებს.

დიდ ქართველ მწერალს ბევრი რამ აქვს დაწერილი რეალის-  
ტური ხელოვნების თეორიის საკითხებზე, მას სამართლიანად მია-  
ჩნდა, რომ ჭეშმარიტების ხელოვნებაში განსახიერებისას საქმარისი  
არ არის გამოსასახავი იდეის სისწორე, რომ ამისათვის საჭიროა  
თვით სინამდვილის წარმოსახვის, განზოგადების სისწორეც. ი. ჭავ-  
ჭავაძე არ გამორიცხავდა ხელოვნების ეროვნულ ბუნებას, ყოველი  
ერის ცხოვრებისა და „სულიერი მოძრაობის“ თვისებურებას. კო-  
ზლოვის პოემა „შეშლილს“, „უეროვნო“ ნაწარმოებად იგი სთვლი-  
და იმის გამო, რომ ეს ნაწარმოები მოკლებული იყო ეროვნულ თა-  
ვისებურებას.

ი. ჭავჭავაძისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ხელოვნების  
ესთეტიკურ მიზანსა და დანიშნულებას, ესთეტიკური გრძნობის  
საიდუმლოებას, ფორმისა და შინაარსის ურთიერთ დამკიდებუ-  
ლებასა და სხვა. სამწუხაროდ პატარა წერილში ძნელია ყველა ამ  
რთული და სერიოზული საკითხების გარჩევა და ანალიზი, აღვნიშ-  
ნავთ მხოლოდ, რომ გვაქვს — რა საქმე ი. ჭავჭავაძის ესთეტიკურ  
თვალსაზრისთან, ჩვენ კრიტიკული რეალიზმის ჭეშმარიტ თეორიის  
უკავშირდებით. ეს გასაგებიცაა, რაღვანაც საერთოდ თეორიული  
შეხედულებანი, ესთეტიკური მრწამსი მისთვის მჭიდროდ იყო და-

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე, ტ. II, 1959, გვ. 570.

კავშირებული „პრაქტიკულ ინტერესთან“, „საქმესთან“, იმ თანმიმდევრულ ბრძოლასთან, რომელსაც ის და მისი თანამოაზრენი ქართულ ლიტერატურაში და ხელოვნებაში კრიტიკული რეალიზმის დამკვიდრებისათვის ეწეოდნენ.

ი. ჭავჭავაძის კრიტიკულ ნააზრევში დიდი ადგილი აქვს დათომბილი თეატრისა და დრამატურგის პრობლემებს.

გამომდინარეობდა — რა ხელოვნების უტილიტარული პრინციპებიდან, ი. ჭავჭავაძე თეატრს ხალხის აღზრდის უმძლავრეს იარაღ სთვლიდა. ისევე როგორც ბელინსკის, გოგოლს, ჩერნიშევსკის, შეჟყინს მასაც თეატრი ხალხის აღმზრდელ სკოლად, ტრიბუნად მიაჩნდა, ამიტომაც იყო რომ ასეთი ენთუზიაზმით შეუდგა იგი ამ თეატრის აღდგენის საქმეს, არ ინანებდა შრომას, ენერგიასა და ნიჭის ქართული კულტურის ამ ჩამქრალი კერის გამოცოცხლებისათვის, ამიტომ იყო თავის მრავალრიცხვოვან წერილებში იგი ქადაგებდა ამ აზრს, რომ თეატრი დიდ როლს თამაშობდა ხალხის ეროვნულ მოძრაობის განვითარებაში, „სულიერი ვითარებისა და ავითცხობიერების გაღვიძების საქმეში“.

1882 წ. ი. ჭავჭავაძე წერდა: „გაბედვით ვიტყვით, ჩვენში დიდებისათვის, ისეთივე მნიშვნელობა აქვს ქართულ თეატრს, როგორც პატარებისათვის სკოლას“... იგი „ცხოველის სურათებით ელაპარაკება კაცის გულსა და ჭიუას... ამ თავის თვისებით კაცის გუნებაზე უფრო მეღგრად მოქმედებს, ვიდრე სხვა რამე. ამ მხრით არის იგი სანატრელი, ამ მხრით არის იგი კაცის გრძნობასა და ჭიუის გამაფხიზლებელი, გამწმენდელი. სცენა ხალხის მწვრთნელი, ხალხის გამზრდელი უნდა იყოს“.<sup>1</sup>

ი. ჭავჭავაძე თეატრს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ეროვნულ თვალსაზრისით. იგი სამართლიანად სთვლიდა, რომ ქართული სცენა ხელს შეუწყობდა ერთიანი ქართული ენის დამკვიდრების საქმეს, განამტკიცებდა ხალხში ეროვნულ თვითშეგნებას. ი. ოქრომჭედლიშვილისადმი მიწერილ წერილში იგი მღელვარედ წერდა — „ხომ იცი თეატრი რა დიდი რამ არის ჩვენისთანა დაცემული ხალხსათვის. მაგის მეტი ნაციონალობის ნიშანწყალი ჯერჯერობით ჩვენ არა გვაქვს რა. ეგ ერთი ადგილია საცა ჩვენი ენა საჯაროდ ისმის და საჯაროდ მოქმედებს, ესეც საკმაოა, რომ კაცმა თავი გამოიდოს, თორემ თეატრს ხომ სხვაც ბევრი სიკეთე მოსდევს“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე, ტ. 3, გვ. 311.

<sup>2</sup> ი. ჭავჭავაძე, წერილები, სოხუმი, 1949, გვ. 62.

ანიჭებდა — რა თეატრს ესოდენ დიდ საზოგადოებრივა მნიშვნელობას ი. ჭავჭავაძემ თავისი ორგანიზაციული მოღვაწეობით, თავისი უშუალო დახმარებით დიდი ღვაწლი დასდო 1879 წელს ოღვენილ ქართულ თეატრს. იგი იღწოდა მისთვის როგორც დრამატული საზოგადოების თავმჯდომარე, როგორც დრამატურგი, (თუმცა დრამატურგია არ იღვა მისი შემოქმედებითი ინტერესების ცენტრში, მაგრამ თეატრისათვის მან მაინც დაწერა ისეთი ნაწარმოებები როგორიცაა „ქართლის დედა“, „გლეხთა განთავისუფლების პირველი დროების სცენები“ და სხვა), მან. ივ. მაჩაბელთან ერთად, თარგმნა უ. შექსპირის „მეფე ლირი“, მიიღო მონაწილეობა მის დადგმაში და როგორც მისი თანამედროვენი აღნიშნავდნენ, იგი „შემკობილი“ იყო „ბუნებრივი მყითხველის ღირსებით“<sup>1</sup>. მხატვრული კითხვის ეს ნიჭი და ოსტატობა ი. ჭავჭავაძეს დიდად დაეხმარა მსახიობთა ხელოვნების შესწავლაში, იმ რჩევა-დარჩევებათა სარგებლიანობაში, რომლებითაც იგი თავის კრიტიკულ წერილებში ქართული სცენის ოსტატებს მიმართავდა.

ი. ჭავჭავაძეს, მიაჩნდა — რა თეატრი ხალხის ზეობის ამამაღლებლად და საზოგადოების მჩვთნელად, ცხადია, დიტი ყურადღება უნდა გაემახვილებინა რეპერტუარის საკითხებზე. შაროლაც რ. ჭავჭავაძე ვრცელ წერილებში თანმიმდევრულად იხილავს ქართული თეატრის მიერ დადგმულ პიესებს. მას, ისევე როგორც მის თანამოაზრებს და ქართული სცენის გამოჩენილ მოღვაწეებს, ვერ დააკმაყოფილებდა ის მდგომარეობა, რომ ამ დროის ქართული სცენა ძირითადში თარგმნილი და გადმოკეთებული რუსული და უცხოური ვოდევილებითა და პიესებით კმაყოფილდებოდა. დიდი ინტერნაციონალისტი, ი. ჭავჭავაძე სრულიადაც არ იყო მომხრე იმისა, რომ ქართული თეატრი მხოლოდ ეროვნული პიესებით შემოფარგლულიყო, მაგრამ იგი კატეგორიულად წინააღმდეგი იყო იმისა, რომ ქართულ სცენაზე დაედგათ „გულისა და ენის გამრყვნელი“ პიესები, ამიტომაც, უარპყოფდა — რა ისეთი ნაწარმოებების ქართულ სცენაზე დანერგვას როგორიც იყვნენ — „მშენიერი ელენე“, „გეოგინას და კამპანია“, „უნდა გავიყარნეთ“, „ბუტიაობა“ და სხვა, რაც მხარს უჭერდა იდეური, მაღალმხატვრული და შინაარსიანი პიესების თარგმნას. შექსპირის, მოლიერის, გოგოლისა და სხვა დიდ დრამატურგთა ნაწარმოებები მიაჩნდა მსახიობთა და მაყურებელთათვის უაღრესად სასარგებლოდ. კერძოდ, გამომდინარეობდა — რა თავისი რეალისტური ესთეტიკური მრწამსიდან, იგი წერილში

<sup>1</sup> იხ. „ივერია“, 1000, № 73; ი. გრიშაშვილი. ლიტერატურული ნარკვევები, თხ. 1952, გვ. 271.

„გოგოლის „რევიზორის“ საიუბილეოდ“ მხარს უჭერდა ამ პიესის ქართულ სცენაზე დადგმას, რადგანაც ხედავდა როგორც ამ ნაწარმოების განუმეორებელ — სრულყოფილ მხატვრულ ფორმას, ისე მის ღრმა შინაარსს. „ამასთან კაცნი, — წერდა ი. ჭავჭავაძე გოგოლის შესახებ, — მით არიან სახელმოვანნი, რომ თუმცა სისხლით და ხორცით ერთ რომელსამე გვარტომობას ეკუთვნიან, მაგრამ თავისის ღვაწლით ამასთანავე გვაჩვენებენ ხოლმე, რით არის მათი გვარტომი თანამოზიარე მთელ კაცობრიობისა და რაგვარი ნაკადული შეაქვს იმ დიდ ზღვაში, რომელსაც კაცობრიობას ეძახიან, რა განძსა და საუნგესა სდებს იმ ძეცნიერებისა და ხელოვნების ტაძარში რომელიც ყველას ეკუთვნის და რომლის კარი მუდამ ღიაა ყველა-სათვის ერთნაირად და თანასწორად, მიუხედავად რჯულისა, გვარტომისა და დიდ-პატარაობისა”<sup>1</sup>.

აღნიშნავდა — რა უცხოური პიესების ქართულ სცენაზე დადგმის მიზანშეწონილობას, ი. ჭავჭავაძე, ამასთან ყურადღებას ამახვილებდა თარგმანებისა და გადმოკეთებების ხარისხზე. იგი ამტკიცებდა, რომ უცხოურ პიესაში სახელების, გვარებისა და გეოგრაფიულ სახელწოდებათა შეცვლა ვერ გააქართულებს პიესას. დიდ შეწერალს მიუღებლად მიაჩნდა ზერელე, გარეგნული ხასიათის „გადამიკეთება“. მისი აზრით სხვისი ცხოვრების სცენაზე გადმოტანისათვის საჭირო იყო იმ ერის ხასიათების, ზნე-ჩვეულებების, ისტორიის, საოჯახო და საზოგადოებრივი წყობილების ღრმად შესწავლა, რომელსაც ეს დრამატურგული ნაწარმოები აღწერდა. მას სამართლიანად მიაჩნდა, რომ „გადმომკეთებელს უფრო დიდი საგზალი უნდა, უფრო მეტი ღონე სჭირია, უფრო მეტი ცოდნა, უფრო მეტი ნიჭი, ვიდრე მთარგმნელსა“<sup>2</sup>.

ამასთან, რაგინდ მნიშვნელოვანი და მაღალხარისხოვნად შესრულებული არ უნდა ყოფილიყო თარგმნილი პიესები, ეროვნული თეატრის მასაზრდოებლად ი. ჭავჭავაძე მაინც ქართულ დრამატურგიას სთვლიდა. იგი ნათლად ხედავდა რა რიგ ღარიბი იყო ამ მხრივ ქართული თეატრი და ყოველ ღონეს ხმარობდა რათა მხარი დაეჭირა ყოველი ახალი ქართული პიესისათვის, თუმცა ამისათვის არასოდეს შეუსუსტებია მომთხოვნელობა და არ წასულა კომპრომისზე. ყურადღასაღებია ის ფაქტი. რომ ი. ჭავჭავაძის მიერ დაწერილ კრიტიკულ წერილებში მთავარი მაინც კრიტიკაა, დიდი შეწერალი

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე, ტ. III, 1953, გვ. 87.

<sup>2</sup> იქვე, ტ. III, გვ. 125.

დრამატურგთა ყურადღებას ამახვილებდა მათ ნაწარმოებთა სუსტ-  
მხარეებზე და მეცატრი და მომთხოვნი იყო ყველას მიმართ, ამასთან  
ეს მისი მეგობრები ყოფილიყვნენ.

ი. ჭავჭავაძეს დრამატურგული უანრი ყველაზე რთულ უანრად  
მიაჩნდა. „ერთობ დრამის შექმნა დიდად ძნელი რამ არის, —  
სწერდა ი. ჭავჭავაძე, — იმიტომ რომ დრამა სულისა და გულის  
ცხოვრებაა, სულისა და გულის დიდ ძვრაზეა ასაგებელი და ასა-  
შენებელი. მეტის-მეტი მჭრელი, მეტის-მეტი მხიბლავი ნიჭი უნდა,  
მეტის-მეტი ნათელი გონება, რომ კაცი მისწვდეს... იმ უცნაურ საი-  
დუმლოებას, რომელსაც ადამიანის სულისა და გულის ძრა ჰქვიან,  
და რომელიც იმდენად უფრო დიდ საიდუმლოებად გვევლინება,  
რამდენადაც უფრო ახლო მიუვალთ. ამიტომაც დრამის შექმნა ყვე-  
ლა სხვაგვარ პოეტურ თხზულებაზე გაცილებით ძნელია და ყველა  
მწერალი — თუნდაც ნიჭიერიც — ვერ ბედავს ხელი შექმართოს“<sup>1</sup>.

„სულისა და გულის უდიდეს ძრას“, ადამიანის ცხოვრებისა  
და განცდების, მისი ხასიათის რეალისტურ ასახვას მოათხოვდა  
ი. ჭავჭავაძე ქართველ დრამატურგთაგან, ამ პრინციპებს ანბორ-  
ციელებდა თავის შემოქმედებით პრაქტიკაში და სწორედ ამ პოზი-  
ციებიდან გააკრიტიკა მან ი. ლაზარაშვილისა და ა. ცაგარელის ის-  
ტორიული დრამები — „მტარვალი“ და „ქართველი დედა“.

წერილში „ისტორიული დრამების გამო“ იგი დაწვრილებით  
იხილავს ამ ნაწარმოებებს. ეხება — რა დრამის ისტორიულობის  
საკითხს ის არ გამორიცხავს იმას, რომ ავტორმა შეიძლება აღწე-  
როს მოგონილი ამბავი, თავისი ფანტაზიით შექმნას პიესის სიტუა-  
ციები და მისი გმირები, მაგრამ, ამასთან, მას აუცილებლად მიაჩ-  
ნია, რომ პიესაში ნაჩვენები იყოს ისტორიული ეპოქა, „გულის-  
ტკივილი“, „სწრაფვა სულისა“, „ზნე-ჩვეულებები, ყოველივეს ის  
რაც პიესაში აღწერილ ეპოქის საზოგადოებრივ და კერძო ცხოვრე-  
ბას წარმართავდა. აკრიტიკებდა — რა ამ საჭირო მომენტის უგუ-  
ლვებელყოფას ი. ლაზარაშვილისა და ა. ცაგარელის ისტორიულ  
პიესებში, ი. ჭავჭავაძე არსებით ნაკლად სთვლიდა იმასაც, რომ ამ  
პიესებში მოცემული იყო ყალბი პატრიოტიზმი, ერთმანეთს უპი-  
რისპირდებოდნენ მხოლოდ უარყოფითი გმირები (მტერი) და და-  
დებითი (ქართველები). პერსონაჟების ამგვარი დაყოფა ი. ჭავჭა-  
ვაძეს თავიდან ბოლომდე ყალბად და ბავშვურად მიაჩნდა. მისი აზ-  
რით არ არსებობენ ქვეყნად მარტო ავი და მარტო კარგი ერები, ან  
ადამიანები.

1 ი. ჭავჭავაძე, ტ. III, გვ. 186.



ყალბი ისტორიული დრამის დაწერა, მყვირალა პატრიოტიზმი არა მარტინი ადგენდა, არამედ გრძნობების წაწყმედას, გაყალბებას, დაბრმა-ვებას“. „ეგ ცეცხლია ჩალაში გაჩენილი, — წერდა იგი, — რომე-ლიც აპრიალების უმალვე ჩაქრება და ხელში მარტო ფერფლი გვრჩება და ჰაერში — ნატისუსალი. ყალბად და, მაშასადამე, უქ-მად აპრიალებულ გრძნობაზე უსაძაგლები არა არის-რა ქვეყანაზე და მით უფრო მოსარიდებელია, რომ წამტყუებელია, მაცდურია ყოველ გაუწურთნავ და გონება-გაუხსნელ კაცისათვის“.<sup>1</sup>

უარპყოფდა — რა ცრუპატრიოტიზმს და ამგვარ პიესების ყალბ პათოსსა და ცარიელ ეფექტებს, ი. ჭავჭავაძე ყურადღებას ამავილებდა მომქმედ პირთა სახეთა, ხასიათთა სქემატურობაზე. მან კონკრეტული ანალიზი გაუკეთა ყოველ სახეს პიესისა „ქართ-ველი დედა“ და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ არც ერთი მათგანი არ წარმოადგენს ცოცხალი აზრებითა და გრძნობებით გამობარ ჩეალისტურ სახეს, რომ ისინი მხოლოდ ავტორის აზრების რუპო-რებია. ი. ჭავჭავაძე ა. ცაგარელს უსაყველურებდა იმას, რომ მისი გმირი, ქართველი დედა მთელი პიესის მანძილზე უგრძნობლად გაიძახის, რომ მან სამშობლოს გაუზარდა ხუთი შვილი, ხუთი ვაჟ-კაცი და მუდამ მზადაა მათი შეწირვისათვის. ი. ჭავჭავაძე ამტკი-ცებდა, რომ ეს ხასიათი უნდა ყოფილიყო რთული, ღრმა განცდე-ბის, შინაგანი კონფლიქტების მატარებელი. განა დასაჯერებელია ის, რომ დედამ, რარიგ არ უნდა უყვარდეს სამშობლო ასე ადვი-ლად, უყოყმანოდ, სასიკვდილოდ გაიშეტოს თავისი პირშო. დიდ შეწერალსა და ფინანსოვს ადამიანის ხასიათის სიმართლიდან გა-მომდინარეს, საჭიროდ და აუცილებლად მიაჩნდა დედის გულში დედაშვილური და მამულისშვილური სიყვარულის ჭიდილი.

ასევე მშრალნი სქემატურნი არიან პიესაში გამოყვანილი ოქ-ში მიმავალი ვაჟკაცებიც, ისინი ი. ჭავჭავაძის სიტყვით „გულის სა-გრძნობელს არა წარმოადგენენ“, რაღაც ყოველი მათგანი თა-ვიდანვე, გამოვლენ თუ არა სცენაზე გასაგები არიან იმით, რომ თა-ვიდანვე მაყურებელმა იცის ის, თუ „ვის რა კაცობის ბილეთი აკ-რავს შუბლზე ავტორისაგან“. პერსონაჟების ამგვარი ზერე-ლე, არაბუქებრივი, წინასწარი ტენდენციით წარმოსახვა. ი. ჭავ-ჭავაძეს განხილული დრამების დიდ ნაკლად მიაჩნდა. იგი ხაზს უს-ვამდა იმას, რომ „მტარვალი“ და „ქართველი დედა“ წარმოადგენ-დნენ ავტორის მიერ აღებულ ტენდენციის ილუსტრაციას, რომ ამ

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე, ტ. III, გვ. 189.



პიესებში წაშლილია გრძნობათა ჭიდილის ბუნებრივი გამოცემული ბავშვები, ხოლო საქმეს, მოქმედებას, ნამდვილ ხასიათებს სიტყვიერი დეკლარაცია, სქემები, ჩონჩხად ქცეულ გმირთა უღიმდამო ბოგინი სცვლის. ეს პიესები მოკლებული იყო დამაჯერებლობას, ემოციური ზემოქმედების უნარსა და მხატვრულ ღირსებას და სწორედ ამიტომაც უარჲყო ისინი ო. ჭავჭავაძემ.

ი. ჭავჭავაძე მხატვრული წარმოსახვის სპეციფიური შემცხებული ბითი არსის სწორი გაეგბის საფუძველზე იდგა და თავგამოდებით იცავდა იმ რეალისტურ პრინციპებს, რომელთა თანახმად მხატვრულ ქმნილებაში ავტორის იდეა (ტენდენცია) და ხასიათების ბუნება შინაგანად უნდა გამომდინარეობდეს სიტუაციებისა და მოქმედების განვითარებიდან, სინამდვილის მხატვრული გარდასახვის სილრმიდან, მხატვრული სახეების შინაგანი არსიდან.

როგორც აღნიშნეთ, ი. ჭავჭავაძეს თანმიმდევრულად იბრძოდა ქართულ სცენაზე ღრმა იდეური, ცხოვრების სინამდვილის ამსახველი, მაღალმხატვრული რეპერტუარისათვის. მას მიუღებლად მიაჩნდა უიდეო, გამრთობი და უხამსი ვოდევილებისა და კომედიების დადგმა, თუმცა თავისთვად იგი ყველა დრამატული უანრის მომხრე იყო, ოლონდა ეს ნაწარმოებები „სულისა და გულის უდიდესერაზე“ ყოფილიყო აეგბული.

უაზრო, უგემური, უმარილო პიესის მიერ გამოწვეული სიცილი მხოლოდ „მჭვარტლს მოპეიდებს ადმიანის გულს“<sup>-1</sup>, ასე ამტკიცებდა ი. ჭავჭავაძე და ავითარებდა — რა თავის აზრს წერდა: „იგი სიცილი, მაშხალასა ჰგავს, რომელიც მინამ ანთია კიდევ ჰო, როცა კი დაიწვის და ჩაქრება, დამწვარი ჩვარი-ლა დარჩება და ცხვირის მოსარიდებელი ნატისუსალი... სიცილი მხოლოდ სიცილისათვის, მხოლოდ გასართობია უსარგებლო და ფუჭი“<sup>2</sup>!

ილიასათვის სიცილი უნდა ყოფილიყო „გმქითხავი, გამქიცხავი და ბასრ ხმალზე უფრო მჭრელი“, „ცრემლზე უფრო მწარე და ბოროტის საკლავად შხამზედ უარესი“<sup>3</sup>.

ამლევდა — რა მაღალ შეფასებას გ. ერისთავის სატირიკულ ნიჭს ი. ჭავჭავაძე წერდა — „გ. ერისთავი, როგორც პოეტი, იმითავ შესანიშნავი, რომ ჩვენს პოეზიას ჩაუმატა ის პირწვეტიანი ეკალი, რომელსაც „სატირას“ ეძახიან და რომელიც ზოგჯერ გამოსაჭვთებლად აწყლულებს ხოლმე იმას, ვისაც კი დაეძვერება და სხვას ყოველთვის აფრთხილებს“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე, ტ. III, გვ. 112.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 222.

ლიტერატურული მკვლევარი იპ. ვართაგავა თავის წიგნში „ილია ჭავჭავაძე თეატრალური კრიტიკოსი“, ახდენს — რა ი. ჭავჭავაძის თეატრალურ-კრიტიკული მემკვიდრეობის ანალიზს, ჩვენის აზრით შეცდომას უშვებს, როცა სწერს, რომ თითქოს ი. ჭავჭავაძე გ. ერისთავის დრამატურგის მნიშვნელობას ქართული თეატრისათვის არ იფასებდა ჯეროვნად.

კერძოდ, ხსენებული ავტორი წერს — „ილია ხომ უმოძრაობის, ერთ ადგილზე გაჩერების გაყინვა-გრძინდების დაუნდობელი მტერი იყო! ქართული დრამატურგის მდგომარეობაშიაც პოძრაობას, განვითარების სიახლეს მოითხოვდა და ნატრულობდა. ილია თავისი ეპოქის მაჯისცემის გამოშსახ-დელი, — გ. ერისთავის და ზ. ანტონოვის თეატ-რის რეპერტუარით არ იყო კმაყოფილი და საჭიროდ სთვლიდა ასალი თეატრისათვის შე-საფერისი რეპერტუარი. შექმნილიყო<sup>1</sup>. (ხაზგას-მა ჩემიან ნ. შ). საინტერესოა რის საფუძველზე აყენებს ავტორი საკითხს იმის შესახებ, რომ ი. ჭავჭავაძე არ იყო კმაყოფილი გ. ერის-თავისა და ზ. ანტონოვის რეპერტუარით, მაშინ როდესაც, როგორც ზემოთ მოყვანილიდან ნათლად სჩანს, ი. ჭავჭავაძე მაღალი აზრისა იყო გ. ერისთავის სატირულ დრამატურგიაზე, ამას გარდა, განადასშვებია ვიფიქროთი ის, რომ რაყი ილია მომხრე იყო მოძრაობის, წინსვლის, განვითარების, ამიტომ უარს იტყოდა მემკვიდრეობაზე, ტრადიციებზე?! რომ ეს მცდარი აზრი ავტორს შემთხვევით არა ჯეს მოყვანილი, ამას ისიც ადასტურებს რომ იმავე წიგნის 42 გვერდზე ი. ვართაგავა უარყოფს 80-იანი წლების ქართული ოეატ-რის მიერ გ. ერისთავის თეატრის რეალისტური ტრადიციების გა-გრძელებას, რაც ასევე მცდარია.

შესაძლოა ი. ჭავჭავაძეს სპეციალური წერილი არ დაუწერია გ. ერისთავის თეატრსა და დრამატურგიაზე, მის პიესათა სცენურ განხორციელებაზე, მაგრამ ის ფაქტი, რომ ილია გ. ერისთავის დრამატურგიას შესანიშნავად, სამაგალითოდ სთვლიდა მისი სატი-რიკული მიმართების გამო, იმ დროს როდესაც უშინაარსო, უაზრო კომედიებს აკრიტიკებდა, ნათელი საბუთია იმისა თუ როგორი კომედია მიაჩნდა მას სანიმუშოდ ქართული სცენისათვის,, რო-გორ ტრადიციას იცავდა იგი ქართულ დრამატურგიასა და თეატრში.

<sup>1</sup> იპ. ვართაგავა, ი. ჭავჭავაძე თეატრალური კრიტიკოსი, „ხელოვნება“ თბ., 1958, გვ. 43.

ი. ჭავჭავაძე, თავის მრავალმხრივ მოღვაწეობაში, გვეცლავთ ან  
როგორც პირველი თეატრალური კრიტიკოსი. მისი ღრმადკვალ  
ფიცირებული, მაღალპროფესიული წერილები, ქართული თეატრი  
სა და მის მოღვაწეთა შესახებ, კიდევ ერთი გამოვლინებაა დიდ  
მწერლის ბრძოლისა ქართულ ხელოვნებაში კრიტიკული რეალიზმის  
მის დამკვიდრებისათვის.

გამოღიოდა-რა მაღალი იდეებისა და მაღალმხატვრულობის მატარებელი თეატრის შემოქმედებითი პრინციპების დამცვეშ  
ლად, ი. ჭავჭავაძე სასტიკად აკრიტიკებდა ქართული თეატრისადმი  
მი გულგრილ არისტოკრატიულ მაყურებელს. იგი ამტკიცებდა იდ  
აზრს, რომ თეატრი ხალხისათვისაა, შექმნილი, რომ მის ამოცანას  
არა ერთი მუჭა გადაგვარებულ, უქნარა, მოყირჭებულ მღიღარათ  
გართობა შეაღენს, არამედ ხალხის უანგარო სამსახური, მას ღრმად  
სწამდა, რომ თეატრის ამოცანაა იმათი სამსახური, ვისაც „დღისით“  
მუშაობით დაღალულს და დაქანცულს, სულისა და გულის ჭეშმარ  
ჩიტი გასართობი, ადამიანურად დროის გატარება“ თეატრში უნდა  
მოენახა.

ადამიანთა თანასწორობის იდეისადმი ღრმა თანაგრძნობის  
შედეგი იყო, ის რომ ი. ჭავჭავაძე ბაიარისა და ვარერბუხის ორ-  
მოქმედებიანი კომედიის „პარიზელი ბიჭის“ გარჩევისას, განსაკუთ-ღ  
რებულ აქცენტს აკეთებდა იმ სცენაზე, რომელიც სოციალური  
უთანასწორობის წინააღმდეგ იყო მიმართული და რომელიც უფრომ  
კარგად ჰქადაგებდა „ადამიანთა თანასწორობას, ვიღრე განგებ ამა  
აზრის განსამარტებლად შეთანხმებული ფრაზები“. 1

ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, თუ რა აზრისა იყო დიდი ილია  
თეატრზე და მის საზოგადოებრივ დანიშნულებაზე. თავის თეატ-  
რალურ რეცენზიებში იცავდა რა ამ შეხედულებებს, იგი ილვწოდა  
კრიტიკული რეალიზმის დამკვიდრებისათვის აქტიორულ ხელოვ-  
ნებაში; იგი ღრმა ანალიზს უკეთებდა ქართული სცენის ისეთ კო-  
რიფეთა შემოქმედებას როგორიც ვ. აბაშიძე, ნ. გაბუნია, მ. საფა-  
როვა-აბაშიძე, კ. ყიფიანი, ლ. მესხიშვილი ვ. გამყრელიძე და დ. აწ-  
ყურელი იყო. ი. ჭავჭავაძე სოვლიდა, რომ სამართლიან, პროფე-  
სიულ კრიტიკას მსახიობისათვის მხოლოდ სარგებლობის მოტანა არ  
შეუძლია, რომ „დიდ ნიჭის მეტი მოეთხოვება“ და ამიტომაც „სულ  
უმნიშვნელო სამართლიანი და ფსიქოლოგით გამართლებული შე-  
ნიშვნა მას უფრო ზრდის, უფრო სრულყოფილს ქმნის“. 2 ამიტო-  
მაც მიუდგომელი, პირუთვნელი და მომთხოვნი კრიტიკოსი, ი. ჭავ-

1 ი. ჭავჭავაძე, ტ. V, გვ. 40.

ა. ჭავაძე მსახიობთაგან მოითხოვდა მათი პროფესიის ყველა შხარის ზედმიწევნით დაუფლებას, მაღალ გემოვნებას, შეტყველების, მისის პიკის, პლასტიკის სრულყოფას. შეიძლება თქვას, რომ არ იყო იხარე მსახიობის შემოქმედებისა, რომელსაც ა. ჭავჭავაძე არ შე-დებოდეს თავის წერილებში. მისი წერილი დ. ერისთავის „საშობ-ლოში“ ვ. გამყრელიძის მიერ სვიმონ ლეონიძის როლის შესრულე-ბის შესახებ, ქართული თეატრალური კრიტიკის შესანიშნავი ნიმუ-შია. ი. ჭავჭავაძე, ისევე როგორც ხელოვნების სხვა სახეობაში მსახიობის თამაშშიც ღრმა იდეურობას მოითხოვდა. იგი ამტკიცებ-და, რომ მსახიობი დრამატურგის მიერ დაწერილი ტექსტის უბრა-ლო გადმომცემი კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ მისი ღრმა ინტერ-პეტატორი, პიესის აზრის სწორად გამხსნელი, მხატვრული სიმარ-ოლის მატარებელი. მხატვრული სიმართლის ძირითად ფაქტორად ი. ჭავჭავაძეს განსახოვნების ბუნებრივობა, ზომიერება მიაჩნდა, იგი მსახიობისაგან მოითხოვდა როლის „უმეტნაკლებო აღსრულე-ბას“, გმირის განწყობის, სულიერი მდგომარეობის ემოციურად სრულებრივ გადმოცემას, ხასიათის განვითარების თანმიმდევრუ-ლობასა და დამაჯერებლობას.

მსახიობის მთავარ ღირსებად იგი სთვლიდა მის „თვითშე-ფობა“-ს, ამიტომ იყო, რომ გ. სუნდუკიანის „ხათაბალაში“ მან ისაიას როლის შესრულება დაუწუნა დ. აწყურელს, დაუწუნა რად-გან ეს მსახიობი თავის თამაშში ვ. აბაშიძეს ბაძავდა ისე, რომ სა-კუთრივ არაფერი ჰქონდა მონახული.

ი. ჭავჭავაძე საჭირო შემთხვევაში თვით სახელმოხვეჭილ მსა-ხიობსაც-კი მიუთითებდა მათი თამაშის ნაკლებ, იგი აკრიტი-კებდა კ. ყიფიანს იმის გამო, რომ მას ზოგჯერ ენა ებმოდა სიტყვე-ბის ბოლოებს ყლაპავდა, რომ „თამაშის დროს ხშირად ხელებს და თითებს უთავბოლოდ ამოძრავებდა“, რომ ვ. აბაშიძემ დაამახინჯა ექიმის როლი პიესაში „შეშლილი“ და იგი მოულოდნელად კომი-კური გახდა, რომ ნ. გაბუნია „ხშირად თავიდან ბოლომდე თავის როლს ვერ ატარებდა“ მას არ მოსწონდა ის, რომ ლ. მესხიშვილს მართულ სცენაზე მოღვაწეობის პირველ წლებში რუსული აქცენ-ტი ჰქონდა, რომ სცენაზე ჩურჩულობდა („დრამატებური ყელში აბარაკი“) და სხვ.

კრიტიკოსის გამჭრიას თვალს არაფერი გამოპარვია არც მსა-ხიობთა ტანსაცმელი, არც გრიმი, არც სხვა კომპონენტები როლისა მისი კრიტიკა პირდაპირი მყვახეც-კი, მაგრამ მუდამ სამართლიან-იყო, და ამ სამართლიანობას მოწმობს ის სიხარული, რომლითაც დიდი ილია ეგებებოდა ქართველ მსახიობთა ყოველ შემოქმედე-

ბით გამარჯვებას, მაშინ იგი მათთვის არ იშურებდა ეპიტეტებს „ბრწყინვალე“, „გასოცარი“, „მაღლიანი“, „მარილიანი“ კრიტიკის გვერდით, რომლითაც იგი მათ ნაკლოვანებებზე მიუთო თებდა, რა დიდი ფასი ეძლეოდა ამ შექებას!...

გამომდინარეობდა — რა რეალზმის პრიციპებიდან, ი. ჭავჭავაძე მსახიობის უმნიშვნელოვანეს ღირსებას, „შემოქმედებითი ნიჭის ძალას“ ტიპების შექმნაში ხედავდა.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ის, თუ როგორ ესმოდა ი. ჭავჭავაძე ტიპურობის პრობლემა, სწორედ ამ გაეგბით აფასებდა იგი დიდ ჭართველი მსახიობის ვასო აბაშიძის თამაშსაც როდესაც სწერდა:

„არ გაგონილა იმისთანა კომიკი, როგორიც ბ-ნი აბაშიძე როცა თავის როლშია და გუნებაზედაც არის, ნამდვილი არტისტი ბ-ნს აბაშიძეს ერთი ისეთი შემოქმედების ნიჭი აქვს, რომელი იშვიათად ექნება ხოლმე გამოჩენილ არტისტსაც და რომელი ჩვენს არტისტებში არ შეგვინიშნავს. ყოველ მოქმედ პირს, თუ ქმისი შესაფერის როლისაა, იგი განასახოვნებს ხოლმე და „ტიპად ვაღარაქცევს, რაც უფრო ცოტა სახსარი ჰქონდეს შოცემული ავტო რისაგან არტისტს ამისათვის. უყურებთ ბ-ნს აბაშიძეს სცენაზე და ფიქრობთ, — რა ვქნა, ამისთანა კაცი სადღაც მინახავს და არ მა გონდება კი სადა ან ვინ არისო. არტისტის სახის მეტყველება, ჩაცმა დახურვა, მიხრა-მოხრა, ყოველი გადადგმა ფეხისა, ყოველი სიტყვა ისე შეწყობილი და შეზაფებული და შემოქმედებლობის ნიჭით ის გარდაქმნილია, რომ გულში კაცი იტყვის: აი, ეს ახლა მომავონდ და ვიცნობო“<sup>1</sup>.

ამგვარად, ი. ჭავჭავაძე დიდი ნიჭის ნიმუშად ტიპურობა სთვლიდა. სწორედ ტიპის შექმნა მიაჩნდა მსახიობის შემოქმედებითი თვითმყობადობის, „თავისთავადობის“ დამამტკიცებლად და ამიტომ წერდა ვ. აბაშიძეს „თქვენს მიერ შექმნილი ტიპებით თქვენ დაგვიმტკიცეთ, რომ ჭეშმარიტი არტისტი იგივე შემოქმედია“.

ი. ჭავჭავაძემ საკუთარი აზრი გამოსთქვა იმ კამათის გაშო, რომელიც „განცლისა“ და „წარმოსახვის“ აქტიორული შემოქმედები მომხრეთა შორის იყო გამართული. დიდ მწერალს არამართებულა მიაჩნდა თვითმყობადობის ამგვარად დაყენება, მისი აზრით ეშოცი ური შემოქმედება მაყურებელზე იძადება გონიერებისა და გრძელ ბების, ნიჭისა და ტექნიკის, ტემპერამენტისა და შინაგანი კონტრო

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე, თეატრის შესახებ, გამ. „ხელოვნება“ თბ., 1955, გვ. 10.



ლის ერთიანობაში. ჩვენს მიერ უკვე ხსენებულ წერილში „ბ-ნი გამყრელიძე სკომონ ლეონიძის როლში“, იგი წერდა: „არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ის ფრიად ჭკვიან ური, გრძნობიერი, უმეტნაკლებობა აღსრულება როლისა. რომლის მაგალითი თვალშინ გავვიტარა ბ-ნმა გამყრელიძემ“<sup>1</sup>. (ხაზგასმა ჩვენია ნ. შ.).

ი. ჭავჭავაძე მკაცრად მოითხოვდა განცდის რეალიზმს, მსახიობთაგან ავტორის ჩანაფიქრის, როლის ძირითადი მარცვლის, გმირის განწყობილებების და; თავისცდებურებების სრულფასოვან სცენურ წორცესებმას. იგი ცდილობდა თეატრში დაენერგა ის ტენდენცია, რომ მსახიობს განვითარებოდა ქართული სიტყვისადმი სათუთი გრძნობა, მოწიწება, ენის დაფარული ნიუანსების ამოცნობის უნარი. ცოდნოდა განსასახიერებელი სახის ყოველი დეტალი, გმირის ბუნება საქუთარ თავში გადმონერგვა.

ეხებოდა — რა ლ. მესხიშვილის თამაშს მელოდრამაში „შეშლილი“, დიდ მსახიობს მან მოუწონა როლის ორმა ფსიქოლოგიური დამუშავება, ე. წ. „მეორე პლანის“ გახსნა, რაც ილის „მეტის-მეტად ძნელად მიაჩნდა“, მით უფრო რომ ამ შემთხვევაში, დიდი მსახიობისათვის ავტორს საჭირო მასალა არ ჰქონდა მიცემული.

ჩვენ არ შევჩერდებით ი. ჭავჭავაძის ყველა რეცენზიაზე, ყველა იმ შენიშვნაზე, რომლებიც მან ამა თუ იმ სპექტაკლის გამოსთვევა. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მისი ქება არასოდეს არ ატარებდა უბრალო კომპლიმენტის სახეს. თუ ვ. აბაშიძის თამაშში მას ატყვევებდა მის მიერ განხორციელებულ სახეთა ტიპიურობა, მაღალი კომიზმი, ნ. გაბუნიამ იგი აღფრთოვანებაში მოიყვანა, თავის თამაშის ზომიერებით, საოცარი უშუალობითა და გულშრფელობით. მ. საფაროვას „დიდ არტისტ ქალად“ იგი მისთვის სთვლიდა, რომ მან შესანიშნავად იცოდა ადამიანის სულის შინაგან ხვეულებში ჩაწვდომა, „ორიოდე სიტყვის თქმაში და გამოთქმაში“ ცალკე სიხარულისა და ცალკე მორცხვობის, „ცალკე ჰოს და ცალკე არას“, გაბედვის და გაუბედავობის, ტოკვის, ჭოჭმანის გადმოცემა. „გონებაგაქსნილი“, „ლრმად განვითარებული“ მსახიობის ლადო მესხიშვილის თამაშში იგი აღნიშნავდა გონიერებას, ჭეშმარიტ არტისტიზმს, ორმა ფსიქოლოგიზმა და განცდის სიმძლავრეს. ყოველი მსახიობი ი. ჭავჭავაძისათვის თვიმთყობადი, დამოუკიდებელი, სხვებისაგან განსხვავებული შემოქმედი იყო, თავისი კრიტიკული მოღვაწეობით იგი მათში სწორედ ამ მხარის — მკვეთრი ინდივიდუალობის, თავისებურების, ორაგინალობის განვითარებას

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე, ტ. III, გვ. 96.



უჭერდა მხარს, მაგრამ ყველა ამ შემოქმედთათვის მისი დანართი კური თვალსაზრისი ემყარებოდა იმ სიკეთას, იმ შალის ძნიშვნელობას, რომელიც მსახიობთა შემოქმედებას აღამიანებისათვის მოაქვს, როდესაც ეს შემოქმედნი სათანადო ნიჭითა და პროფესიონალიზმით შეიარაღებულნი, რეალიზმის ნიადაგზე დგანან და მხატვრულ წარმოსახვას ემსახურებიან.

ი. ჭავჭავაძე მუდამ ამტკიცებდა, რომ „ჭეშმარიტი გრძნობების სიმების აუღერება“ შესაძლებელია მხოლოდ როლის სწორი იდეური გააზრების დროს, როდესაც მხატვრული სიმართლით წარმოსახვა ჭეშმარიტ ესთეტიკურ სიამოვნებას იწვევს.

ი. ჭავჭავაძის ესთეტიკური მრწამსი, მისი წერილების ციკლი ქართულ ხელოვნებაში რეალიზმის დამკვიდრებისათვის ბრძოლის საუკეთესო მაგალითია და ის სამოქმედო პროგრამაა, რომელზე დაყრდნობითაც XIX საუკუნის ქართულ სასცენო ხელოვნებაში საბოლოოდ დამკვიდრდა კრიტიკული რეალიზმი.

მსახიობის ოსტატობისა და რეჟისორის კათედრა

ანთონ თავაჩარაშვილი

მსახიობის ჯემოქმედების პეცივიკის განხილვა

ი. ჭავჭავაძის ესთეტიკის შუალება

დიდი ილიას ესთეტიკური მემკვიდრეობის უმდიდრეს საგან-  
ჟურში თეატრალური ხელოვნების სპეციფიკის საკითხებს ერთ-ერ-  
თ მთავარი აღვილი მიეკუთვნება. ილია ჭავჭავაძის შეხედულებანი  
თეატრალურ ხელოვნებაზე, ილია ჭავჭავაძე და ქართული თეატრის  
განვითარების პრობლემები, დღემდე წარმოადგენენ ქართული სა-  
ბჭოთა თეატრმცოდნეობის სამეცნიერო კვლევისა და შესწავლის  
ერთ-ერთ მთავარ საკითხს. და მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამ  
მნიშვნელოვანი ითქვა და დაიწერა ილია ჭავჭავაძის თეატრალური  
ესთეტიკის შესახებ, მისი სრულყოფილი შესწავლა, მაღალ მეცნიე-  
რულ დონეზე გაანალიზება და განზოგადოება მომავლის საქმეა.

რაც შეეხება წინამდებარე ნაშრომს, მისი მიზანია მსახიობის  
შემოქმედების სპეციფიკის რამოდენიმე საკითხის განხილვა ილია  
ჭავჭავაძის ესთეტიკის შუქზე. იგი არავითარ შემთხვევაში არ წარ-  
მოადგენს ცდას იმ დიდი მემკვიდრეობის მთლიანი, თუნდაც ზერე-  
ლე გაანალიზებისა, რაც ილიამ დაგვიტოვა თეატრალური ესთეტი-  
კის სფეროში. მსახიობის შემოქმედების სპეციფიკის ის საკითხე-  
ბი, რომელთა შესახებაც ჩვენ გვაინტერესებს ილია ჭავჭავაძის,  
როგორც დიდი მხატვრისა და მატერიალისტი მოაზროვნის აზრი  
შემდეგია: ლიტერატურულ-დრამატული ნაწარმოების, როგორც  
მსახიობის შემოქმედებითი საგნის, ქმედითობის საკითხი, მსახიო-  
ბის შემოქმედებითი მეთოდის ილიასებური გაგება, ილია მსახიო-  
ბის სპეციფიკური ნიჭის, სასცენო უნარიანობისა და მისი აღზრ-

დის შესახებ, ილია ჭავჭავაძე, როგორც მსახიობის შემოქმედების  
ექთ-ერთი ძირითადი პრინციპის — „მეორე ბლანის უმაღლესობის  
აღმომჩენი და განმარტებელი.“

ჩამოთვლილი საკითხების გაშუქების შიწნით მოგვიხდება შო-  
კლედ შევეხოდ ილია ჭავჭავაძის საერთო ესთეტიკურ პრინციპების  
გადავხელოთ ხელოვნებისა და მეცნიერების სპეციფიკის ილიასე-  
ბურ გაგებას.

უდიდესი ქართველი განმანათლებელი ილია ჭავჭავაძე მეცნიე-  
რებისა და ხელოვნების, არსის შეცნობის საკითხში გამო-  
დის მატერიალისტური პოზიციებიდან და გვაძლევს მეცნიერე-  
ბისა და ხელოვნების, როგორც შემეცნების თავისებური სახეების  
სპეციფიკურ კანონზომიერებათა საყოველთაო ბუნების ღრმა გან-  
მარტებას. ილიას აზრით, როგორც მეცნიერება, ასევე ხელოვნება:  
როგორც ობიექტური სინამდვილის შემეცნების ფორმები, გამო-  
წვეული არიან ცხოვრებისაგან და არსებობენ ცხოვრებისათვის  
ილიას სავსებით სწორად ესმის მეცნიერებისა და ხელოვნების  
საზოგადოებრივი დანიშნულება, მისთვის სავსებით ნათელია, რო-  
მეცნიერება და ხელოვნება ობიექტური სინამდვილის მხოლოდ  
შემეცნებით კი არ კმაყოფილდებიან, არამედ აქტიურ ზემოქმედე-  
ბას ახდენენ ცხოვრების პროცესებზე და ხელს უწყობენ მის გან-  
ვითარებას. „ცხოვრება ძირია, ხელოვნება და მეცნიერება მასზე  
ამოსული შტოები არიან. როგორც მიწიდან ამოხეთქილი შტოებ-  
ისხამენ ნაყოფსა და სათესლედ მოჰსუნებენ, ისევ ცხოვრებასვე გად-  
მოსცემენ ახალი ცხოვრების გამოსაკვანძავთ“<sup>1</sup>. მეცნიერებისა და  
ხელოვნების ცხოვრებასთან ურთიერთ კავშირის სავსებით სწორ  
გაგებიდან გამომდინარეობს ხელოვნების, კერძოდ, თეატრალურ  
ხელოვნების, დანიშნულებისა და მისი თავისებურების ილიასებუ-  
რი გაგება. მისი აზრით, ხელოვნების საზოგადოებრივი დანიშნუ-  
ლება ცხოვრების სურათების რეალურ ასახვაში და მის ჩვენება-  
ში მდგომარეობს. „... ხელოვნებასაც იმას მოვთხოვთ, წერს ილია  
რომ სარკესავით ცხოვრება გარდმოიცეს, რათა ჩვენი თავი მის  
მომხიბლავის კალმით ცხოვლად იყოს წარმომდგარი ჩვენ წინა. რა-  
თა სიცუდეც და სიკეთეც ჩვენი დავინახოთ“<sup>2</sup>. ხელოვნების დარ-  
გებს შორის ილია თეატრს განსაკუთრებულ აღგილს მიუჩნევს. მა-  
კარგად ესმის თეატრის სპეციფიკური არსი და აქედან გამომდინა-  
რე მისი ზემოქმედების თავისებურება. „...სცენა იგივე შკოლაა, —

1 ი. ჭავჭავაძა ტე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. IV, გვ. 73.

2 იქვე, გვ. 83.

ამბობს ილია, — რომელიც ცხოველის სურათებით ელაპარაკება კა-  
ცის გულსა და ჭიუასა, იგი ამ თავის თვისებით კაცის გუნებაზე და-  
უფრო მედგრად მოქმედებს, ვიდრე სხვა რამე. ამ მხრით არის იგი  
სანატრელი, ამ მხრით არის იგი კაცის გრძნობისა და ჭიუის გამა-  
ფაქიზებელი, გამწმენდელი. სცენა ხალხის მწვრთნელი, ხალხის  
გამზრდელი უნდა იყოს და ამასთანაც იმისთანა შემაქცევარიც  
არის, რომ უკეთეს მხარეს აღამიანისას ფეხს აღმევინებს, ფრთას  
აშლევინებს, უკეთესი შესაქცევარი, უკეთესი დროს-გასართო-  
ბი, სულისა და გულის ამაღლვებელი, სხვა ისეთი არა ვიცით რა, სცენის მეტი“<sup>1</sup>.

ამგვარად, ილია ჭავჭავაძე თეატრის ძირითად დანიშნულებას  
აღამიანის გრძნობასა და გონებაზე ზემოქმედებაში, მათ აღზრდა-  
სა და გაწვრთნაში ხედავს. ილია არ უარყოფს თეატრალური ხე-  
ლოვნების სანახაობით ხასიათს, პირიქით, ამაში იგი ხედავს მისი  
ძლიერების კიდევ ერთ მხარეს, მაგრამ მისთვის თეატრალური ხე-  
ლოვნების მთავარი არსი მის იდეურობასა და მხატვრულობაშია.  
ამიტომ იყო, რომ ილია შეურჩიგებლად იბრძოდა უაზრო, შინაარსს  
მოკლებული, მხოლოდ გასართობი, ზერელე ნაწარმოებების წინა-  
ორდენ და ყოველმხრივ მხარს უჭირდა მაღალიდეური ხელოვნების  
დამკვიდრებას.

ილია ჭავჭავაძე თეატრალური ხელოვნების თავისებურებების  
დაღვენისას, პირველ რიგში მიუთითებს დრამატურგიის, როგორც  
თეატრალური ხელოვნების საფუძვლის სპეციფიკაზე. დრამატული  
ნაწარმოები, ილიას აზრით, აღამიანის სულისა და გულის დიდ  
ძერაზე უნდა აიგოს და შუქს უნდა ჰქონდეს აღამიანის შინაგან სა-  
მყაროში ჩამარხულ საიდუმლოებებს. ილია დრამატული ნაწარმოე-  
ბის შეფასებისას გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს მისი შინაარ-  
სის თავისებურებას და დიდი სარკაზმით ლაპარაკობს იმ დრამა-  
ტურგებზე, რომლებსაც დრამის შექმნა იოლ საქმედ მიუჩნევიათ  
და თავიანთი თხზულებები, რადგანაც დიალოგის ფორმაში დაუ-  
წერიათ, სცენებად და მოქმედებებად დაუყვიათ, შიგ ორიოდე ად-  
გილს ქალისა და კაცის სიკვდილიც ჩაუკერებიათ, საქმე დაძთავ-  
რებულად მიუჩნევიათ და უცდიათ, რომ თავიანთი ნაწარმოებები  
დრამად გაესაღებინად.

ილიას აზრით, დრამატურგი დაჯილდოებული უნდა იყოს გან-  
საკუთრებული ნიჭით. აღჭურვილი უნდა იყოს მოვლენების შერჩე-

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე თეატრის შესახებ, კრებული შეაღვინა, შესავალი წერილი და  
შენიშვნები დაურთონ ნ. გურაბანიძემ, „ხელოვნება“ 1955 წ., გვ. 57.

ვისა და მათი თავისებური განჭვრეტის უნარით, მას უნდა შეეცა  
ლოს აღწერილ ამბავში, ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, და გული  
და გული ეპოქისა ჩანასკვოს, ჩანასხოს და დრამის სვლაში გადა-  
გვიხსნას, გადაგვიშალოს საგრძნობლად და დასანახავად<sup>1</sup>, ილია  
დრამას მიიჩნევს ყველა სხვაგვარ პოეტურ თხზულებებზე გაცი-  
ლებით უფრო რთულ უარიად და დაუინებით მოითხოვს დრამატუ-  
ლი მწერლისაგან დრამაში ასახული ამბის მაქსიმალურ ემოციუ-  
რობას. .... დრამა,—ამბობს ილია,—... სულისა და გულის უდი-  
დეს ძვრაზეა ასაგებელი და ასაშენებელი უნდა იყოს აგებული და  
აშენებული... და ეს უდიდესი ძვრა სულისა და გულისა ერთად-  
ერთი საგანია დრამისა, ერთად-ერთი ბუნება მისი. ამით იცნობა  
იგი დრამად სხვა წყარო არა აქვს და არც სხვა მიზეზი არსებობისა<sup>2</sup>.

ამგვარად, ილია ჭავჭავაძე, მისი წინამორბედი მატერიალის-  
ტი ფილოსოფოსების მსგავსად, დრამის ასახვის წყაროდ მიიჩნევს  
ობიექტური სინამდვილის ისეთ მხარეს, მის ისეთ გამოვლინებებს,  
რომლებიც ხასიათდებიან მაქსიმალური ემოციურობით და მთე-  
ლის სილრმით გამოხატავენ ადამიანის სულიერ მოძრაობას, მის  
გულის ძვრას.

დრამის სპეციფიკურ ნიშანს : ილია ხედავს სიტუაციებისა და  
მოქმედი პირების ხასიათების ისეთ განვითარებაში, როდესაც ისინა  
ორგანული ოუცილებლობის გამო, თავისთავად და არა ავტორის  
კარნახით, „იშლებიან და იხსნებიან“ მოქმედებაში.

ილია ჭავჭავაძე აკრიტიკებს რა იაკობ ლაზარიშვილის ისტო-  
რიულ დრამას „მტარვალს“ და ა. ცაგარელის ისტორიულ დრამას  
„ქართვლის დედა“-ს, პირველ რიგში, უსაყველურებს ავტორებს, რომ მათ პიესებში ხასიათები არ იშლებიან მოქმედებაში, რაც  
დრამის ოუცილებელ პირობას, მის სპეციფიკურ თავისებურებას  
შეადგენს. ილია წერს — „არც ერთს დრამაში სული და გული ადა-  
ბიანისა თვისეთ არა მოქმედობს. თვისდა ბუნე-  
ბისამებრ არ იშლება, არ იხსნება მოქმედე-  
ბაში (ხაზი ჩემია — ა. თ.). თითონ ავტორები მომქმედთა პირით  
გვეუბნებიან, ეს ასეა, ეს ისეაო, მაშინ, როდესაც ამაებს ჩვენ  
თითონ უნდა ვხედავდეთ, ჩვენ თითონ უნდა ვგრძნობულობდეთ  
საქმითა და არა ავტორების სიტყვითა. კაცი თუ ჭალი თავიანთ ავ-  
ტორიანობას თვითონვე მოგვითხრობენ—მე ასეთი და ასეთი ვარო  
და თავიანთ ასეთ-ისეთობას ან სულ არ ვვიჩვენებენ საქმითა, ან

1 ა. ჭავჭავაძე, თეატრის შესახებ, გვ. 120.

2 იქვე, გვ. 121.

ძალიან იშვიათად, ისიც მეტისმეტად მკრთალად და გაკვრით, თით გამოიყენების დრამისთვის ამისთანები მეტი ბარგი იყოს“.<sup>1</sup>

ილია ზემოდ მოტანილ ნააზრევში იშვიათი სიცხადით არის გამოხატული დრამის, როგორც ლიტერატურული ჟანრის სპეციფიურობის ერთ-ერთი მთავარი ნიშანი. ილია უდიდესი დამაჯერებლობით გვარწმუნებს, რომ დრამა წარმოადგენს მოქმედებას, რომელიც წარმოიშვება გარემოებებისა და ხასიათების ურთიერთ ზემოქმედების პროცესში, წარმოიშობა თავისთავად ბუნებრივი აუცილებლობის გამო.

ილია განსაკუთრებული გულისყურით, უდიდესი შზრუნველობითა და გამჭრიახობით აღევნებს თვალს მისი თანამედროვე თეატრის ყოველ ნაბიჯს. იგი, როგორც უდიდესი რეალისტი მხატვარი და მოაზროვნე, რომელშიაც საუკეთესოდ იყო შერწყმული ლიტერატურისა და თეატრის გრძნობა, იბრძვის მაღალმხატვრული ლიტერატურისა და თეატრის ორგანული ერთიანობისათვის. მას ძალიან კარგად ესმის, რომ ამ კოლექტიურ შემოქმედებით თანამშრომლობაშია თეატრალური ხელოვნების წარმატების უტყუარი საწინდარი.

დრამატული ლიტერატურისაგან, ასევე თეატრისაგან, ილია მოთიხოვს მათი ნაწარმოებების მაყურებელზე დიდ იდეურ-ესთეტიკურ ზეგავლენას, ამის გამო უპირველეს პრინციპულ მოთხოვნილებად აყენებს მათ წინაშე ხელოვნების ემოციურობის საკითხს.

ილია ერთ-ერთ უბრწყინვალეს წერილში ქართული თეატრის საკითხებზე, რომელშიდაც იგი აყალიბებს თავის შეხედულებას ადამიანის გრძნობების გამოვლინების, კერძოდ სიცილისა და ტირილის, ესთეტიკური ბუნების შესახებ, ხაზგასმით მიუთითებს დრამატიულ ხელოვნებაზე და განსაკუთრებით თეატრზე, როგორც ყველაზე ემოციურზე ხელოვნების დარგებს შორის. ილია, ანვითარებს რა აზრს ხელოვნების ემოციურობის, როგორც მისი სპეციფიკურობის ერთერთი მთავარი ნიშნის შესახებ, აღნიშნავს, რომ ხელოვნების ნაწარმოების უდიდესი ემოციური ზემოქმედების გამო ენიჭება ადამიანს უზენაესი ესთეტიკური სიტკბოება. იგი დასტუნს, რომ „...იგი უზენაესი სიტკბოება, რომლის ფრთხებითაც ჭეშმარიტი და უდიდესი ხელოვნება ადამიანისა თავის უმწვერვალეს სიმაღლეზედ აზიდავს ხოლმე კაცსა, და გონება-მიუწვდენელის თი-

<sup>1</sup> ილია ჭავჭავაძე თეატრის შესახებ, გვ. 121.

ლისმითა დიდს ბოროტსაც, დიდს მწუხარებასაც, როგორ კავშირის  
კეთილსა და დიდს ბედნიერებას, აღამიანის გულში ჩააფენინებს  
ხოლმე მაღლის მაცხოვარს შუქს სათნოების კვირტის გამოსაკვან-  
ძავად და მერე მშვენიერ ყვავილის გარდასაშლელად .ამაშია მო-  
ნიბლავი ძალა და არსებობის შიზეზი ხელოვნებისა საზოგადოდ  
და სათეატროსი საკუთრივი<sup>1</sup>.

ილია ჭავჭავაძე თავგამოდებული იბრძვის თეატრალურ ხე-  
ლოვნებაში ცხოვრების სინამდვილის რეალისტური ასახვისათვის.  
იგი ყველა საშუალებას ხმარობს იმისთვის, რომ ქართველ მსახიო-  
ბებს შეაგნებინოს თეატრალური ხელოვნების ჭეშმარიტი არის.  
შისი დიდი საზოგადოებრივი დანიშნულება. ილია იბრძვის მაღალი  
იდეებისა და ძლიერი ემოციების თეატრისათვის, ამიტომ მსახიობი-  
საგან, პირველ რიგში, იგი მოითხოვს, რომ მისი თამაში, ილიასვე  
სიტყვებით რომ ვთქვათ, იყოს „გამომსახველი გულის მოძრაობი-  
სა“, ზერელედ კი არ წარმოგვიდგენდეს მოქმედი პირის ცხოვრებას,  
არამედ შემოქმედებაში აქსოვდეს თავის მთრთოლვარე გრძნობას.  
თავისი შინაგანი სითბოთი ათბობდეს მოქმედი გმირის სცენიური  
ცხოვრების ყოველ წუთს. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეეძლება მსა-  
ხიობს „ცხოველის — სურათებით ელაპარაკოს კაცის გულსა და  
ჭკუას“<sup>2</sup>.

ილია ჭავჭავაძეს მსახიობური ხიჭის ძირითად ხიშხად შიაჩხია  
ღრმა ემოციონალური განცლის უნარი. მისი აზრით, ასეთი უნარით  
დაჯილდოებული აღამიანი თუ დაეუფლება მსახიობურ ტექნიკას  
და შეიძენს განათლებას, ჭეშმარიტი არტისტი გახდება. „ნიჭი და  
ხელოვნება განუყრელი და-ძმანი არიან და აუცილებელი საჭიროე-  
ბაც არის კარგის არტისტისათვის. ნიჭი არ-დახელოვნებული, არ-  
გაწურთვნილი, ხელოვნება — ნიჭით შუქ არ-შესხმული და არ გა-  
თავის წერილში — «По истине даровитый артист должен обладать той умственной силой, посредством которой он может вполне ясно и живо представить себе образ, задуманный автором и обязан суметь представить его таким, каким бы он был еслибы он существовал на самом деле, т. е. должен

<sup>1</sup> ქ. ყ ი ფ ი ა ნ ი, „თეატრის მნიშვნელობა“, გვ. 112.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 128.

изображать его своим внешним видом, должен мысленно  
чувствовать его движения, манеру разговаривать и держать языками  
себя»<sup>1</sup>.

Машасада Мерсаебинская тацитовис, აზრობრივად, გონების და-  
მარებით უნდა დაინახოს ეს გმირი თავისი მოძრაობით, თავდაჭე-  
ნით, საუბრის მანერით და გონების ომელილაც უხილავი სასმე-  
ნი ორგანოთი მოისმინოს მისი საუბარი, ხმა და შემდეგ ყოველივე  
კა უნდა „ისესხოს“ მისგან და გაიხადოს თავისად. ამგვარად, მსა-  
ხობი გახდება სწორედ ის ადამიანი, ომელიც ავტორმა ჩაიფიქ-  
ხა, ეს ადამიანი იქნება სწორედ ისეთი ოგორიც იგი შექნებოდა  
„თუ რომ“ ნამდვილად იარსებდებდა.

კ. ყიფიანი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამ „თუ რომს“, ომ-  
ელც როლზე მუშაობის მთავარ მომენტს.

როგორც ვიცით ტერმინი „თუ რომ“ არის სტანისლავსკის სის-  
ტემის მთავარი მომენტის აღმნიშვნელი და საყოველთაოდ გავრ-  
ცელდა ამ სისტემის აღიარების შემდეგ, რაც კოტე ყიფიანის გარ-  
დაცვალების შემდეგ მოხდა ფაქტიურად. სამწუხაროდ, კოტე ყიფი-  
ანის ეს წერილი დათარიღებული არ არის და ჩვენთვის ძნელია გა-  
დაჭრით ვთქვათ საიდან გაჩნდა ეს ტერმინი კოტე ყიფიანთან. შე-  
საძლებელია ვიფიქროთ, რომ კოტე ყიფიანი, როგორც ძალიან გა-  
ნათლებული და ყოველგვარი სიახლით დაინტერესებული ადამიანი  
ცნობდა სტანისლავსკის მოღვაწეობას და ეს ტერმინიც იქნედა  
მოვიდა. ცნობილი ფაქტია, რომ სტანისლავსკი 1909 წლიდან უკვე  
თავისი სისტემით მუშაობს, როგორც თეატრში ისევე სტუდიებში  
და შესაძლებელია ყველაფერი ეს ცნობილი იყო ყიფიანისათვის,  
პარომ ისიც ანგარიშგასწევია, რომ ამ პერიოდში იგი უკვე ისე  
აქტიურად არ არის ჩაბმული თეატრალურ საქმეებში, ამიტომ უფ-  
რო სავარაულოა, რომ მან ეს წერილი უფრო ადრე დასწერა, დაახ-  
ლოებით 90-იან წლებში და ტერმინსაც თითონვე მიაგნო. ამ პე-  
რიოდში იგი აქტიურად მოღვაწეობს თეატრში, უფრო მეტიც შე-  
საძლებელია ეს წერილი დაწერილი იყოს 1885—86 წლებში ვინაი-  
დან იგი სწორედ ამ სეზონში არის თეატრის რეჟისორი და ზოგი  
მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა კიდეც წარმოდგენების დადგმის  
დეველ მეთოდთან შედარებით, როგორც მთავარი გმირების გახსნის  
საქმეში ასევე სპექტაკლის ანსამბლის შექმნის თვალსაზრისითაც.  
შეიძლება სწორედ ამ დროს დაინტერესდა განსაკუთრებით იგი ამ

<sup>1</sup> კ. ყიფიანი, «Заметки Об актерах». საქ. სახელმწიფო თეატრალური  
მუზეუმი. ხელნაწერთა ფონდი № 1892 (ხაზი ჩვენია — ე. დ.).

საკითხებით და მსახიობთა აღზრდის მიზნით თავისი შეხედულებული ბი ჩამოყალიბა წერილობითი სახით. შესაძლებელია სწორედ მსახიობებთან უშუალო მუშაობის დროს გაუჩნდა ეს ტერმინი. ეს არ იქნება გასაკვირი ვინაიდან მისი შეხედულება და პრინციპები აქტიორის შემოქმედებაზე იმაში მდგომარეობს, რომ როლის შესრულებისას მსახიობი უნდა გარდაიქმნას სხვა ადამიანად. ამ გარდა ქმნაში მთავარია მსახიობმა ეს ადამიანი იმგვარად უნდა წარმოადგინოს როგორიც ავტორმა ჩაიფიქრა. ცხადია ამგვარი პრინციპული შეხედულება წარმოშობდა კიდევ ამ ტერმინის აუცილებლობას. მართალია გადაჭრით ვერ ვიტყვით, რომ ეს ტერმინი ყიფიანმა აღმოაჩინა პირველად ამას ცალკე განსაკუთრებული კვლევა ჰირდება, მაგრამ ვვარაუდობთ, რომ ეს ასეა, ვინაიდან მისი მოღვაწეობის პერიოდის ლიტერატურაში ეს ტერმინი არ არის და სტანისლავსკის კი ამ დროისათვის ჯერ კიდევ არაფერი ჰქონდა დაბეჭდილი. ბობორივინს ეს ტერმინი არც მოაფიქრდებოდა ვინაიდან იგი ამგვარ გარდასახვას არც მიიჩნევს აუცილებლად მსახიობის შემოქმედებაში.

კოტე ყიფიანი მსახიობის შემოქმედებას ძალზე რთულდა თვლის, ვინაიდან მას თავის შემოქმედების ნიმუშის შექმნა საქართარი სხეულისაგან უხდება — «Материалом пианисту служат звуки того инструмента, на котором он играет, певцу — его голос, актёру его собственное тело, его речь, мимика, жесты, то произведение которое исполняет артист, служит формой для его собственного создания»<sup>1</sup>, — წერს კოტე ყიფიანი. იგი სთვლის, როგორც ამ სიტყვებშიც გარკვეულად ისმის, რომ მსახიობმა სწორედ ის გმირი უნდა შექმნას, რომელიც ავტორმა გარკვეულ ჩარჩოში მოაქცია; მსახიობი უნდა იქცეს სწორედ ამ ადამიანად. ყიფიანი პირდაპირ ამბობს, რომ მსახიობი არ უნდა ასცდეს ავტორის ჩანაფიქრს, იგი ვალდებულია იყოს ავტორის დამხმარე გმირის გაცოცხლებაში, უნდა უშველოს მას ანდა თუ შეიძლება ითქვას გახდეს მისი თანაავტორი: მაშასადამე მსახიობი მაყურებლის წინაშე წარმოადგება არა სხვა ადამიანის ნიღბით, არამედ იგი თვითონ გარდაიქმნება იმ ადამიანად, რომელსაც წარმოადგენს. მსახიობმა გონიერის თვალით უნდა წარმოიდგინოს ახალი ადამიანი, ჩაუნერგოს მას სწორედ იმისათვის დამახასიათებელი გრძნობები, მაშინ წარმოიშვება ახალი, ცოცხალი ადამიანი იმავე სისხლითა და ხორცით, რომლითაც ეს მსახიობია შექმნილი. რათა შეერწყოს ერთმანეთს მსახიობი და მისი წარ-

<sup>1</sup> კ. ყიფიანი «театр» საქ. სახელმწიფო ოეატრალური მუზეუმი. ხელა. წერთა ფონდი № 2020.

მოდგენით შექმნილი სხვა ადამიანი, მას უნდა ჰქონდეს უნარი თავის დამატებითი მიზანის და იმ ადამიანის სხეულად აქციოს: «Он должен обладать еще тем редким, дарованным небом талантом при помощи которого он в состоянии владеть всем своим внешним существом до такой степени, чтобы каждое самое ничтожное движение и то всецело зависело от его внутренней воле. Разговор, походка, манера (держать) себя все жести принадлежит уже не ему, а тому лицу, которое желал представить актёра, и всё это должно быть представлено с такой живостью и правдивостью, чтобы в том блеске который освещает актёра при подобном исполнении роли, его собственное «я» исчезало, как нечто вполне безцветное и ничего не значущее. От настоящего художника требуется полное отречение от самого себя или вернее, забвение своего собственного «я» —<sup>1</sup>. მბობს კოტე ყიფიანი და ასკვნის — «Артист... должен воплотиться в чужой характер»<sup>2</sup>. ყოველი მოძრაობა სცენაზე მყოფი მსახიობისა არის იმ პიროვნების, რომელსაც იგი განასახიერებს, ან უფრო სწორად, რომელადაც იქცა ამ დროის მოცემულ მონაკვეთში.

ამ მოსახრებაში ყიფიანი პრინციპულად ეჭინააღმდეგება მეცნიერებების მეორე ნახევრის რუს თეორეტიკოსს ბობორიკინს, რომელიც თავის თეორიულ გამოთქმებში მსახიობის გარდასახვის შესახებ უფრო დიდროს მხარესა დგას და მოითხოვს მსახიობი მუდამ აკონტროლებდეს თავის გმირს ვიდრე მთლიანად გარდაისახებოდეს მასში. იგი კარატიგინისა და მოჩალოვის შედარებისას კარატიგინის დამცველად გვევლინება და მის ხელოვნებას ანიჭებს უპირატესობას მოჩალოვისაზე.

კოტე ყიფიანი თვლის, რომ მსახიობი გმირის გახსნისას თავისი ხასიათიდან კი არ უნდა გამოვიდეს, არამედ იმ გმირის ხასიათიდან, რომელიც ავტორმა შექმნა.

მსახიობი სცენური გმირის შექმნისას წინასწარ უნდა წარმოიდგენდეს თავის გმირს, ამბობს ყიფიანი. მაშასადამე მსახიობშა უნდა წინასწარ იცოდეს თავისი გმირის არა მარტო შინაგანი. ხასიათი, არამედ გარეგნული იერიც. მსახიობმა თავის წარმოდგენაში გონების თვალით უნდა დაინახოს ეს გმირი და შემდეგ გრიმის საშუალებით დაემსგავსოს მას. კოტე ყიფიანი, მსახიობს შემოქმედე-

<sup>1</sup> და <sup>2</sup> — კ. ყიფიანი «театр».

შაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გრიმის ოსტატობას და საკითხების ლურ წერილს უძღვნის ამ საკითხს.

გარდა სახის პორტრეტის შექმნისა გმირის დასრულებისათვის მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მისი ტანის ფორმასაც, ამბობს ყაფიანი. როგორც ჩანს, იგი იზიარებს იმ აზრს, რომ ყოველი აღმიანის ხასიათი უსათუოდ გარკვეულ გარეგნულ ფორმაში ვლინდება.

სცენური სახის ასეთი სერიოზული და ლრმად ამოხსნისათვის მიაჩნია ყიფიანს საჭირო ცხოვრების ცოდნა, აღამიანთა სხვადასხვა ხასიათის შესწასლა, რათა მათი განზოგადოებით შექმნას ახალ-ახალი გმირები.

მსახიობის შემოქმედებაში, ყიფიანი უდიდეს ჭიშხელობას ანიჭებს უსიტყვო მოქმედებას — „სახის გამომეტყველებითა ლაპარაკობდაო, ამაზე იტყვიან; ესე იგი, არტისტი ჩუმად არის და მაყურებელს კი იმისი სიჩუმე ისე ესმის და ისე გრძნობს რომ — სტირის კიდეც. ნამდვილი არტისტული თამაში ეს არის. „მჭერმეტყველებით ჩუმად იყო“ — «Красноречиво молчал»<sup>1</sup> — წერი იგი. აქედან ჩანს, რომ ყიფიანი მსახიობისაგან მოითხოვს განსასახიერებელი გმირის სახეში უწყვეტ ყოფნას, სცენური დროის მოცუმულ მონაკვეთში მთლიანად გარდასახვას ამ სახეში. ეს მოთხოვნა თავის მხრივ იქედანაც გამოდის, რომ სცენა ნამდვილი ცხოვრების გამომხატველია. თუ წარმოდგენა იმგვარად არის ნათამაშები, რომ იქ ნამდვილი ცხოვრებაა გაღმოცემული, თქმა არ უნდა პაუზები სავსე იქნება შინაგანი მონოლოგობითა და დიალოგებით.

კოტე ყიფიანი თავის წერილებში ხაზგასმით აღნიშნავს თეატრის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას — ეს არის მაყურებლისათვის ესთეტიკური სიამოვნების მინიჭება. ვის ეკისრება თეატრში ეს მნიშვნელოვანი მოვალეობა თუ არა მსახიობს და ამიტომაც ამბობს — „არტისტმა ესთეტიკური სწავლა უნდა შეითვისოს იმიტომ, რომ ყოველი არტისტი არის ესთეტიკის მსახური და მომ მე დი. მრავალმა მსახიობმა ეს არ იცის და ამიტომაც იმათ თამაშობაში ესთეტიკა სრულიად დაკარგულია“<sup>2</sup> მაშასადამე იჯი სთვლის, რომ მსახიობი არის შემოქმედი, რომელიც წარმოქმნის ესთეტიკური ტკბობის მომნიჭებელ ხატებას, ე. ი. იგი თეატრის განმანათლებელ როლს განუყრელად უკავშირებს სიამოვნების მოგვრელის დამატებობელის ფუნქციას, რომელიც ძირითადში მოაქვს

<sup>1</sup> ქ. ყიფიანი. „თეატრის მნიშვნელობა“, გვ. 131.

<sup>2</sup> ივე, გვ. 130.

შახიობს. მაშასადამე, ყიფიანი მიიჩნევს, რომ მსახიობის მიერ გან-  
ხორციელებული ყოველი სახე უნდა იყოს აღამიანის გონების გამ-  
სნელი, გემოვნების განმავითარებელი და სულიერად დამატებო-  
ბელი.

ყიფიანი ყურადღების გარეშე არა სტროვებს შსახიობის, რო-  
გორც აღამიანის მორალურ-ზნეობრივ მხარესაც და სთვლის, რომ  
იგი, როგორც ხალხის მოძღვარი და აღმზღელი სანიმუშო უნდა  
იყოს ამ მხრივაც. თეატრის ყოველ შსახურს, თუნდაც უმნიშვნე-  
ლოს, ფართო საზოგადოება იცნობს და ყოველი მათი მოქმედება  
თვალში მოსახვედრია. თუ მსახიობს სურს იყოს ხალხის მოძღვარი,  
იგი სამაგალითო უნდა იყოს პირად ცხოვრებაში, რომ სცენიდან  
მისი მოწოდება ხალხმა სწორად აღიქვას და გაკვეთილად მიიღოს.

ყიფიანისათვის თეატრი არის უწმინდესი ტაძარი საღაც შემა-  
სული ყოველი ბიწიერი უნდა განიშვინდოს, სამსჯავრო საღაც უნ-  
და დამარცხდეს ყოველივე ბიწიერი. ვინ უნდა განწმინდოს ეს ხალ-  
ხი და ვინ უნდა განსახოს თუ არა მსახიობმა თავისი მაღალი ხე-  
ლოვნებით და მაშასადამე თვით უნდა იყოს წმინდა. ასეთ მო-  
ძღვარსა და მსაჯულს, ყიფიანი ვალად სდებს პირადულს არა  
სდიოს და ოქროს სიყვარულმა არა სძლიოს.

ყველა ზემოდ მოყვანილი მოსაზრება ყიფიანს გაბნეული  
ქვეს სხვადასხვა წერილებში, არა აქვს თავმოყრილი და ჩამოყალი-  
ბებული და ამიტომაც დღემდე მისი მოღვაწეობის ეს მხარე არც  
არის სათანადოდ შეფასებული. მართალია ცალკე არ ისწავლებოდა  
ყიფიანის თეორიული პრინციპები, მაგრამ იგი ქართველ მსახიობ-  
თა თაობებს ძვალსა და რბილში აქვთ გამჭდარი და ესთავეტასავით  
გადასცემდნენ მომავალ თაობებს. ჩვენ გვინდა ახალმა თაობამაც  
შეისისხლხორცოს ქართული თეატრის ეს საუკეთესო პრინციპები  
და იყვნენ ღირსეული მოწაფენი იმ კეთილშობილ წინაპართა, რო-  
მებიც მძიმე ღროს მოღვაწეობდნენ, მაგრამ იყვნენ ნამდვილად  
უანგარო შემომმედნი და პატიოსანი მოქალაქენი.

კოტე ყიფიანი უპირველესად ყოვლისა თითონ იყო ამ პრინ-  
ციპების საუკეთესო დამცველი და მაგალითი იმ მსახიობისა, რო-  
მელსაც იგი მოითხოვდა, ამას ადასტურებს მისი სცენური ცხოვ-  
რება, რომელიც ნამდვილად იყო თავისი ხალხისადმი უანგარო სა-  
მსახურის საუკეთესო მაგალითი. კოტე ყიფიანმა, რომელსაც თა-  
ვისი ოჯახური მდგომარეობა და განათლება საშუალებას აძლევდა  
უზრუნველი ცხოვრებისათვის, უარი თქვა პირად კეთილდღეობაზე  
და მოელი თავისი სიცოცხლე, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე შე-

სწირა ქართულ თეატრს და მისგან კი შესაძლოა იმდენი ცენტრ რო რამდენიც გასცა, მაგრამ იგი ამას არა ნანობდა უსაკუთრებულ თეატრში უყვარდა თავისი პიროვნება და არა თეატრი მისი პიროვნების განდიდებისათვის.

\* \* \*

ვალერიან გუნია კოტე ყიფიანის „შემოქმედბის შეფასებისას წერდა: „ყიფიანის ნაკლი დრამატიულ როლებში ჩვენის აზრით, არის ერთგვარიად გატარება პათოსიანი ადგილებისა. ერთნაირი ხმის აწევდაწევა, ინტონაცია, თავის დაჭრა, მიხრა-მოხრა, ვნებათ ღელვის გამოხატვა, მწუხარება და განრისხება ყველა დრამატიულ როლებში ყიფიანის მიერ ერთნაირად იხატება. ეს „შეადგენს მისი ნიჭის სისუსტეს და მისსავე ხელოვნების ნაკლსო“ და იქვე აგრძელებს „სამაგიეროდ ყიფიანს აქვს ერთი შესანიშნავი და საპატიო ღირსება: როლების საფუძვლიანად შესწავლა და შეგნება, მომზადება როლისა, თუმცა ამ უკანასკნელ ხანში როლის უცოდინარობა როგორლაც დაუხშირა. ყიფიანისაგან წარმოდგენილი ხასიათი ყოველთვის სრულ შთაბეჭდილებას მოახდენს მაყურებელზე“.! ჩვენს მიერ ხაზგასმული წინადადება აბსოლუტურად ეწინააღმდევება ზემოღმოყვანილ აზრებს ვინაიდნ მსხიობის მიერ განსახიერებული ყოველი გმირი მხოლოდ მაშინ მოახდენს სრულ შთაბეჭდილებას თუ ის ტიპიურია და შექმნილი ახალი, ჯერ არ ნახმარი სალებავებით და არა შტამპებით. ამიტომ ჩვენ ვიზიარებთ სწორედ ხაზგასმულ აზრს მით უფრო, რომ ილა ჭავჭავაძე ყიფიანის შემოქმედების დახასიათებისას ერთ-ერთ თავის წერილში შემდეგსა წერს: „ბ-ნი ყიფიანი საკმაოდ ოონიერი ნიჭია და ნიჭის გარდა დახელოვნებული არტისტიც არის. ნიჭი და ხელოვნება განუყრელი და-ძმანი არიან და აუცილებელი საჭიროებაც არის კარგის არტისტისათვის. ნიჭი არ-დახელოვნებული, არ გაწვრთნილი, ხელოვნება ნიჭით შუქ-არშესხმული და არ გაბრწყინვებული, გვედებჩამოთვლილი სიკეთეა არტისტისა, ცალკერძია და ერთის მქონებელი კაცი უმეოროდ ნახევარ-არტისტია. ბ-ნს ყიფიანს კეტყობი, რომ ორივე სიკეთე სჭირს და ამიტომაც ძნელად შეხვდება კაცი, რომ მან თავისი სათამაშო თდეს-მე გააფუჭოს, რაც უნდა არ უხდებოდეს, არ შეესაბამებოდეს იგი სათამაშო ბ-ნ ყიფიანის ნიჭისა და მიღრეკილებას. ხოლო საცა კი ბ-ნი ყიფიანისა და მისი არტისტისათვის შესახებ. გამ. „ხელოვნება“, თბ., 1953 წ. გვ. 56, (ხაზი ჩვენია ე. დ.).

ან შეხვდება ხოლმე თავის ნიჭის და მიღრეკილების სათამაშოსა და გვიაზულია მაშინ იგი სრულიად დაატყვევებს მაყურებელთა ყურადღებას და კმარის გრძელების სამაგიეროს იმითი გადაგვიხდის ხოლმე, რომ ჭეშმარიტის გრძნობის სიმებს ააჟღერებს აღანის გულში და ესთეტიკურს სიამოვნებას აგრძნობინებს.

ამ ორ სიკეთეს, ერთად ბედნიერად შეერთებულს, უნდა მიეწეროს ის მუდმივი ღირსება ბ-ნ ყიფიანისა თამაშობისა, რომ თავიდამ ბოლომდე მწყობრად, დალაგებულად, თანაბრად გაჰყავს თავისი სათამაშო მაყურებელთა წინაშე. ნიჭი ხელოვნებას ეკითხება თავის საზღვარს და ხელოვნება ნიჭისა სოხოვს სითბოს და ბრწყინვალებასა. ერთი მეორესა ჰშველის იმოდენად, რამდენადაც საჭიროა, არც ერთი ნამეტანობს და კლებულობს და არც მეორე, ორივე ერთმანეთს ემორჩილებიან ერთისა და იმავე ზემოქმედების მოსახლენად. სამართალი ითხოვეს ვთქვათ, რომ ძალიან იშვიათად შეგხვედრია ბ-ნს ყიფიანს ეგერთიანი მთელი ზემოქმედება არ მოეხდინოს მსმენელზედ თავისდა სასახელოდ და ჩვენდა სასიამოვნოდ<sup>1</sup>. მაშასალამე ილია ჭავჭავაძე ხაზგასმით მიუთითებს, რომ კოტე ყიფიანი დაჯილდოვებულია ბუნებრივი ნიჭითა და ამავე დროს არის დახელოვნებული არტისტი. ეს კი სწორედ ის არის, რასაც თვით ყიფიანი მოითხოვს მსახიობისაგან. — „თეატრალური ხელოვნება, როგორადა სხვა ხელოვნება, უსათუოდ უნდა შეიცვდეს შემოქმედებას — (Творчество) ე. ი., იმ ძალას, რომლითაც შეიძლებოდეს იდეალური სურათის გამოხატვა ან გამოსახვა, და „ხელოვნებას“ — технику — რომლის დახმარებით შეიძლებოდეს ასულდგმულოს ეს „შემოქმედება“. ეს თვისება აღამიანს ბუნებითად უნდა ჰქონდეს გამოყოლილი და მინიჭებული; სკოლა, სადაც ბევრნი მიმმოსთავანი თეატრალურს ხელოვნებასა სწავლობენ, ვერ მისცემს თავისს მოწაფეს ამ შემოქმედებას, — და „ხელოვნებას“ — კი, რომელსაც რუსულად ჰქვიან «техника», რასაკვირველია ჩვენ აუცილებლად მოვითხოვთ მიმმოსებისაგან, არტისტებისაგან; რადგანაც „იელოვნება“ ეძლევა არტისტს — ჯაფით, შრომით, მოქმედებით. ბუნება სრულად არ გვასაჩუქრებს ხოლმე თვისებებით; აღამიანი უნდა ეცადოს რიგიანად და ნიჭიერად გამოიყენოს თვისების ის თვისება, რაც ბუნებას მიუნიჭებია<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ილია ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული. ტ. III, თბ., 1953 წ., გვ. 93—94 (გაზ. „ივერია“, 1886 წ. № 239) (ხაზი ჩვენია ე. დ.).

<sup>2</sup> კოტე ყიფიანი, „თეატრის მნიშვნელობა“, გვ. 124—125.



გვაპატიოს ვალ. გუნიას ხსოვნამ, მაგრამ ჩვენ ვერ გავთქმით მის აზრს ყიფიანის შემოქმედების დახასიათების შესახებ, მით უფრო, რომ თითონვე გაორებულ დასკვნებს აკეთებს. არ შეიძლება ილია ჭავჭავაძეს ასეთი მაღალი შეფასება მიეცა ყიფიანის შემოქმედებისათვის თუ იგი ცველა როლში ერთნაირი იყო. აქვე უნდა შევნიშნოთ თვით გუნიას მიერვე გამოთქმული მეორე აზრიც, რომ „ყიფიანისაგან წარმოდგენილი ხასიათი ყოველთვის სრულ შთაბეჭდილებას მოახდენდა მაყურებელზეო“ — ეს თითქმის იგივეა, რასაც ილია ჭავჭავაძე ამბობს.

როლზე მუშაობისას ყიფიანი ბევრ საინტერესო დეტალს აქცვდა ყურადღებას, იცავდა ენობრივ სიწმინდეს, რისთვისაც ხშირად დავაც კი მოსვლია პვტორებთან. თეატრი დასადგმელად ამზადებდა რუსულიდან დ. ერისთავის მიერ თარგმნილ კომედიას „სადათ მფლობელობა“. დ. ერისთავი საუკეთესო მთარგმნელი იყო, მაგრამ მიუხედავად ორივე ენის ბრწყინვალე ცოდნისა თარგმანში გამოერა არაქართული ფრაზა — «Вручаю тебе яблоко раздора» — ერისთავის თარგმანში ასე ისმოდა — „ჩამიბარებია შენთვის მაღმოთარი ვაშლი“. ეს ფრაზა ძალიან აწუხებდა ყიფიანს და დიდხანს ვერაფერი სთქვა, მაგრამ ბოლოს მაინც შეჰქედა მთარგმნელს — „ენიაზო დავით! ეს ხომ ქართული არ არის, ამას მე არ ვიტყვი თორებ სასაცილოდ ამიგდებენო“. მწერალი ძალზედ განაწყენდა და საკმაოდ უხეში სიტყვებით მიმართა მსახიობს. თავის სიმართლეში დარწმუნებულმა კოტემ დაუთმო ავტორს და სპექტაკლზე ასე წარმოსთქვა ეს ფრაზა, რისთვისაც რეცენზენტისაგან მკაცრი შენიშვნა მიიღო. უსამართლოდ შეურაცხყოფილმა კოტე ყიფიანმა გაზეთის საშუალებით უპასუხა რეცენზენტს, ხოლო დ. ერისთავმა ფრაზა შეასწორა. ამ ფაქტის გამო კოტე ყიფიანი გულისტკივილით აღნიშნავს — „თუ კი იმისთანა პირნი, როგორიც დავით ერისთავი იყო, ქართული ენის ღრმა მცოდნე, ასე ამანინჯებდა ქართულ ენას თავის პიესებში, სხვამ რა უნდა ჰქნას? საზოგადოთ ქართულს პიესებში ენა მეტისმეტად დამახინჯებულია, თუმცა კი პიესებში უნდა ყოფილიყო დაცული ენა და იმისი მშენებელი, მაგრამ სამწუხაროდ ამას ჩვენ ვერა ვხედავთ“<sup>1</sup>. თითონ დიდად განსწავლული, რუსული და ფრანგული ენების კარგი მცოდნე კოტე ყიფიანი, დიდებული ქართული ენით მეტყველებდა სცენიდან და ამაში ხედავდა. იგი თავის ერთ-ერთ მიზანს, ამასთანვე იგივესა სთხოვდა ყველას განსაკუთრებით ახალგაზრდა მსახიობებს.

<sup>1</sup> კ. ყიფიანი, „ფასკუნგი“, № 14, გვ. 10.

როდესაც დ. ერისთავმა თავისი „საშობლო“ ოეატრში მოიტანილი იქნა, სვიმონ ლეონიძის როლი კოტე ყიფიანს მისცა, ხოლო ლევან ხიმშიაშვილისა კოტე მესხეს. პიესის მიხედვით მეორე მოქმედებაში ლოცვას ლევან ხიმშიაშვილი ამბობდა. ქართული ზნე-ჩვეულებებისა და ტრადიციების მცოდნე კოტე ყიფიანმა ყურადღება მიაქცია ქართველთათვის შეუფერებელ ვითარებას და ავტორს შენიშნა — „ქართველი ხალხის ხასიათის მიხედვით ლოცვა უფროსმა უნდა სთქვას და არა უმცროსმა“. მთელმა წასმა და დამდგმელმა გაიზიარა ყიფიანის შენიშვნა და ავტორი ძლიერებული გახდა შეეტანა ეს ცვლილება და ამიერილან პიესაში ასე დარჩა. მხოლოდ ცხოვრებისა და ტრადიციების კარგი ცოდნა ძლევდა ყიფიანს საშუალებას ასეთი დაკვირვებული და საქმიანი შენიშვნებისა. თუნდაც ამისათვისაა აუცილებელი ცხოვრებისა და ხალხის ისტორიის ღრმა ცოდნა, რასაც ყიფიანი ყველა მსახიობისაგან მოითხოვდა თავის წერილებში.

კოტე ყიფიანის ყოველი მოძრაობა სცენაზე, თავისი გმირის შინაგანი ხასიათიდან გამოდიოდა, უფრო მეტიც; გმირის სოციალური წარმოშობიდანაც კი. ამ მხრივ ხატოვნად აღწერს აკაკი წერეთელი კოტე ყიფიანის ერთ-ერთ აზრობრივად სავსე მიმიკას ზამბახოვის როლში (გ. სუნდუკიანცის „ხათაბალა“) — „ყოველი მისი მიმიკა შესაფერისია და საგულისხმო თუ გინდათ სამაგალითოდ ავიროთ ერთი მისი მიმიკა ზამბახოვის როლში: როდესაც ზამბახოვი მიხედა თუ ვინ ყოფილა ის ქალი, რომელიც მოსესიანცს უნახავს, კ. ყიფიანი აკეთებს შემდეგ მიმიკას: ჯერ ცხვირზედ მიიღებს თითს. მერე შუბლზედ და შემდეგ გაიქნევს ხელს, რომლითაც ის ხატავს, რომ მივხედი, რაც ამბავიაო.

ცხვირზე ხელის მიღება რაღა ამბავიაო? ეგება იკითხოს ვინმეც და აი, რა: ჩვენში საზოგადოდ არის მიღებული „სუნით ექებს საქმესო, მიაგნოვო“ და სხვა. მართლაც ზამბახოვისთანა კაცები ისეთ ცუდსა და მყრალს საქმეებს ჰქილებენ ხელს, რომ სუნით უნდა ექებდნენ. ამ შემთხვევაშიც ჯერ სუნი ეცა ზამბახოვს: საიდამ მოდის ეს საქმეო: მერე ასწონა და შემდეგ გადასწყვიტა. მაშასადამე ყიფიანის მიმიკა: ჯერ ცხვირზე თითის მიღება, მერე შუბლზე და შემდეგ ხელის შეტკაცუნება ნამდვილად ამის გამომხატველი ყოფილა<sup>1</sup>.

ყიფიანის ამ მიმიკის ა. წერეთლის მიერ მოცემული ახსნა მსახიობის ერთ შესანიშნავ თვისებაზე მიუთითებს: იგი სწავლობდა მის

<sup>1</sup> აკაკი წერეთელი ოეატრის შესახებ. თბ., გამ., „ხელოვნება“, 1955 წ. გვ. 80.



გარშემო მყოფ ადამიანებს — მათს უესტიკულაციას, მცირებული ამიტომაც იყვნენ მისი გმირები ცხოვრებიდან აღებული, ტიპურნი. კ. ყიფიანი არ იყო ჩამწყვდეული თავისი მაღალი მდგომარეობის ნაჟუში, იგი კარგად იცნობდა თავისი ხალხის ყველა ფენის ცხოვრების წვრილშანებს, ყოფას და იყენებდა თავის სასცენო შემოქმედებაში.

სპექტაკლ „უან ბოდრში“ კოტე ყიფიანი მთავარ გმირს ანსახიერებდა. როგორც რეცენზიებიდან ირკვევა მას სწორად გადმოუცა ფრანგი კაცის ხასიათი; მისი თამაში, ყოველი მოძრაობა თუ ლაპარაკის მანერა შესაფერისი ყოფილა ამ გმირისათვის; ყოველივე ეს იყო ახალი, ჯერ არც ერთ გმირში რომ არ ჰქონია გამოყენებული და სწორედ უან ბოდრისათვის დამახასიათებელი. გმირის ამვარი განსხიერება მისთვის შემთხვევითი არ იყო, ეს იყო მისი შემოქმედებითი ნიშანდობლივი თვისება. ამას ადასტურებს მრავალიდან თუნდავ ერთ-ერთი რეცენზენტის გამონათქვამი — „ყოველი მიხრა-მოხრა მოსწრებულად; დროზედ შესაფერისი მეტყველება“<sup>1</sup>.

ყიფიანის, როგორც მსახიობის სხვა შესანიშნავ თვისებათა შორის ყურადსალები და აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სპექტაკლში არასოდეს არ იყო თავისი გმირის სახისა და სიტუაციისაგან გამოთიშული; ლაპარაკობდა თუ სდუმდა მუდამ მრავალმეტყველი იყო იგი სცენაზე. აი, რას სწერს მაკო საფაროვა — აბაშიძე კოტეს ამგვარი უსიტყვო, მაგრამ საოცრად მეტყველი სცენის შესახებ: — „კოტე თამაშობდა უან ბოდრს, მეც იქვე მის ქალის როლს ვთამაშობ. ისე გამიტაცა კოტეს თამაშობამ, თუმცა უსიტყვომ რომ კინა. ლამ დამავიწყდა ჩემი სცენაზე ყოფნა და ასე ჰევძახე: „კოტე რა მშვენივრად თამაშობ-მეთქი. ისეთი მედიდური მიმოხვრა ჰქონდა, ქუდი იმნაირად დასდო მაგიდაზე და ისე შემომხედა, რომ ბევრი მრავალმეტყველება ვერ იტყოდა იმას, რაც იმან, ამ ერთის მოძრაობით გამოჰქატა“<sup>2</sup>. თვით ბრწყინვალე მსახიობი მაკო საფაროვა, შესანიშნავად აფასებს კოტეს მიერ დიდებულად გათამაშებულ პაუზას, რომელშიაც მსახიობმა დაინახა არა უბრალო სიჩუმე, არამედ ის შინაგანი განწყობა, რომლითაც ასავსე იყო ეს პაუზა.

სამწუხაროდ ყველა მსხიობს არ შეეძლო ასეთი პაუზის გათამაშება; 1879 წ. ქართველი სცენისმოყვარეები, რომელთაც შექმნეს პროფესიული თეატრი, ქუთაისში სუნდუკიანცის „პეპოს“ უჩვენებდნენ. კოტე ყიფიანი ასრულებდა გიქოს, კაკულის — ავქსენტი ცაგა-

<sup>1</sup> „დროება“, 1880 წ. № 233 (ხაზი ჩვენია — ე. დ.).

<sup>2</sup> ივ. გომართელი, „კონსტანტინე დიმიტრის ძე ყიფიანი“, გვ. 67.



რელი. იმ სცენაში როდესაც კაკული პეპოს დაპატიმრების ამბავს ატ-<sup>1</sup> ყობინებს გიქოს; კოტე ყიფიანმა დიდი პაუზა გააკეთა, ბურნულისათვის. ეს პაუზა ვერაფრით ვერ გაამართლა ცაგარელმა, სცენაზე უსაქმურად დგომა მოძებზრდა, გაბრაზებულმა კისერში დასტაცა მოხუც გიქოს და წინ გამოიგდო, ამ დროს დეკორაციაში კარი ვერ გაარჩია, კედელს დაატაკა ქალალდი გაიხა და ორივენი კულისებში გაგორდნენ<sup>1</sup>. დარბაზში სიცილი ატყდა. ცაგარელს რომ მოეხერხებინა „გულის გაწყალების“ უსიტყვო გათამაშება და კაკულის და არა ცაგარელს გაეთრია გიქო სცენიდან მაშინ იქნებოდა საუკეთესოდ გათამაშებული პაუზა და არა სასაცილო ფაქტი, როგორც ამას თვით ცაგარელი იგონებს.

კოტე ყიფიანის ე. წ. „უსიტყვო მეტყველების“ შესახებ მიუთითებს კიდევ ერთი რეცენზენტი — „ყოველი მისი ფეხის გადაღვა, ყოველ მოძრაობას ეტყობა „თამაშობა“, „აქტიორობა“. ტყუილუბრალოდ არა წუთს არ იმყოფება სცენად ლაპარაკობს თუ ჩუმათ არის, დგას თუ ზის კოტე ყიფიანი ყოველთვის მონაწილეობას იღებს იმ მოქმედებაში, რომელიც სწარმოებს სცენაზე და არ ჰგავს სხვა აქტიორებს, რომელიც მარტო მაშინ ითამაშებს როგორმე, როდესაც ლაპარაკობს...“<sup>2</sup>.

კოტე ყიფიანის თამაში არასოდეს ყოფილა გამოგონილ ეფექტებზე დამყარებული, შორს იყო ყოველგვარი ყალბი პათოსისაგან; ყოველი მისი გმირი სცენაზე ნამდვილი ადამიანის სიცოცხლით ცოცხლობდა. ყველასათვის პოულობდა იგი შესაფერის გამომსახველობით საშუალებებს გამომდინარეს საკუთრივ ამ გმირის შინაგანი ბუნებიდან, რასაც ხშირად აღნიშნავდნენ რეცენზიებში. „კ. ყიფიანმა თავისებურის ოსტატობით გამოსახა ამპარტავანი მოხუცის როლი და არც ერთხელ არ დატყობია სიყალბე, თითქოს სცენა მისი კაბინეთი იყო და პიესის მოქმედება საკუთარი ცხოვრების მიმდინარ ეობა“<sup>3</sup> ან კიდევ „ერთგვარი სინამდვილით ჰქმნის კოტე სხვადასხვა ტიპის სურათს“<sup>4</sup>. მაშასადამე მაყურებელი სცენაზე ხედავდა არა ამ როლის შემსრულებელ მსახიობს, არამედ სწორედ ამ ადამიანს თავისი ნამდვილი ცხოვრებით. ეს არის სწორედ ის რასაც ყიფიანი მოითხოვდა მსახიობისაგან.

<sup>1</sup> ა. ცაგარელი. „კომედიები“. გამ. „ფედერაცია“, თბ. 1936 წ. გვ. 372.

<sup>2</sup> „დროება“, 1880 წ. № 99 (ხაზი ჩვენია ედ. დ.).

<sup>3</sup> „დროება“, 1880 წ. № 260.

<sup>4</sup> ვ. გომაროელი. „კონსტანტინე დიმიტრის ძე ყიფიანი“, გვ. 39.

კოტე ყიფიანი თავის აქტიორულ შემოქმედებაში განუხორება  
იცავდა საკუთარ თეორიულ მოთხოვნებს; იგი ორასოდეს არა იკვეთა  
ყებდა საკუთარ „მეს“ მოშლას, განსასახიერებელი გმირის „მე“-ზე  
გარდასახვას და სცენური მარტოობის გრძნობის შექმნას. მისთვის  
მაყურებელი არ არსებობდა, ყოველთვის პერიდა ჩამოფარებული  
ერთგვარი მეოთხე კვლელი, რომელიც ხელს უწყობს სცენური სი-  
მარტოის გრძნობის შექმნას.

ივ. გომართელი თავის ნაშრომში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ  
„სცენაზე კოტე სინამდვილეს ივიწყებდა, მისთვის აღარავინ აღარ  
არსებობს, ის თითონაც აღარ არსებობს, როგორც კოტე, არამედ გა-  
დაიქცევა იმ ტიპად, რომელსაც თამაშობს, შეისხამს იმის  
სისხლსა და ხორცს, აიგვერებს მკერდ ში იმის გულს, განიცდის იმის სულის კვეთებას, ნებას, მისწრაფებას და  
ამით პერიდის საოცარ ილუზიას, გასაოცარ რეალიზმს“<sup>1</sup>. განსასახიე-  
რებელი გმირის სისხლ-ხორცის შესხმასა და მისი გულის აძგერებას  
საკუთარ მკერდში მოითხოვდა კოტე ყიფიანი მსახიობისაგან და  
თითონაც იძლეოდა ამის მაგალითს თავის შემოქმედებით.

აკაკი წერეთელი ერთ-ერთ თავის წერილში კოტე ყიფიანის შე-  
სახებ წერს: „თქვენ ვერ შენიშნავთ ბევრიც, რომ ეცადოთ, მის სა-  
ხეზედ გაღაჭარბებულ მოძრაობას და მიხერა-მოხვრაში საონუნჯო  
მანჭიაობას“<sup>2</sup>. მაშასადამე იგი კომიკური სიტუაციის შექმნას მანჭია-  
ობით კი არა ცდილობდა, არამედ სერიოზული ქცევით. ასეთი იყო  
მისი თავადი ჯამბარაშვილი ავქ. ცაგარელის კომედიაში „რაც გი-  
ნახავს, ვეღარ ნახავ!“ ყიფიანი ამ გმირის შესრულებისას იმ მოსაზ-  
რებიდან გამოდიოდა, რომ ჯამბარაშვილის მდგომარეობა კომიკურ  
სიტუაციაში იმიტომ აღმოჩნდა, რომ მისი მოქმედება შეუფერებე-  
ლია შექმნილ ვითარებისათვის. ჯამბარაშვილის გარშემო სიტუაცია  
ახალია, თავისი ახალი ხალხითა და კანონებით, იგი კი მოქმედებს  
ძველი დროის კანონებით, რომელიც დრომოჭმულია და რადგანაც  
იგი გულმოდგინედ იცავს იმას რასაც ნიადაგი გამოცლილი აქვს.  
ამიტომა მისი მდგომარეობა სასაცილო. მაღალი კომიზმის ეს მნიშ-  
ვნელოვანი პირობა ღრმად პერიდა შეგნებული ყიფიანს და ამგვარად  
ანსახიერებდა თავის კომიკურ პერსონაჟებს. ასევე ტრაგიზმის მა-  
ღალი პრინციპებით ანსახიერებდა იგი ლირსა და შეილოკს (შექ-  
პირის „მეფე ლირი“ და „ვენეციელი ვაჭარი“) ტრაგიკულია ის გმი-  
რი, რომელიც თავის დროს ჩამორჩა, ან პირიქით გაუსწრო მას და

1 ივ. გომართელი, „კონსტანტინე დიმიტრის ძე ყიფიანი“, ვ. 48—51.

2 „დროება“, 1881 წ. № 37.



მისი მოქმედება ამ დროისათვის გაუგებარია. ეს იყო მთავარი ყოფილი უძრავი უნიკატური ციური მოქმედების შემთხვევა. როდესაც იგი ამ გმირებს განასახიერებდა. ამაში იყო კუთხიანის დიდი მოქალაქეობრივი და ორტისტული ძალა, ფართო დია-პაზონი და იდეოლოგიური სიმახვილე. ამით აღწევდა იგი, იმას, რომ მისი ამპულის დაღვენა უჭირდათ მის თანამედროვეებს. გუ-ნის სიტყვით რომ ვთქვათ „ძნელად გამოვა ორტისტი, რომ ერთი და იმავე ხელოვნებით და ბუნებრივი სიმართლით ითამაშოს დრა-მტიული და კომიკური როლები, ბებრები და ახალგაზრდები. ამ შემთხვევაში კ. ყიფიანი სრულებით არა არ არ უ-ლებრივ მოვლენას წარმოადგენს ჩვენს სცენაზე“<sup>1</sup>. ეს სიტყვები ეწინააღმდეგებიან ჩვენს მიერ ზემოდ მოყვა-ნილ მისსავე სიტყვებს და ადასტურებენ, რომ ყიფიანი ყველა გმირი ახალახალი ხერხით და საშუალებებით ანსახიერებდა და ქმნიდა ტიპიურ სახეებს.

კოტე ყიფიანის შემოქმედება, სწორედ იმითი გამოირჩეოდა თა-ვიდანვე, რომ იგი ერთნაირის სიმართლითა და სიძლიერით ასრუ-ლებდა სხვადასხვა უანრისა და ამპულის როლებს — ეს იყო მისი შე-მოქმედების პრინციპი, ამასვე ურჩევდა იმთავიდანვე დიმიტრი ყა-ფიანიც. დიმიტრი ყიფიანი სთვლიდა, რომ ნიჭიერი მსახიობისათვის ამპულა არ უნდა არსებობდეს, ამიტომაც ეუბნებოდა იგი ახალგაზრ-და კოტეს — „ყველაფერი ითამაშე, ყოველგვარ როლში გამოდი“<sup>2</sup>. კოტე ყიფიანმა თავის შემოქმედებაში დაამტკიცა ამ მოსაზრების საფუძვლიანობა.

შეძლებისდაგვარად ყველა როლზე მუშაობისას ყიფიანი განსა-კუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა პიესის იდეურ მიზანდასახუ-ლებაზე და თავისი გმირის ადგილზე ამ საერთო ვითარებაში. მაგა-ლითისათვის შეგვიძლია დავასახელოთ ფრანს კოპეს დრამა „იაკო-ბინელები“, რომელშიაც ყიფიანი უსინათლო მოხუც ანგუსის როლს ასრულებდა. პიესა შეეხება შოტლანდიელების ბრძოლის ეროვნუ-ლი დამოკიდებლობისათვის. პიესის დედააზრი ხალხის ერთსულო-ვან შეკავშირებასა და პატრიოტულ სულისკვეთებაშია. ანგუსი არ არის მთავარი გმირი; იგი არ არის ამ მოძრაობის წინამდლოლი. ვი-ნაიდან შოტლანდიის პრინცის როლის შემსრულებელმა ვერ ზიდა პიესისა და როლის იდეური მიზანი, მისი სახე დაიკარგა. ყიფიანმა კი თავისი უსინათლო მოხუცის როლში ჩაჭრის გულის-წყრომა და სიძულვილი მტრისადმი, გმირს მისცა სათანადო იდეური

<sup>1</sup> ვალერიან გუნია თეატრის შესახებ (ხაზი ჩვენია — ე. დ.).

<sup>2</sup> ივ. გომართელი „კონსტანტინე დიმიტრის ძე ყიფიანი“, გვ. 39.



მიზანდასახულება და ანგუსი გახდა სპექტაკლის წამყვანი დროში მართვისათვის თავისი ცხოვრების მთავარ მიზნად, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა იყო და ცხადია მან სწორად გაიგო, ასევე პატარა ერის, შოტლანდიელთა, წარმომადგენელის მოხუცი პატრიოტის შინაგანი განცდები და დიდი სიმართლით წარმოუდგინა იგი მაყურებელ საზოგადოებას.

მსგავსი შემთხვევები ხშირად გვხვდება კოტე ყიფიანის შემოქმედებაში; რაფ. ერისთავის ერთმოქმედებიან ხუმრობა-ცოდევილში „პარიქმახერისას“ კოტე ყიფიანი თავად ბააღურს განასახიერებდა. პარიქმახერთან პირის მოსაპარსად მოსული ყიფიანი — ბააღური ლამაზ გოგონას, ფაქტურად ქალად გადაცმულ ვაჟს, დაინახავდა. ბუნებით მოარშიყე თავადს თვალები გაუბრწყინდებოდა და ქათონაურებით ებაასებოდა მას. ამ დროს კი ვაჟად გადაცმული ნამდვილი ქალიშვილი წვერსა პპარსავდა, მრავალ ადგილას გასჭრიდა და ბამბებს აწებებდა. „ქალიშვილთან“ ბაასით გართული ყიფიანი — ბააღური ვერ ამჩნევდა მის სახეზე დატრიალებულ უბედურებას და დიდის სერიოზულობით კოხტაობდა — ამითი უფრო სასაცილოდ გამოიყურებოდა მისი გმირი.

როგორც ყიფიანის წერილებიდან დავინახეთ იგი სთვლიდა, რომ თეატრმა უნდა აღზარდოს და აამაღლოს მაყურებელი, ამიტომაც არ მიმართავდა უბრალო ხალხისათვის იოლად გასაგებ სასაცილო ან სატირულ ეფექტებს, რისთვისაც მას „საარისტოკრატო მსახიობს“ ეძახდნენ. სინამდვილეში კი ყიფიანი, თავისი ლირის მსგავსად, დროს გასწრებული მსახიობი იყო, რომელსაც მისი თანამედროვე საზოგადოების უდიდესი ნაწილი ვერ უგებდა, მაგრამ ეს არ იყო ყიფიანის ცხოვრების ტრაგედია, პირიქით იგი უფრო მეტად იცავდა თავის შემოქმედებაში ამ პრინციპებს და ამასვე ითხოვდა ყველა ქართველი მსახიობისაგან, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ვერ წარმოედგინა ნამდვილი ხელოვნება. ხალხისაგან იაფფასიანი ტაშის დამსახურების მიზნით მას არასოდეს უკუუგლია თავისი მაღალი შემოქმედებითი პრინციპები, თუმცა ამისათვის, როგორც ვალ. გუნია ამბობს: „ქ. ყიფიანი ხალხს იმდენად არ უყვარს რამდენადაც პატივსა სცემს. ჩვენ არ გვახსოვს, რომ ერთ ბენეფისში მაინც თეატრი მაყურებლებით სავსე ჰქონოდა ყიფიანს“<sup>1</sup>. მაგრამ არც პირადი შემოსავლის გადიდების მიზნით აულია ხელი „სერიოზული“ როლე-

<sup>1</sup> ვალერიან გუნია თეატრის შესახებ. გვ. 35.



ბის თამაშისათვის, პირიქით, მის ბენეფისებზე მუდამ იღგმებოდა და „მეფე ლირი“, „ვენეციელი ვაჭარი“, „კარდინალი რიშელიე“ და სხვა ამგვარი პიესები; ამაში იყო მისი მაღალი მოქალაქეობრივი და პროფესიული კულტურა.

ყიფიანის შემოქმედებისადმი „პატივისცემა“ მისი მაღალი შემოქმედების ნამდვილი დაფასებითაა გამოწვეული. ყიფიანის ღამფასებლები და პატივისმცემლები იყვნენ ისინი ვისაც ესმოდათ ნამდვილი ხელოვნების ფასი, სწორედ ამ ღამფასებელთა წყალობით იყო, რომ კოტე ყიფიანის როგორც დიდი ხელოვანის სახელი პატარა საქართველოს საზღვრებს გარეთ იყო გასული, ისეთ შორეულ ქვეყანაშიც კი როგორც საფრანგეთია. კოტე ყიფიანის სურათი გამოქვეყნებული ყოფილა ფრანგული ჟურნალ „Le Caucase Illustre“-ში, არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ის ფაქტიც. რომ უურ. «Театр и искусство»-ს მიერ პეტერბურგში გამოცემულ „Словарь сценических деятелей“-ში კოტე ყიფიანის შესახებ საკმაოდ მოზრდილი სტატიაა სურათითურთ მოთავსებული<sup>2</sup>. ამ ლექსიკონში მოხვედრილია ჩუსეთის იმპერიის საუკეთესო შემოქმედებითი ძალები, რომელთაც თვის ღროზე საყოველთაო აღიარებას მიაღწიეს. ქართველ მსახიობთაგან ამ ლექსიკონში მოხვდნენ კოტე ყიფიანი და ვასო აბაშიძე.

კოტე ყიფიანს თავის შემოქმედებაში მრავალი ღირსების გვერდით ნაკლოვანებებიც გააჩნდა, ზოგი ბუნებრივი და ზოგიც შენაძენი. ყიფიანი ცხოვრებაში ენას უკიდებდა და სიტყვის ბოლო ბგერებს ჰყლაპავდა, მაგრამ სცენაზე ეს ნაკლი უმეტეს შემთხვევაში არ ჰქონდა იმდენად, რომ საუკეთესო მკითხველადაც კი ითვლებოდა. მაგრამ მას გააჩნდა მეორე ნაკლი, რომ ტექსტის ზეპირად სწავლა უძნელდებოდა და მისი ბუნებრივი ნაკლი სწორედ მაშინ იჩენდა ხოლმე თავს, როცა ტექსტი კარგად არ იცოდა, ამის გამო მრავალ შექებათა გვერდით საყვედურიც არ დაჰკლებია.

მიუხედავად ამ ნაკლოვანებებისა, კოტე ყიფიანი თთქმის შეუცვლელი იყო თავის როლებში და ზოგიერთი მათგანი არც სიცოცხლეში და არც სიკვდილის შემდეგ მასზე უკეთ არავის განუსახიერებია. საზოგადოების მოწინავე ნაწილი დიდად აფასებდა ყიფიანის მაღალ ნიჭს და მის როლებში სხვა მსახიობს ძნელად თუ ეგუებოდა. 1902 წ. სხვადასხვა მიზეზების გამო კოტე ყიფიანი თე-ატრში არ მუშაობდა და მაყურებელს უმძიმდა უიმისობა. „და-ძმა-

<sup>1</sup> გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1900 წ. 1335.

<sup>2</sup> Словарь сценическихъ деятелей. изд. жур. «Театр и искусство» II. 1902 г. вып. 9. с. 21—22.

ში“ ოტიას როლი განასახიერა უდავოდ ნიჭიერმა მსახიობმა ვიქტორ  
გამყრელიძემ, რომელსაც საზოგადოება საკმაოდ დიდად აჭაპებული  
მაყურებელს გამყრელიძე თავის როლებში უყვარდა და ყიფიანის  
როლში მისი გამოსვლა თეატრის მესვეურებს არ მოუწონეს!

როდესაც 1887 წელს დიმიტრი ყიფიანის ვერაგული მქვლელო-  
ბის გამო ღრმა მგლოვიარობაში მყოფმა კოტე ყიფიანმა სცენას თა-  
ვი მიანება, საზოგადოება უმორჩილესად სთხოვდა არ დაენებებინა;  
თავი იმ დიდი საქმისათვის რომლის მსახურება მას მისმა დიდებულ-  
მა მამამ უანდერძა: და კოტეც მალე დაუბრუნდა სცენას რომლის  
ერთ-ერთი დედა-ბოძი<sup>2</sup> თითონ იყო და შექმნის ერთ-ერთი ორგანი-  
ზატორი კი მისი განსვენებული მამა.

<sup>1</sup> „ქვალი“, 1902 წ. № 2.

<sup>2</sup> „ივერია“, 1888 წ., № 17; უურ. „თეატრი“, 1886 წ., № 45; „დროება“, 1881 წ., № 37.

ლიტერატურისა და სახვითი ხელოვნების ისტორიის კათედრა

ოთარ ფირალიშვილი  
ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი, დოცენტი

## დასრულებულობის პროგლემისათვის ხელოვნებაში<sup>1</sup>

ადამიანურ სისუსტეთა შორის განსაკუთრებით გამოიჩინა გე-  
მოვნებაში თვითდაჯერებულობა. ამ მხრივ ადამიანი საოცრად კონ-  
სურვატული ბუნებისაა. შეიმუშავებს სილამაზის ნორმებს, აღარ  
ეთმობა, სჯერა რომ სხვა ყოველივე უგემოვნება და მაცდურობაა  
„საკუთარი“ ნორმების გადასინჯვა და ერთხელვე აღიარებული სი-  
ლამაზის კრიტერიუმის დაძლევა ძალიან უჭირს.

საყურადღებოა, რომ თვით არაერთი სალად მოაზროვნე ადამია-  
ნი ავლენს ამ სისუსტეს. ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს შეხედუ-  
ლებას, რომ ხელოვნების განცდა-გაგება გრძნობათა განვითარებუ-  
ლობის შესატყვისია და გონებას პირდაპირ და მარტივად არ ექვემ-  
დებარება.

\*

\* \*

ხელოვნებაში დასრულებულობისა და დაუსრულებლობის თე-  
ორიული განსაზღვრა, საერთოდ, ესთეტიკის პრობლემათა რიგს გა-  
ნეკუთვნება. მაგრამ ამ სტრიქონების ავტორი თუ ხელოვნებაში და-  
სრულებულობის საზღვართა გარკვევას ცდილობს, ძირითადად იგა-  
ხელოვნებათმცოდნისა და მხატვრის პოზიციებიდან გამოდის, რაც  
მას არსებულ კონცეფციებიდან რამდენადმე განსხვავებულ თვალ-  
საზრისშე აყენებს. ამასთან ავტორი სულ უფრო და უფრო რწმუნ-  
დება, თუ აღნიშნული პრობლემის დასაძლევად რა სამსახურის  
გწევა შეუძლია მხატვრულ ალლოს. ავტორისათვის ერთგვარად  
წამახალისებელი იყო ისიც, რომ ხელოვნების ფილოსოფიაში უკვე  
აღიარებულია შემდეგი: დაუსრულებლობის პრობლემასთან დაკავ-

<sup>1</sup> წინამდებარე ნაშრომი მოკლედ გადმოსცემს მონოგრაფიული გამოკვლე-  
ვის „ხელოვნებაში დასრულებულების პრობლემის“ მხოლოდ ძირითად დე-  
ბულებებს.

შირებით ყველაზე ნაყოფიერია ხელოვნების კონკრეტული მეტადებები, თების გაშუქებით მიღებული ასპექტები<sup>1</sup>.

ჩვენ დროს, იდეოლოგიურ წინააღმდევობათა ვითარებაში დარღულებულობის პრობლემა თვალსაზრისთა დაპირისპირებას იწვევს რაც ერთგვარად თუმცა ართულებს მის გაგებას, მაგრამ საერთო როდი სპობს მისი გადაჭრის შესაძლებლობას.

დასავლეთ ევროპის ესთეტიკა ამ პრობლემას „Non-finito“-ს ანუ — არ დამთავრების პრინციპით მიუდგა და ის საბუთი, რომ ხელოვნების ნაწარმოებს მაშინ აქვს მეტი მიმზიდველობა, როდესაც „დაუმთავრებელია“, მან მატერიაზე სულის უპირატესობის, ან მატერიალური სუბსტანციის „გაქრობის“ კარგად ცნობილ ფილოსოფიურ ტრადიციებს დაუკავშირა: ყოველივე ეს იქნებ დიდ ცოდვად არ გამოჩენილიყო მხოლოდ მოდერნიზმის საკითხებს რომ მოცავდეს. სამწუხაოოდ, იგი კლასიკური მემკვიდრეობის უმართებულო გაშუქებაშიც იხატება. ასეთ ვითარებაში არა მარტო ესთეტიკა, რომელიც უშუალოდ ზოგად კატეგორიებზე მსჯელობს, არამედ ხელოვნების ისტორიაც გულმშვიდად ვერ აუვლის ვერტუალს იმას, რაც კაცობრიობის წმინდათაწმინდის გაბიაბრუებას ნიშნავს.

„Non-finito“-ს თეორია სახვით ხელოვნებაში დასავლურ სიახლეებთან დაკავშირებით წარმოიშვა. წინამდებარე ნაშრომიც სახვითი ხელოვნების თვალთახედვით უდგება აღებულ პრობლემას, ოღონდ ახლებური კუთხით. რაც შეეხება თვით პრობლემის აქტუალობასა და პრაქტიკულ მნიშვნელობას, ამაზე, რა თქმა უნდა, ღვარავიც ზედმეტია.

„Non-finito“-ს თეორია, რომლის ისტორიაც ჯერ ოციოლ წელსაც ვერ ითვლის, დასავლეთის იდეოლოგიის ერთ-ერთი მფაფიოდ დამახასიათებელი ნაყოფია, და უკანასკნელ წლებში საკმაო პოპულარობა მოიპოვა ესთეტიკოსთა და ხელოვნებათმცოდნეთა წრეებში.

ამ თეორიას ეძღვნება სტატიები, წიგნები, მოხსენებები. იგი ისეთი საერთაშორისო შეხვედრების ყურადღების ცენტრში იღვაროვნიც იყო საარბრიუქენის სიმპოზიუმი (1956 წელი), ათენში გამართული ესთეტიკოსთა IV მსოფლიო კონგრესი, ამსტერდამის

<sup>1</sup> Heinrich Lützeler. Zur Theorie des „Unvollendeten“ in der Kunst, Actes du cinquième congrès international d'esthétique d'Amsterdam 1964, Mouton, La Haye-Paris, 1968, p. 249. იხ. იგრევთვი ფრანკო ფენიცა, Per un'estetica del „Non finito“, Actes, du cinquième congrès... Amsterdam... p. 227.



კონგრესი (1964), ჰეგელისადმი მიძღვნილი ზალცბურგის V კონგრესი, სტოქოლმის VI კონგრესი.

მომხსენებელთა და მოკამათეთა დიდი ნაწილი დაუსრულებლობს პრინციპს დასავლეთის დეკადენტურ ხელოვნებას უკავშირებს, თოქოს იგი მისი ყველაზე არსებითი თვისება იყოს. აღნიშნულ კონკრეტულ ერთ-ერთი წამყვანი მონაწილის, ცნობილი საბჭოთა ესთეტიკოსის მ. თ. ოვსიანიკოვის განმარტებით:

«Нон-финито» — новая модная категория. Она пока не получила строгого логического определения... но если категория «нон-финито» логически еще не осмысlena, отсюда не следует, что не стоит придавать ей значения. Дело заключается в том, что категория «нон-финито» преподносится западными эстетиками как понятие, раскрывающее существенные признаки модернистского искусства»<sup>1</sup>.

ძერძენი ესთეტიკოსი მიხელისი „Non-finito“-ს წამიერი შთავონების ამხსნელ თეორიად მიიჩნევს.<sup>2</sup> ესთეტიკოსთა უმეტესობა კი ისეთი ხელოვნების თეორიად თვლის, რომელიც „სათქმელს“ ბოლომდე არ „ამბობს“, რათა აღმქმელ სუბიექტსაც დაუტოვოს თანადამამთავრებლობითი და თანაშემოქმედებითი აქტიობის ასარეზი. ამასთან ასეთი დაუმთავრებლობა, როგორც მოწოდება, მოდერნიზმის პრინციპად გამოაცხადეს, თუმცა იგი ხელოვნების უძველესი პრინციპია და მას არსებითად მხოლოდ ნატურალისტები და ე. წ. „მხოხავი ემპირისტები“ არ იყენებდნენ.

რეალისტურ ხელოვნებაში აღმქმელი სუბიექტისადმი ანგარიშგაწევა სრულიად ბუნებრივი იყო. „Non-finito“-ს თეორიას კი აღლა მისტიფიკაცია დასჭირდა ვითომდა მოდერნიზმის არსების „გასახსნელად“.

აღმქმელი სუბიექტის მიმართ ელემენტარული და აუცილებელი ტაქტის ნიმუშად ვლადიმერ ილიას-ძე ლენინს ფოეირბახის ერთი შენიშვნა მიაჩნდა, სადაც ნათქვამია: წერილ გონებამახვილური მანერა, სხვათა შორის, იმაში მდგომარეობს, რომ იგი ჰქონდა გულისხმობს მკითხველშიც, რომ იგი თვით მკითხველს ალაპარაკებს<sup>3</sup>

მოდერნიზმს ამ კუთხით ვერ მივუდებით, ასე ვერ ავსხნით მის არსებას. ეს იქიდანაც ნათელია, რომ მასში უსაგნო და გან-

<sup>1</sup> М. Ф. Овсянников, Актуальные проблемы эстетической науки, Борьба идеи в эстетике, Москва, 1966, стр. 180.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 182.

<sup>3</sup> ვ. ი. ლენინ, XXXVIII, გვ. 73.



უკნებულ მიმართულებებთან ერთად, როგორიცაა, მაგალითული სტრაქციონიზმი, პოპ-არტის სახით ცინიკურ სიმდაბლემდე დაუკანილი ნატურალისტური კონცეფციაც არსებობს.

ამ ორი უკიდურესობიდან მხატვრული ტაქტი შეიძლება რამდენადმე აბსტრაქციონიზმსაც ახასიათებდეს, მაგრამ ვერაფრით უკიდულგება მეორე უკიდურესობას — პოპ-არტს, დაუკეუილი ნივთბის, ავტომანქანების, ნაწილების, ფიტულებისა და მრავალგვარის სხვა საკნების დემონსტრაცია თავისთავად გამორიცხავს ამის შესაძლებლობას.

ამდენად, აღმენიშვილი სუბიექტისადმი ანგარიშგაწევასა და ტაქტს ჭეშმარიტ ხელოვნებაში ყოველთვის ენიჭება ტოტალური მნიშვნელობა, რაც მოდერნიზმის სპეციფიკურ ნიშნად ვერ ჩაითვლება.

მაშასადამე, მოდერნიზმის საკუთარი ნიშნები სხვაგან უნდა ვეძიოთ და იგი „Non-finito“-ს თეორიით ვერ აიხსნება. მოდერნისტული ხელოვნების საკუთარი ნიშნები და არსება იმ დიდ კრიზისშია საძიებელი, რასაც თანამედროვე დასავლეთის სულიერი ცხოვრება ქმნის!

XIX საუკუნის მიწურულიდან დასავლეთის საზოგადოებრივ აზროვნებაში, განსაკუთრებით ხელოვნებაში მკვეთრი გარდატეხა მოხდა. ცოცხალი სინამდვილისადმი პოზიტიურ-ემოციური დამოკიდებულება ნეგატიურით შეიცვალა; ცხოვრების სიყვარული — სიძულვილითა და ცინიზმით, ცოცხალი სინამდვილის მხატვრული ტრანსფორმაცია კი იმავე სინამდვილის დეფორმაციით, მშვენიერების ტრფიალი „სიმახინჯის ესთეტიკით“. რადიკალური გროტესკი და ძრწოლის მომგვრელი სანახაობანი დიდსა და ღრმა ადამიანურ ტკივილებსა და სულიერ დეპრესიაზე მეტყველებენ, რომლის ფოზე ფორმალისტური არტისტიზმის უშინაარსობა მორალურ შესვენებასაც კი დამსგავსებია<sup>2</sup>.

აბსტრაქციონიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი, კანდინსკი წერდა:

«Чем ужаснее становится мир (а именно теперь он ужасен, как никогда), тем абстрактнее становится искусство, тогда как счастливый мир создает искусство реалистическое»<sup>3</sup>.

<sup>1</sup> ამ სტრიქონების ავტორს, ცხადია, დასავლეთური პროგრესული ხელოვნება მხედველობიდან არ რჩება.

<sup>2</sup> З. Какабадзе, проблема «экзистенциального кризиса» и трансцендентальная феноменология Эдмунда Гуссерля, Тбилиси, 1966, стр. 6.

<sup>3</sup> Иностранный литература, 1960, № 5, стр. 201.

სინამდვილის რადიკალური დეფორმაციის არსება, რასაც მო-  
ვტრისტული ესთეტიკის გარკვეული წრეები დაუმთავრებლობას  
სიჭრენ, მეტად საინტერესოდ. აქვს გახსნილი პროფესორ ზ. კაკა-  
ძეს:

«...путем соответствующего анализа, нетрудно обнаружить внутренний мотив «деформации»: трагическое открытие радикальной двусмысленности человеческого мира, открытие того, что за невинной внешностью мира скрывается черное «подземелье», «царство дьявола». Подлинное лицо современного буржуазного мира прикрыто маской благоустронности, упорядоченности, порядочности, гармоничности, наполненности смыслом, человечности; а на самом деле внутренне он крайне неустроен, хаотичен, бессмыслен и бесчеловечен. Почтенные буржуа притворяются живыми, играют в интересные дела, в любовь, дружбу, в веру в бога и в хождение в церковь, в бессмертие. И за этой лживой игрой и обманчивой внешностью проглядывает подлинное лицо буржуазного мира: опустошенность, скука, одиночество, вражда, тотальная война, смерть, т. е. «синтез всего того, что присуще эпохе разрушения<sup>1</sup>».

საყურადღებოა, რომ ეს ბოლო სტრიქონი აბსტრაქტიონისტ მხატვარ რობერტ დელონეს ეკუთვნის.

ამგვარად, დასავლეთის ხელოვნებაში თანამედროვე ბურჟუა-ზიული სამყაროს მოჩვენებით სიკეთესა და გალამაზებულობაში მისი ნამდვილი არსება — უკიდურესი ეგოიზმი, გამოფიტულობა და დაუნდობლობა დანახა, ხოლო რაც განსჭვრიტა, არ შეეძლო სხვებისათვისაც არ გაეზიარებინა.

«Современный западный художник — წერს პროფ. ზ. კაკა-ძე, — будь то экспрессионист, абстракционист или сюрреалист, есть именно тот художник, который, открыв за маской человечности бесчеловечно-уродливое лицо действительного мира, получил жестокий «шок» разочарования. Современное западное искусство — это порождение трагически «шокированного» сознания»<sup>2</sup>.

<sup>1</sup> З. М. Какабадзе, Человек как философская проблема, Тбилиси, 1970, стр. 57.

<sup>2</sup> იქვ. 83. 57—58.

აი ეს არის არსება თანამედროვე ბურჟუაზიული ხელამწეობები  
და არა დაუსრულებლობა, რასაც ასე გულმოღვინედ ქრისტეფორე  
„Non-finito“-ს თეორია.

ყოველივე ამის გათვალისწინება „Non-finito“-ს თეორეტიკო-  
სებისაგან პრინციპულად განსხვავებულ ნიადაგზე გვაყენებს, არა  
მარტო ისტორიული ფაქტების გაშუქებისა და მეთოდოლოგიური  
თვალსაზრისით, არამედ მასალის შერჩევის მხრივაც. ჩვენი აზრით,  
დასრულებულობის პრობლემის მართებული გაშუქებისათვის, მო-  
დერნიზმი, როგორც ტრავმირებული იდეოლოგიის გამოვლინება,  
სულაც არ წარმოადგენს მეცნიერული დაკვირვების უტყუარ ობი-  
ექტს. ამიტომაც ჩვენ საუკუნეებით პრობირებულ ხელოვნების ნი-  
მუშებს დავემყარებით.

დასრულებულობა, როგორც სილამაზის პრინციპი, ყოველ  
დროს, მით უფრო ანტიკური ეპოქიდან დაწყებული, ფილოსოფოს-  
თა და ხელოვანთა განსაკუთრებული ინტერესის საგანი იყო!. მარ-  
თალია, ხელოვნების ისტორიასა და ესტეთიკაში დაუსრულებლო-  
ბასაც ექცეოდა ყურადღება, მაგრამ იგი განხილებოდა როგორც  
დასახულის განუხორციელებლობა და არა როგორც ესთეტიკური  
თვისობრიობა. ჩვენი საუკუნის მონაპოვარს სწორედ დაუსრულებ-  
ლობის მშვენიერების ძიება წარმოადგენს, მაგრამ მის მიმართ ყუ-  
რადღება იღიალისტურმა ესთეტიკამ გამოიჩინა, მისტიკურ ბურუს-  
ში გაახვია და პლატონიზმის გამოცოცხლებას და მატერიისაგან სუ-  
ლის განთავისუფლების „თვალსაჩინოებისათვის“ გამოიყენა. აქედან  
დაუსრულებლობის პრობლემა, რა თქმა უნდა, ხელსაყრელ სარბიე-  
ლად იქცა სუბიექტივიზმისათვის. არანაკლებ გამოადგა იგი თანა-  
მედროვე პოზიტივიზმსაც მატერიალიზმის წინააღმდეგ, კერძოდ, მა-  
ტერიალური სუბსტანციის უარსაყოფად.

მხატვრული დაუსრულებლობის პრობლემა დიალექტიკური მა-  
ტერიალიზმის პოზიციებიდან დღემდე არ განხილულა, მაშინ როცა  
იგი სწორედ ამ პოზიციებიდან მოითხოვს გულდასმით შესწავლას.

ხელოვნებაში დასრულებულობის კრიტერიუმის გადასინჯვა  
ჩვენმა საუკუნე წარმოაყენა. პირველი მსოფლიო ომისა და რევო-  
ლუციების ეპოქა კლასიკური მემკვიდრეობის გადაფასებასაც შეე-  
ცადა. დღის წესრიგში მოექცა ისეთი გრანდიოზული მოვლენის გა-

1 ამ საკითხთან დაკავშირებით საკმაოდ სრული ბიბლიოგრაფიისათვის იხ.  
Francis J. Kovach, Artistic incompl :tio in the philosophy of art, Actes du IV congrès international d'esthetique Athènes 1960, p. 319—320.

დაფასებაც კი, როგორიც იყო მიქელანჯელოს მემკვიდრეობა. გან-  
საკუთრებით საინტერესო დისკუსია გამოიწვია მისმა ე. წ. „დაუმი-  
სავრებელმა“ ნაწარმოებებმა და სწორედ ეს იყო მეტისმეტად სიმ-  
პტომატური: მკვლევართა უმეტესობისივის აშკარა იყო მიქელან-  
ჯელოს დამთავრებულ ქმნილებებთან შედარებით მისივე „დაუმთავ-  
რებელ“ ნაწარმოებთა ზემოქმედების განსაკუთრებული ძალა და  
სწორედ ეს იქცა თავსატეს პრობლემად, რამაც ხელოვნებაში დაბ-  
თავრების კრიტერიუმისაღმი ინტერესი გააცხოველა.

არისტოტელეს დროიდან კლასიკური ესთეტიკა მთლიანობის,  
დასრულებულობისა და სრულყოფილებით ხელმძღვანელობდა.  
მაგრამ იმის გამო, რომ არისტოტელეს „მიმეზისი“ სინამდვილის  
წარმოსახვად კი არ მიიჩნიეს, არამედ მიბაძვად, დასრულებულო-  
ბის გაგების უმართებული ტრადიცია შეიქმნა, რაც მთელი შემდეგ-  
დროინდელი ესთეტიკური აზროვნებისათვის საბედისწერო გახდა.  
ვისაც კი საერთოდ „მიმეზისი“ სინამდვილის მიბაძვად მიაჩ-  
ნდა და არა მის მხატვრულ წარმოსახვად, იგი ნაწარმოების დამთავ-  
რებულობის კრიტერიუმად ნატურას გულისხმობდა და არა იმას,  
რასაც არისტოტელე შესაძლებლობის მატერიალისტური გაგების  
სახით წარმოგვიდგენდა. „პოეტს არ ევალება, ისა თქვას, — წერდა  
არისტოტელე, — რაც ნამდვილად მოხდა, მან ის უნდა თქვას, რაც  
შეიძლება შომხდარიყო, ანუ რაც შესაძლებელია ალბათობის თუ  
უცილებლობის მიხედვით!...

თუკი „მიმეზისი“ ცხოვრების მიბაძვად ვალიარებთ და თანამიმ-  
დევლურად მივყვებით მას, მაშინ სიყალედ უნდა გამოვაცხადოთ  
თვით ბერძნული ხელოვნების ისეთი ნიმუშები, როგორიცაა პრაქ-  
სიტელის „ვენერა“, ესოდენ პოსულარული „ვენერა მილოსელი“,  
ფიდიასის „ზევსი“ და საერთოდ ყველაფერი, რასაც ხელოვნება  
ჰქვია, იმის გამო, რომ არცერთი მათგანი პროტოტიპს არ იმ ე-  
ორ ე ბს. „ვენერა მილოსელი“ განსაკუთრებული მანძილითაა და-  
შორებული ნატურას, მარტო სილამაზის ზოგადობის გამო კი არა,  
არამედ იმითაც, რომ კანზე ფორები და ბუსუსები არა აქვს, რაც  
ბუნებრივად ყოველ ადამიანს ახსიათებს. „ვენერა მილოსელს“ არ  
გააჩნია არც სისხლძარღვთა სისტემა და სისხლის მოძრაობა, იგი  
ცივია, უძრავი, უგრძნობელი და უტყვია.

არისტოტელეს „მიმეზისის“ მიბაძვად გაგების ტრადიციამ ხე-

<sup>1</sup> არისტოტელეს „მიმეზისის“ გაყალბების საკითხზე იხ. ვილჰელმ გირნიუსი,  
ორბი ათასი წელი არისტოტელეს პოეტიკის გაყალბებისა, მნათობი, 1970, № 2,  
გვ. 121—123.

ლოვნების თეორეტიკოსები დასრულებულობის საკითხში  
რიოზულ დასკვნებამდეც კი მიიყვანა.

„დასრულებული ნაწარმოები. — განაცხადა, მაგალითად, ტე-  
რეზ ვალალასმა 1964 წელს ამსტერდამის კონგრესზე, — საერთოდ  
არ არსებობდა და არც შეიძლება არსებობდეს, რაღაც თვით ყვე-  
ლაზე დასრულებულ ნაწარმოებსაც კი არ შესწევს უნარი  
შესცვალოს, ან სავსებით სრული წარმოდგენა აღვიძრას  
რეალურ სინამდვილეში არსებულ იმ საგანზე, რომელსაც ის გა-  
მოხატავს! (ხაზი ჩემია, —ო. ფ.).

ვალალასი ცამდე მართალია: „ვერაფრით  
ვერ შეცვლის ნამდვილ ცოცხალ ქალს, ისევე როგორც ზევსის ქნ-  
დაკება ვერ შესცვლის ყველაზე უსუსურ არსებასაც კი მამაკაცთა  
სამყაროში, მაგრამ აქედან შეუძლებელია დასკვნის გამოტანა თით-  
ქოს ნაწარმოების დამთავრება გამორიცხულია.

ასეთი პოზიცია, თუ კი ამას საერთოდ ხელოვნების შესახებ  
„მეცნიერული“ პოზიცია შეიძლება ეწოდოს, სრულიად გამორიც-  
ხავს არა მარტო იმ სპეციფიკურ პირობითობას, როთაც შემომქმე-  
დი სოციალური სინამდვილისადმი იდეურ-ემოციურ დამოკიდებუ-  
ლებას გამოხატავს, არამედ საერთოდ, ხელოვნების ლიკვიდაციისა-  
კენ მიგვიყვანდა.

აღსანიშნავია შეთანხმებულობა, რაც „Non-finito“-ს თეორე-  
ტიკოსებსა და მათ მოწინააღმდეგებს შორის არსებობს ბერძნული  
ხელოვნების, როგორც დამთავრებულობის ეტალონის შესახებ. ხო-  
ლო როდესაც მოდერნიზმის დაუმთავრებლობაზე მსჯელობენ, მა-  
უპირისპირებენ ან ემპირიულ საგანს. ან მის „უტყუარ მიბაძვას“—  
ბერძნულ ხელოვნებას.

ამასთანავე დამახასიათებელია რომ „Non-finito“-ს თეორეტი-  
კოსთა უმეტესობა ხელოვნებაში დაუმთავრებლობის სათავეებს ჩინ-  
კვიჩენტოს კორიფეულთან ეძებს — განსაკუთრებით მიქელანჯელოს-  
თან. და მის განვითარებას ბაროკოს, რომანტიზმსა და იმპრესიო-  
ნიზმში ხედავს, ზოგი კი მხოლოდ XIX საუკუნით კმაყოფილ-  
დება<sup>2</sup>.

<sup>1</sup> Therèse D. Valalas, Quelques reflexion sur le non-finito, Actes du cinquième congrès international d'esthetique Amsterdam 1964, Mouton, 1968, p. 260.

<sup>2</sup> XIX საუკუნით იფარვლება მაგ. ბაუმგარტი. იხ. Fritz Baumgart, Das „Non-finito“ in der Kunst des 19. und 20. Jahrhunderts, Actes du IV congrès international d'esthétique Athènes 1960, p. 315—318.



ସ୍ତ୍ରୀ. I. ମିଶ୍ରଲାନ୍ଧୁଳୀ, “ବ୍ୟାକ୍ ପରିଚୟ”



„Non-finito“-ს საზღვრები მნიშვნელოვნად გააფართხოვს მუნდომა ნელმა პროფესორმა ჰენრის ლიტერატურული, რომელიც აღმოსავლეთ აზიის ხელოვნებისა და ლიტერატურული წყაროების განხილვისას ასკვნის, რომ იქ რელიგიურმა წარმოდგენებმა ხელოვნებას დასავლეთისაზე ბევრად უფრო მკაფიოდ და აღრე გამოახატვინა უსასრულობის იდეალ. მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იაბონურ ტუშით ნახატებს, მათ სიმსუბუქეს, ჰაეროვნებას, მინიშნების თვისებას და დაასკვნა, რომ დაუსრულებლობის ასეთი თვისუფლება, რაც აღმოსავლეთ აზიის ხელოვნებას ახასიათებდა, განუხორციელებელი იყო დასავლეთში, რადგან არის ტოტელებ დასავლეთი თავიდანვე შებორკა დამთავრების კანონმდებლობით. ამის გამო, როცა ლაპარაკია დაუსრულებლობაზე დასავლეთში, კერძოდ მიქელანჯელოსთან, ან როდენთან, იგულისხმება ამ ხელვანთა ტრაგიკული მდგომარეობა<sup>1</sup>.

რა თქმა უნდა, ლუტცელერის „მოხსენებაში ერთხელ კიდევ განმეორდა რეაქციული რომანტიზმისათვის დამახასიათებელი აღმოსავლეთის დასავლეთთან დაპირისპირებისა და აღმოსავლეთის მისტიკიზმისათვის უპირატესობის მინიჭების ტრადიციული თეზა დასავლურ რაციონალიზმთან შედარებით<sup>2</sup>. მაგრამ მიზანი ლუტცელერისა რა იყო, — ეს ჩვენთან ნაკლებადაა საინტერესო. აქ უფრო მნიშვნელოვანია იმ ფაქტის კონსტატაცია, რომ „დაუმთავრებლობა“, რის ფესვებსაც მიქელანჯელოს შემოქმედებაში ექცელდნენ, ხოლო მის განვითარებას მოდერნიზმის „დამსახურებად“ მიიჩნევდნენ, აღმოსავლეთ აზიის ხელოვნებისათვის ბევრად აღრე ყოფილა დამახასიათებელი.

„დაუმთავრებლობის“ ლოკალიზაცია, რა სახითაც არ უნდა იყოს, მათ შორის ლუტცელერის მიერ აღმოსავლეთის მისტიკიზმით ახსნა, მართებული არ არის. ამაში დადგებითი ისაა, რომ მან „Non-finito“-ს კვლევის გეოგრაფიული და ქრონოლოგიური მასშტაბი გააფართოვა, რითაც ამ თეორიის უმართებულობა კიდევ უფრო გამოააშკარავა.

ამრიგად, დაუმთავრებლობა ისე, როგორც მკვლევარებს დღესდღეობით ესმით სრულებით ვერ ხსნის პრობლემას. ქვემოთ ჩვენ

<sup>1</sup> Heinrich Lützeler, Zur Theorie des „Unvollendeten“ in der Kunst, Actes du cinquième congrès international d'esthétique Amsterdam 1964, Mouton, 1968, p. 250—252.

<sup>2</sup> М. Ф. Овсянников, Актуальные проблемы эстетической науки, Борьба идем..., стр. 179—183.

უარყოფილი გვაქვს საერთოდ ხელოვნებაში დამთავრებულობის ცალი გვარების დაუმთავრებლობის ყოველგვარი სახის გეოგრაფიული და ქრონლოგიური ლოკალიზაცია და მას ვხსნით მეტაფიზიკურ და დიალექტიკურ მსოფლშეგრძნებებითა და ნაწარმოებთა შინაგანი მხატვრული „ლოგიკით“<sup>1</sup>.

„Non-finito“-ს თეორეტიკოსები შედარებით მეტ ერთსულოვნებას იჩენენ ანტიკური ხელოვნებისადმი დამოკიდებულებაში. მათ მიაჩნიათ იგი საკაცობრიო კულტურის განვითარების ისეთ ეტაპად, როდესაც ხელოვნებამ ნაწარმოებთა დამთავრების „სანიმუშო საზღვარს“ მიაღწია, მაგრამ ამავე დროს ხაზს უსვამენ მის სტატიკურობას, „უსიცოცხლობას“ და სხვ.<sup>2</sup>

„Non-finito“-ს როგორც მეთოდის დაუფასებლობას აღნიშნავენ აგრეთვე ბიზანტიურსა და შუასაუკუნეების დასავლურ ხელოვნებაში ჯერ კიდევ საარბრიუქენის სიმპოზიუმის მონაწილეები<sup>3</sup>.

ანტიკური ხელოვნებისადმი არსებითად იგივე შეხედულება რჩება ძალაში ოვით „Non-finito“-ს თეორიის უარყოფელ ესთეტიკოსებს შორისაც. ასეთია მაგალითად აზრი პეტერ ფაისტისა, რომლის მტკიცება მიქელანჯელოსთან „დაუმთავრებლობის“ შესახებ, არსებითად ანტიკური ხელოვნების დოგმატიკურად გაგებულ დამთავრებულობას უპირისიპირდება<sup>4</sup>.

ზემოთ უკვე გვქონდა შემთხვევა შევხებოდით საბჭოთა ესთეტიკურ ლიტერატურაში „Non-finito“-ს პრობლემის პირველ სერიოზულ განხილვას, რომელშიც მ. ოვსიანიკოვმა რამდენიმე მტკიცნეული საკითხი წამოაყენა. მაგრამ ეს ავტორიც ერთგვარად მაინც განიცდის იმ ტრადიციის ზეგავლენას, რომელიც საერთოდ „მიმეზისის“ მიბაძვად გაგებასთანაა დაკავშირებული და ამიტომ იგი მსოფლიოს ხელოვნების ისტორიიდან გამოყოფს იმ ეპოქებს, რომლებიც მასაც დამთავრების მხრივ „სანიმუშოდ“ მიაჩნია: ასეთებია მისი შეხედულებით ანტიკური ეპოქა, რენესანსი, კლასიკიზმი და XIX საუკუნის რეალისტური ხელოვნება<sup>5</sup>.

კაცობრიობის კულტურის ისტორიაში დამთავრებულობის სანიმუშოდ იმ ეპოქებისა და სტილების მიჩნევა, რომლებიც ვითომე

<sup>1</sup> ი. ქვემოთ გვ. 214—225.

<sup>2</sup> M. F. Овсянников, დასახელებული ნაშრომი გვ. 182.

<sup>3</sup> H. Lutzeler, დასახელებული ნაშრომი გვ. 252.

<sup>4</sup> Feiste Peter H., Das „Non-finito“ bei Michelangelo, Michelangelo heute, Sonderband, 1965, s. 91—107.

<sup>5</sup> M. F. Овсянников. დასახელ. ნაშრომი, გვ. 180.

სინამდვილის მიბაძვის პრინციპს უფრო აკმაყოფილებდნენ, კურად მიგვიყვანდა ხელოვნების ისტორიის საკაცობრიო ღირებულების მქონე მთელი ეპოქების უგულებელყოფამდე. ყოველ შემთხვევაში ეს იქნებოდა აჩემებულ კრიტერიუმებზე დამყარებული მსჯელობა, რომელსაც წინ ცნება „დამთავრების“ ზუსტი თეორიული განსაზღვრება არ უძღვისა<sup>1</sup>.

რა საფუძველზე შეიძლება მაგალითად მთელი ასურეთ-ბაბილონისა და ორმოცი საუკუნის ხანგრძლივობის განსაცვიფრებელი ეგვიპტური ხელოვნების ნაწარმოებთა „დაუმთავრებლობის“ პრინციპით ახსნა?!

არისტოტელეს „მიმეზისის“ მიბაძვად მიჩნევა ნაწარმოების „დამთავრებულობის“, როგორც ცნების შიშველ ქვანტიტეტურ გავებას გვთავაზობს. ამიტომ ვინც ფიქრობს თითქოს მშვენიერების პირობაში სანამ დავილის მიბაძვაა და არა მსოფლშეგრძებითა და სოციალ-ესთეტიკური განწყობით წარმოსახვა, იგი ხელოვნებას აცლის არსებით ნიშანს—მხატვრულ თვისონბრიობას და ქვანტიტეტურ საზომებს მიმართავს, მაშინ როდესაც ხელოვნების ქმნილებათა დამთავრებულობის ვანსაზღვრაც ქვალიტეტური უნდა იყოს.

### „დამთავრებულის“ განსაზღვრებისათვის

დამთავრებულობის კრიტერიუმთა დადგენამდე ჯერ წინასწარ მკაფიოდ უნდა გაირკვეს თვითონ ხელოვნების არსება და საზღვრები. ანუ ხელოვნების საგანი ცოცხალი სინამდვილის განმეორებაა თუ მისი მოდერნისტული უარყოფა? ან ეგებ არც ერთია და არც მეორე?

როგორც უკვე ითქვა, „მიმეზისი“-ს სინამდვილისადმი მიბაძვად

1 თვითონ არისტოტელეს ხელოვნება რომ არ ესმოდა სინამდვილის იდენტურობად, ეს კარგად ჩანს იმ ცხარე პოლემიკაშიც, რაც მან მევარელთა უგერგილო პოზიტივიზმის წინააღმდეგ ჩაატარა (იხ. ვალქელმ გირნიუსი, ორი ათასი წელი არისტოტელეს პოეტიკის გაყალბებისა, მნათობი, 1970, № 2, გვ. 118) გაგრძელდნ მისი „მიმეზისი“, როგორც სინამდვილის არა ასახვის, არამედ მიბაძვის ვაგება, როგორც ნატურალისტური და ემპირისტული კონცეპციების საფუძველი დღემდე დარჩა ძალაში და დასრულებულობის პრობლემატიკაც ვერ ადა მის ვაკლენას.

გაგებამ ხელოვნების ბუნებისა და მისი საგნის გარკვევაში ბევრი გაუგებრობა გამოიწვია, რაც მწვავედ გამოჩნდა „Non-finito“-ს თეორიასთან დაკავშირებით. ამ თეორიამ მოდერნიზმის სიახლედ და მის უმაღლეს პრინციპად საგნობრივი სინამდვილის იმ „მიბაძვისა-გან განთავისუფლება“ გამოაცხადა, რაც ვითომც ყოველი დროის-თვის, განსაკუთრებით კი ანტიკური ხელოვნებისათვის იყო დამახა-სიათებელი. სადავო გახდა მხოლოდ მიბაძვის უარყოფის („დაუმ-თავრებლობის“) ისტორიული ფესვების დადგენა.

საკითხის ასე დაყენებამ „Non-finito“-ს თეორიის ლოგიკა თა-ვიდანვე მიბაძვის თვალსაზრისს დაუქვემდებარა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ რაკი მოდერნიზმში საგნობრივი სინამდვილე გადაგვა-რებულია ან გამჭრალია, „მაშასადამე“ მისი დამახასიათებელი ნი-შანი „დაუმთავრებლობა“ „ყოფილა.“

უმართებულო წინამდლვარი, რაშიც მოდერნიზმს დიდი ტრა-დიციაც უწყობდა ხელს, ცხადია შემდგომი მსჯელობებით სწორ ლოგიკურ დასკვნებამდე ვერ მივიდოდა. მანვე არასწორი პოზიცია დაჭრინა „Non-finito“-ს მოწინააღმდეგებებაც, რის გამოც ეს პრობლემა დღემდე სწორ ნიადაგზე არაა განხილული.

ჭეშმარიტ ხელოვნებაში სინამდვილის საგნები არსად და არა-სოდეს პირდაპირი მიბაძვის ობიექტი არა ყოფილა. ხელოვნების განვითარების პრიმიტიული საფეხურებიც კი მხატვრული წარმო-სახვის კანონზომიერებებს ექვემდებარებოდნენ. საკმარისია გავიხ-სენოთ ე. წ. „პალეოლიტური ვენერები“ (ზედა პალეოლითის ხანა), რომებშიც ქალის გარეგნობა უკიდურესობამდეა ტრანსფორმირე-ბულია. ასე რომ, პასიური ასპექტი, რასაც თითქოს ცნება „მიბაძვა“ გულისხმობს, კაცობრიობის განვითარების თვით პირველ საფეხურ-ზეც კი გამორიცხული იყო.

მიბაძვის ყალბი გაგება, რა თქმა უნდა, რეალიზმს სინამდვილი-სადმი აქტიურ დამოკიდებულებაში არსებითად ხელს ვერ უშლიდა. ნატურალისტური ტენდენციები კი მიბაძვის პრინციპს ეფარე-ბოდნენ.

აღსანიშნავია რომ ნატურალისტურ კონჭეფციებს მხარში ამო-უდგა ფილოსოფიურ ემპირიზმი მატერიის მხატვრული არსების უგულებელყოფით. მაგრამ ჩვენთვის, ამჟამად, უფრო საინტერესო ისაა, თუ ფილოსოფიური ემპირიზმი როგორ გამოადგა „Non-finito“-ს თეორიის იმ თეზას, რომელიც მოდერნიზმს მატერიის დაშლისა და „თანდათანი გაქრობის“ განსხეულებად მიიჩნევს.

ცნობილია, რომ ვერ კიდევ აბსტრაქციონიზმის მამამთავარი, კანდინსკი, ამ მიმართულების პრინციპულ სიახლედ საგნობრივი სი-

ნამდვილის აბსოლუტურ მოხსნას თვლიდა, თუმცა ისიც ციფრული რომ მოდერნიზმში საგნობრიობის პრეტენზით მოქმედებს დაიაზმი, ნეოდაღაზმი და განსაკუთრებით პოპ-არტი, რომელიც საგნობრიობის ცინიკურ ფორმას წარმოადგენს. ამდენად, თანამედროვე დასავლური ხელოვნება ორ უკიდურესობას გამოხატავს. ერთია საგნის შესაძლებელი უგულებელყოფა, მეორე ნატურალიზმის უხეში ზედაპირულობა.

ერთი შეხედვით, ეს ერთი მეორის გამომრიცხავი ტენდენციაა. სინამდვილეში კი ისინი ერთი და იმავე მსოფლმხედველობის განშტოებაა, რომლის დადეაზრი მატერიის მხატვრული არსების გაუფასურებაა.

როგორც ცნობილია, მატერიალიზმთან ბრძოლაში პოზიტივიზმის ერთ-ერთ არსებით ნიშანს მატერიალური სუბსტანციის უარყოფა წარმოადგენს<sup>1</sup>.

სუბსტანციის უარყოფას კატეგორიული ფორმა მახისა და ავენარიუსის მოძღვრებებში მიეცა, საღაც აგნოსტიციზმი პირველ პოზიტივიზმთან შედარებით ბევრად შორს წავიდა<sup>2</sup>.


„Non-finito“-ს თეორიის აშკარა მემარცხენე ფრთა პოზიტივიზმს სწორედ იმითი ემსახურება, რომ მოდერნიზმის უსაგნობას მატერიალურ სუბსტანციის გაქრობას უკავშირებს. ანა მარია კეკინის გულანდილი განცხადება იმის შესახებ, რომ ვითომც XVI საუკუნიდან XX საუკუნემდე დასავლეთის ხელოვნება თანდათა „სუბსტანციის მთლიან დაშლას მიაღწევს და ამით სრულიად აშკარად გამომჟღავნდება“. „ცხრაასიანობა“<sup>3</sup>, პოზიტივიზმთან უტყუარსულიერ კავშირზე მეტყველებს. ამასვე მიგვანიშნებს დამთავრებულობის კრიტერიუმთა განმსაზღვრელი ტერეზ ვალალასის ემპირისტული მეთოდიც, რომლის მიხედვითაც ხელოვნებაში დამთავრებულობას არასოდეს არ უარსებია, რის საბუთადაც ის მიაჩნია, რომ ხელოვნების ნაწარმოებს არ ძალუძს საქსებით შესცვალოს ობიექტურად არსებული საგანი<sup>4</sup>.

<sup>1</sup> ქ. ბაქრაძე, ახალი ფილოსოფიის ისტორია, თბილისი, 1969, გვ. 253-4, 259, 269 და სხვ., ს. ავალიანი, თანამედროვე პოზიტივიზმი, თბილისი, 1964, 23, 5-6.

<sup>2</sup> ს. ავალიანი, იქვე, გვ. 30-32.

<sup>3</sup> Anna Maria Checchini, Nou-finito e compiutezza nell'opera d'arte, Actes du cinquième congrès international d'esthétique Amsterdam 1964, p. 225-226.

<sup>4</sup> Therèse D. Valalas, Quelques reflexion sur le Non-finito, Actes du cinquième congrès... Amsterdam, p. 260-262.



სურ. II. მიქელანჯელო, „შოხა ილვიანის”

ამდენად, თუ ანა მარია კუკინი პირდაპირ ფილოსოფიურ განვითარებაში ზოგადოებას იძლევა ხელოვნებაში მატერიალური სუბსტანციის პოზიტივისტური გაქრობის შესახებ, ტერეზ ვალალასი დასრულებულობის შეუძლებლობას პოზიტივიზმისავე მეთოდებით ემპირიულ საგნებთან შეჯერებით „ადგენს“.

შაგრამ ობიექტური საგნის პირდაპირ ხელოვნების საგნად მიჩნევის ტრადიცია, რასაც არა მარტო იდეალისტურად მოაწროვნეთა შორის, მატერიალისტებშიც ჰყავდა მიმღევრები, თანამედროვე პოზიტივიზმის გარდა, ჰეგელის ფილოსოფიაშიც პოულობს სათავეს. ჰეგელი, როგორც ცნობილია, ხელოვნების საგნს პრინციპულად აიგივებდა მეცნიერების საგანთან. „ჰეგელი სინამდვილეს იღებს ისე, როგორც იგი ფილოსოფიას (კერძოდ, მის ფილოსოფიას) ეძლევა, ე. ი. სინამდვილე იმთავითვე მეცნიერული, თეორიული შემეცნების ასპექტში აქვს აღებული და მერე ცდილობს მასში ხელოვნების საგნის მოძებნას. ბუნებრივია, რომ რაკი ასეთი, აბსოლუტურ-ლოგიცისტური სინამდვილის და მისი შემეცნების გარდა, ჰეგელის აზრით, არაფერი არ არსებობს, ხელოვნებაც ამ საგნის შემეცნებას უნდა წარმოადგენდეს. ხოლო რადგან უკვე არსებობს სინამდვილის შემეცნების სხვა, აღეჭვატური ფორმა, ხელოვნება ნაკლებ აღეჭვატურად უნდა ჩაითვალოს, სინამდვილის შემეცნების დაბალ ფორმად..., რომელიც ფაქტიურად სინამდვილის არსებას, იდეას კი არ იმეცნებს, არამედ მის „გამოკრთომას“ გრძნობათ მოვლენებში, და გამოდის, რომ ხელოვნების საგანია... მეცნიერების, ფილოსოფიის საგანის დაბალი, განუვითარებელი საფეხური...

ხელოვნებისა და მეცნიერების ან მათი საგნების ასეთი „საფეხურებრივი“, არსებითად რაოდენობრივი განსხვავება მაჩქსიზმ-ლენინიზმისათვის მიუღებელია. არა მარტო იმ ვარიანტში, როცა ხელოვნებაა მეცნიერებაზე დაბლა დაყენებული, არამედ მაშინაც როცა საქმე შებრუნებითაა წარმოადგენილი<sup>1</sup>.

როგორც ცნობილია, ჰეგელის შეხედულებებმა მეცნიერებისა და ხელოვნების საერთო საგნის შესახებ დიდი ზეგავლენა მოახდინა ესთეტიკურ აზროვნებაზე.

უკანასკნელ წლებში, ა. ბუროვის პოლემიკური წიგნის შემდეგ, საბჭოთა ესთეტიკურ ლიტერატურაში ხელოვნების საგნის გასარევევად ყინული გალღვა და საქმე ბევრად წინ წავიდა. ხელოვნების სპეციფიკურ საგნად თვითონ ბუროვი ადამიანს თვლის, ვ. განსლოვანი და ლ. სტოლოვიჩი „სინამდვილის ესთეტიკურ თვისებებს“, გ.

<sup>1</sup> ნ. ჭავჭავაძე, ესთეტიკის საკითხები, თბილისი, 1958, გვ. 112.



სურ. III. მიქელანჯელო, დღის განსაზიერება  
(მედიჩების ჭაპელი)



აბრამოვიჩი „სამყაროს ადამიანისადმი დამოკიდებულებულის შემოქმედი კაგანი გააღამიანებულ სინამდვილეს, ხოლო ნ. ჭავჭავაძე შემოქმედი სუბიექტის სინამდვილისადმი ესთეტიკურ-ემოციურ დამოკიდებულებას.

თითოეული მათგანის ცალ-ცალკე განხილვა წინამდებარე ნაშრომის ამოცანას არ შეადგენს. იმის ხაზგასმაც საკმარისია, რომ ეს-თეტიკამ მეცნიერების საგანს ხელოვნების საგანი გამოჰყო და თავისი სპეციფიკური ადგილი მიუჩინა. ერთხელ კიდევ სავსებით ნათელი გახდა, რომ ხელოვნება არ არის სინამდვილის განმეორება, რომ საგნობრივი სინამდვილისადმი მისი დამოკიდებულება ოვასობრივად განსხვავებულია, რომ ხელოვნებაში სინამდვილე ობიექტის ფორმით კი არ არის მოცემული, არამედ იგი აღამიანში „შემოდის“, „იჭრება“, მასში, როგორც სინამდვილის ნაწილში... რომ „ხელოვნება სინამდვილეს ასახვს, მაგრამ არა იმ სინამდვილეს, რომელიც ობიექტის ფორმით ეძლევა აღამიანს, როგორც მეცნიერული შემეცნების საგანი, არამედ იმ სინამდვილეს, რომელიც ცოცხალ ურთიერთობაშია აღამიანთან, როგორც მის ცოცხალსავე ნაწილთან... ამიტომაა, რომ ხელოვნება არა მარტო ობიექტური სინამდვილის გარეშე გამოიყოფა, არა მარტო ცოცხალის განვითარების და მათ ობიექტებად ვაქცევთ, მაშინ ჩვენ ვშიგნავთ ნაწარმოებს, როგორც ორგანულ მთლიანს და მეცნიერული შემეცნების ნიადაგზე ვდგებით, რაც ხელოვნების შეფასების ყალბ პოზიციას წარმოადგენს. ჩვენ მათ განვიხილავთ არა ნაწარმოების ორგანულ, არამედ მის გარე — ბუნების ნაწილად.

ხელოვნების ნაწარმოებში არ არსებობს საგანი ნატურალურად, ბოტანიკური, ანატომიური ან საერთოდ ფიზიკური გაგებით, უვეველ მათგანს ასულდგმულებს მხატვრული დამოკიდებულების კანონზომიერება. კოროს სურათში გამოხატული მუხა ესთეტიკურ-ემოციური დამოკიდებულების შედეგია და მისი აღქმაც მხოლოდ ამგვარად არის გამართლებული.

ხელოვნების ნაწარმოების დამთავრებულობაც სუბიექტურისა

<sup>1</sup> ნ. ჭავჭავაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 116, 117.



და ობიექტურის სპეციფიკურ ემოციურ-ესთეტიკურ მთლიანობაში განვითარება  
უნდა დადგინდეს.

ამრიგად, ობიექტურად არსებული სინამდვილე თავისთავად ხელოვნების ფენომენი არ არის. იგი ასეთად იქცევა ემოციურ-ესთეტიკური დამოკიდებულების შედეგად. ამიტომ ხელოვნებაში ემპირიულ საგანთან ქვანტიტეტური შეჯერება ესთეტიკური დასკვნის საშუალებას არ იძლევა.

ობიექტური სინამდვილისადმი მხატვრის, როგორც სოციალური სუბიექტის ჭეშმარიტი დამყიდებულება შეიძლება მხოლოდ ქტიური იყოს, რამდენადაც „მხატვრული შემოქმედების პროცესი საგანგებო მიზანდსახულებას ემყარება და არა ბუნებისათვის, საერთოდ სინამდვილისათვის ნიშანდობლივ გულცივ ნეიტრალობას, განურჩევლობას“<sup>1</sup>.

ხელოვნების კანონზომიერებას მართავს არა ბუნებაში მოცემული საგანი თავისთავად, არამედ ხელოვანის სულიერი სამყარო, მისი მისწრაფებები, მისი საზოგადოებრივი ინტერესები და ტენდენციები. მ. კაგანის სიტყვებით რომ ვთქვათ:

«Поскольку целью искусства является познание духовной жизни людей, а познание материального мира есть лишь средство, необходимое для достижения этой цели, постольку воссоздание мыслей и чувств людей, их настроений и переживаний должно иметь в искусстве безусловный характер, т. е. должно быть адекватным: что же касается художественного отражения материального облика явлений и закономерностей их физического и биологического бытия, то оно условно, неадекватно в той мере, в какой это помогает ярче и сильнее воплотить жизнь человеческого духа»<sup>1</sup>.

მართლაც საკმარისია ხელოვნების ამოსავალ პირობად საგანი აქციო, ისე როგორც იგი ემპირიულად არსებობს, რომ ხელოვნება სულიერი ცხოვრების მაღალი ამოცანებიდან საგანთა იღმრიცველის დონემდე ჩამოიყვანო და ნატურალიზმს, ან მხოხავ ემპირიზმს აზიარო. სინამდვილის ტრანსფორმაცია (და არა მოდერნისტული დეფორმაცია), რაც ესოდენ დამახასიათებელი იყო, ყოველი დიდი შემოქმედებისათვის, ხელოვნების აუცილებლობაა. საერთოდ მხატ-

<sup>2</sup> მ. დუდუჩივა, მხატვრული ობიექტურობის შესახებ, „საბჭოთა ხელოვნება“, 1969, № 11, გვ. 8.

<sup>1</sup> М. С. Каган, Лекции по марксистско-ленинской эстетике, II. стр. 116.

ვრული შემოქმედების პროცესი არ არსებობს მხატვრული თხზვა  
გარეშე. „ხელოვანი ქმნის, მაშასადამე, თხზავს, ხოლო მკურნალის თხზვის უპირველეს ამოცანას სინამდვილის ობიექტური სახემოსა-  
ლების უარყოფა, ახლით შეცვლა წარმოადგენს“<sup>1</sup>.

ხელოვნების ბუნების მთელი იმ სირთულის გათვალისწინების  
შემდეგ, რასაც ზემოთ შევეხეთ, ნაწარმოების დამთავრებულობის  
განსაზღვრება ემპირიასთან, ან ანტიკურ ეტალონებთან შედარებით,  
კრიტიკას ვერ უძლებს. ორივე შემთხვევაში ხელოვნების დიალექ-  
ტიკური განვითარებისა და ცვალებადობის უგულვებელყოფა,  
უგულვებელყოფა იმისა, რომ როგორც ხელოვნება, ისევე მისი  
დამთავრებულობის კრიტერიუმებიც ერთხელ და სამუდამოდ გაყა-  
ნულ სიღიღებს არ წარმოადგენს. იცვლება საზოგადოებრივი  
ცხოვრება, იცვლება მისაღმი ხელოვანთა დამოკიდებულება და დამ-  
თავრებულობის კრიტერიუმიც ცვალებადობისა და განვითარების  
კანონზომიერებას ექვემდებარება. მართალია, ძალაში რჩება ტრა-  
დიციები, მაგრამ თვით ამ საძირკველთა მიმართაც კი ყოველი ეპო-  
ქა თვის დამოკიდებულებას იჩნის, — ზოგს იყენებს, ზოგს გარ-  
კვეული დროით ივიწყებს, შემდეგ ისევ იხსენებს, განაახლებს, და  
მუდამ ახლებურ ნაყოფს იძლევა.

### ცნებებში გარკვევისათვის

დასრულებულობის საზღვართა გაშუქება ესთეტიკის საერთა-  
შორისო კონგრესებზე არაერთხელ სცადეს არა მხოლოდ ესთეტი-  
კური და ხელოვნებათმცოდნეობითი — იურისპრუდენციის თვალ-  
თახელვითაც კი: რევო დალონმა, მაგალითად, დასრულებულობის  
კრიტერიუმის კანონმდებლობასთან შეფარდება მიიჩნია საჭიროდ.  
იგი წერდა, რომ ქონების გაყოფის, ან მემკვიდრეობის გადაცემის  
შემთხვევაში, ყადაღის დადება მხოლოდ დასრულებულ სურათზეა  
შესაძლებელი<sup>2</sup>. მაგრამ დასრულებულობის პრობლემის სწორი გა-  
დაჭრა. სწორი დაყენების უნარიც კი, როგორც ჩანს, დღევანდულ  
ბურუუაზიულ ესთეტიკას არ შესწევს. ეს გაპირობებულია არა მარ-  
ტო იმ უმართებულო მიზანდასახულებით, რასაც მოდერნიზმის

<sup>1</sup> ვ. ლუ დ უ ჩ ა ვ ა, მხატვრული ობიექტურობის შესახებ, „საბჭოთა ხელოვ-  
ნება“ 1969 № 11, გვ. 8.

<sup>2</sup> ესარგებლობა რენე პასერონის ნაშრომით: René Passeron. Sur  
l'achèvement de l'œuvre en peinture. Actes du cinquième congrès interna-  
tional d'esthétique Amsterdam 1964, p. 253.

პრინციპებისათვის ისახავენ, არამედ ამ პრობლემასთან დაკავშირებული განვითარებული გაებითაც. ბურჟუაზიული ესთეტიკა არსებითად მხოლოდ „Non-finito“-ს აქემებული ცნებით მოწურავს დასრულებულობის პრობლემატიკის მთელ შინაარსს.

მართალია რენე ბასერონისა და ფრანცის კოვაჩის შრომებში შეინიშნება დასრულებულობის პრობლემის კლასიფიცირებული შესწავლის ცდა, მაგრამ უმართებულო თეორიული წინამდღვრების გამო, ამან სასურველი შედეგი ვერ გამოილო. საერთოდ სრულიად კაუმართლებელია პრობლემისადმი ხელოვნების ისტორიკოსთა და ესთეტიკოსთა მიღვმაში სათანადო ცნებების განუსაზღვრელობა. ან მათი შეუფერებელი გამოყენებაც, როგორც მაგალითად, დაზიანებული (damaged), ქმნილებების დაუმთავრებელ ნაწარმოებთა artistic incompleteness) კატეგორიაში მოქცევა. ფრანცის კოვაჩის კლასიფიკაციის მიხედვით, ნათელი უნდა იყოს, თუ როგორი უზუსტობა სუფევს ამ მხრივაც.

ცნებათა დიფერენცირებისათვის ჩვენ ისეთ სინონიმებს მივმართავთ, როგორიცაა „დამთავრებული“ ან „სრული“, „დამთავრება“ ან „დასრულება“. „დამთავრებულით“ წარმოებული ფორმები ხელოვნების ისტორიის მიმართაა გამოყენებული, — „სრულით“ წარმოებულები, კი ხელოვნების თეორიის თვალსაზრისისათვის.

დაზიანებული ნაწარმოებისათვის, კოვაჩისაგან განსხვავებით, ჩვენ მართებულად მიგვაჩნია „დანაკლულებულის“ ცნების გამოყენება.

„დანაკლულებულის“ პარალელურ სახეობად კი ისეთი ნაწარმოები შეიძლება ჩაითვალოს, რომლის ნაკლოვანება ავტორისა-გან დამოუკიდებელი მიზეზებითაა გამოწვეული, როცა სიკვდილი, თუ სხვა რაიმე გარემოება ავტორს დამთავრების საშუალებას არ შეისცემს. ასეთი იყო, მაგალითად მოცარტის რექვიემი, რომელიც ზუსმაიერმა დაასრულა, პუსნის ტურანდო დამთავრებული ფრანკი ალფონსის მიერ, შილერის „ცრუ დემეტრე“, რომლის მხოლოდ ორი თავის შექმნა მოასწრო ავტორმა. ჯორჯონეს „ვენერა“, რაც ტიციანმა დამთავრა და სხვ. მისთ.

<sup>1</sup> ფრანცის კოვაჩი ამ ხაზით შემორჩენილ ნაწარმოებებს „გარეგნულ დაუსრულებლობის“ სახეობად მიიჩნევს. ცნება დაუსრულებლობა რომ აქ არაფერშეუძია. იმდენად ნათელია, რომ ცნება „გარეგნულის“ მოშევლიებაც საკითხის გაგებას ვერაფერს მატებს. იხ. Francis J. Kovach, Artistic incompleteness in the philosophy of art, Actes du IV congrès international d'esthétique Athènes 1960, p. 320.

ამ სახის ნაწარმოებებს ყველაზე ზუსტად ცნება „დაუმთავრული შეღლი“ გამოხატავს.

თავისთავად ცხადია, დაუმთავრებელი ნაწარმოები მხატვრულად შეიძლება მეტად იყოს მნიშვნელოვანი და ნაკლებად მნიშვნელოვანიც. ნაკლებად მნიშვნელოვანის დაუმასავრებლობა უმეტეს შემთხვევაში გამოწვეულია სუბიექტური მიზეზებით, როდესაც ავტორს არ გამოუდის ნაწარმოები, დამთავრების სურვილი ეკარგება და სხვა უფრო მიმზიდველ თემას ჰქილებს ხელს. ზოგ ხელოვანს ნებისყოფა და წინასწარჭვრეტა უკარნახებს, რომ თავისი უმნიშვნელო ნაწარმოები სიცოცხლეშივე მოსპოს, რომ იგი მომავალ თაობებს თავისი სრულქმნილი ნაწარმოებების გვერდით არ დაუკვრას.

შედარებით მეტ სირთულეს შეიცავს ცნება „დამთავრების“ „დასრულებისაგან“ განსხვავება. „დამთავრება“ ხელოვანის მიერ ბოლო „წერტილის დასმას“ გულისხმობს.

„დამთავრება“ ცხადია ნიშნავს განზრახულის ბოლომდე მიუვანას. მაგრამ ეს პროცესი ყოველთვის ერთნაირი არ არის. რენა პასერონი, მაგალითად, გამოჰყოფს დამთავრების ტექნიკურ კატეგორიას. ასეთად მას მიაჩნია ისეთი ესკიზის გადიდება, რომელშიც ხელოვანს ყოველი გულისნაღები აქვს გამოთქმული და მის თანაშემწეებს ისლა დარჩენიათ, რომ ესკიზი თითქმის მექანიკურად („quasi mecaniquement“) გაადიდონ!

მაგრამ ეს პროცესი ისე მარტივი არ არის, როგორც რენა პასერონი ფიქრობს. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ ესკიზი როგორი განცდითაა შექმნილი, რაოდენ მხატვრულია იგი. ანგარიშგასაწევია ისიც, თუ როგორია თანაშემწეების ემოციური სამყარო, რომელთაც დავალებული აქვთ მექანიკური გაღიდება, და თან მათზე რაოდენ ემოციურად იმოქმედებს ის კონკრეტული ესკიზი.

მექანიკური გაღიდება, როგორი სასტიკი თავშეკავებაც არ უნდა ერიოს თვითკონტროლის სახით, საერთოდ გამორიცხულია იქ, სადაც საქმე ხელოვნების ჭეშმარიტ ქმნილებას ეხება. ჭეშმარიტად ამაღლელვებელ ნაწარმოებს მექანიკურად მხოლოდ ის გაადიდებს, ვინც მას მკვდარ ფორმულად აქცევს. ასეთი შედეგი კი არც ერთ ნამდვილ ხელოვანს, მით უფრო ნაწარმოების ავტორს, ვერ დააკმაყოფილებს. მართალია ავტორი თანაშემწეთა მიერ გადიდებულ ესკიზს საბოლოო რედაქციას უკეთებს, როგორც რუბენსი იქცეოდა სურათის ჩაბარებამდე, მაგრამ რუბენსიც და ყველა ხელოვანი,



სურ. IV. მიქელანჯელო, საღამოს განსახიერება  
(მედიჩების კაპელა)

მუდაშ მოთმინებით, ზოგჯერ ფარული აღტაცებითაც კი ხელუბნების  
იმ ინტერპრეტაციულ ნიუანსებს, რასაც თანაშემწევებში მისი შე-  
მოქმედება იწვევდა.

ეს რთული ფსიქოლოგიური პროცესი ამ სტრიქონების ავტო-  
რისათვის კარგადაა ცნობილი, რამდენათაც თვითონ მას ჰქონდა  
(1939—1940 წ.) შემთხვევა, ავტორთან ერთად მიეღო მონაწი-  
ლეობა სახალხო მხატვრის აკადემიკოს უჩა ჭაფარიძის დიდი სურა-  
თის „1901 წ. საპირველმაისო დემოსტრაციის“ ესკიზის გადიდება-  
ში. (ექსპონირებულია თბილისის მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუ-  
ტის სხდომათა დარბაზში).

ამდენად, თანაშემწევა საშუალებით ესკიზის გადიდება, რო-  
გორც „დამთავრება“, სრულიად არ წარმოადგენს მექანიკურ ან  
„ნახევრად მექანიკურ“ პროცესს. იგი არანაკლებ რთული ფსიქო-  
ლოგიური და შემოქმედებითი პროცესია, ვიდრე თანაშემწევების  
ჩაურევლად დამთავრება. მხედველობაში გვაქვს შემოქმედებითი  
ფსიქოლოგიისათვის არც თუ უმნიშვნელო გარემოება: თავისთვად  
ცხადია, ავტორს არ გამოეპარება ესკიზიდან თვით უმცირესი ნიუ-  
ანსური გადახვევაცი კი. ეს მან იმ შემთხვევაში შეიძლება შეინარ-  
ჩუნოს, თუ ესთეტიკურად გამართლებულ სიახლეს იგრძნობს, ან  
თუ შეიცნობს თავისივე ესთეტიკური „ლოგიკის“ განვითარებას.  
ეს მისთვის არა მარტო მოთმინების, ზოგჯერ შეიძლება სიამოვნე-  
ბის აღმდვრელიც იყოს, იმ მხრივ რომ თავისი ჩანაფიქრისა და სტი-  
ლის მიზიდველობით პირველსავე მაყურებელში აამოქმედა ფან-  
ტაზია. მაგრამ ყოველ ასეთ ნიუანსს „მოვლა“ სჭირდება. საბოლოო  
რედაქციის დროს, ავტორი მას ვვერდს ვერ აუვლის. ის ესთეტიკუ-  
რი სიამოვნება, რაც თანაშემწის ინტერპრეტაციულმა ნიუანსმა  
მოჰვევარია, და რაშიც თვით თანაშემწის სულის ნაწილიცაა ჩართუ-  
ლი, შესაძლებელია მისთვის იმპულსად იქცეს და უნებლივდ მაინც  
წარმართოს მისი ფანტაზია ახალი მიმართულებით. აქ ხდება ორი  
სულიერი ღირებულების წამიერი გაპარექრება და თანაშემწის რეპ-  
ლიკა ავტორმა თუ რუდიმენტად არ მიიჩნია, მაშინ შესაძლოა გან-  
ვითარების საგანიც გახდეს. ამის გამართლებას ავტორი იმაში პოუ-  
ლობს, რომ ბოლოს და ბოლოს, თანაშემწისეულ ნიუანსში წამყვა-  
ნი და პირველსაწყისი მაინც თვითონ ავტორისეული ჩანაფიქრია.

არსებობს დამთავრების სხვა სახეებიც, რომლებსაც ჩაე-  
რონი ეხება, მაგალითად ყურადღებას იქცევს შემოქმედებითი აღ-  
ტყინების (crise) მინელებით გამოშვეული დამთავრება, როგორც  
ისეთი მდგომარეობა, როცა აღტკინება ჩამქრალია და შემოქმედ-  
ბის განახლება ნაწარმოების წახდენის რისკთანაა დაკავშირებული.

რ. პასერონი ფიქრობს, რომ ასეთი რისკი მხოლოდ შემოქმედებითა აფეთქებით მომუშავე მხატვრებთანაა დაკავშირებული და ასეთ მხატვრებად შენეიდერსა და მატიეს ასახელებს!

ჩვენის ფიქრით, ასეთი რისკის საშიშროება ყოველი შემოქმედის ხვედრია, ვინც კი შთაგონებით ჰქმნის და არა ცივი გონების კარნაზით. ასეთი რისკი, მაგალითად, ნაკლებად მოსალოდხელი იყო ზევლი აკადემიების კლასიცისტთა მოღვაწეობაში. რომანტიკოსებთან კი მიჯნის გამოზომვას გადამშევეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონდა.

ამდენად, დასრულების საზღვრები შთაგონების საზღვრებს ემთხვევა და მათი გამოზომვა და შემოქმედის თავშეკავების უნარი, რასაც ხშირად ზომიერების გრძნობასაც უწოდებენ, თავისთავად დიდი ღირსებაა. საქმარისია მხატვარი ამ საზღვარს გადაცდეს, რომ მან შემოქმედებითი ოღზნების შესუსტება „თვალის შეჩევას“ და აბრალოს, მაგრამ ეს ზუსტი განსაზღვრება არ იქნება. რასაც პასერონი თვალის შეჩევით „ხსნის“, ეს არსებითად შთაგონების ამოწურვაა, რაც მისდაუნებლიერ ვერ შეუმჩნევია შემოქმედს.

რ. პასერონი ცალკე კატეგორიად გამოყოფს მხატვრებს, რომლებითვისაც ნაწარმოების დამთავრების განსაზღვრებაში თაყვანის მცემლების, ან საერთოდ სხვების აზრს დიდი და ზოგჯერ გადამშევეტი მნიშვნელობაც აქვს<sup>2</sup>. უფრო მართებული იქნებოდა თუ პასერონი მათ საერთოდ არ მოიხსენებდა ჭეშმარიტ შემოქმედთა გვერდით, რამდენადაც ნაწარმოების დამთავრება დაგვირგვინებაა იმ საწყისისა, რომელიც თვითონ შემოქმედს დაებადება. მხატვარი საკუთარი ქმნილების დამთავრებულობას სრულიად დამოუკიდებლად თუ ვერ განსაზღვრავს, მაშინ მისი საწყისის ძებნასაც აზრი არა აქვს. ნაწარმოების დამთავრების ცნების გასარკვევად კლიენტურის მხატვრებისათვის დამახასიათებელი პრაქტიკა კი არ უნდა მივიღოთ მხედველობაში, არამედ ისეთებისა, რომლებიც კლიენტურის მონობას არ ეწირებიან.

ცნება „დამთავრება“ ჩვენ გვესმის, როგორც ნაწარმოების ხორცშესხმისათვის საჭირო პროცესის ბოლომდე მიყვანა. ამდენად მისთვის მთავარი ნიშანი დროში განსაზღვრებულობაა.

„დამთავრებისაგან“ განსხვავებით ცნება „დასრულებაში“, შემოქმედებით ტექნიკური პროცესისათვის საჭირო ღრო კი არ იგულისხმება, არამედ მხატვრული ღირებულება, როგორც შედეგი. ამ-

<sup>1</sup> Bené Passeron, დასახელ. ნაშრომი გვ. 254.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 254



დენად მას არა მარტო ფაქტიდ ქცევის, არამედ ქვალიტეტული წერილი განვითარება და მისთვის სწორედ ეს არის არსებითი.

ასე, მაგალითად, თუ ვიტყვით, რომ ვიგო გაბაშვილის „ბაღჩა“ დასრულების თვალსაზრისით ეჭვს იწვევს, ვგულისხმობთ, რომ აკტორს ჩანაფიქრი რაიმე მიზეზის გამო ვერ დაუგვირგვინებია. — ეს ჩვენ შესრულების ტექნიკური პროცესის გაუვლელობად კი არ გვესმის, არამედ მის მხატვრულ ღირებულებაში შეგვაჭვს ეჭვი!

ნათელი რომ იყოს ის პირობითი შინაარსი, რაც ჩვენ ცნება „დასრულებას“ დავაკისრეთ, გავიხსენოთ იგივე გიგო გაბაშვილის „მოლა“. მოლას სამოსის აღმნიშვნელი ტონები მთლიანად ვერ ფარავენ ნატიურმორტს, რომელიც იმავე ტილოზე აღრე ყოფილა დახატული, მიუხედავად ამისა, შეუძლებელია ვინმებ ეჭვი შეიტანოს ამ ნაწარმოების დასრულებაში. ეს იმით ახსნება, რომ შესრულების ტექნიკური პროცესი, რასაც ავტორმა ღროსს რაღაც მონაკვეთი დაკლო და დაუფარავი დატოვა აღრე დახატული „ნატიურმორტის“ „ყურძნის მტევანი“, ოდნავადაც არ მოქმედებს ნაწარმოების მხატვრულ ღირებულებაზე.

მაშასადამე, მისი დასრულების განსაზღვრების ძირითად ნიშნად ვგულისხმობთ არა ტექნიკურ პროცესს და მისი დამთავრებისათვის საჭირო დროს, არამედ იმ ღირებულებას, რაც ყოველივე ამის მიუხედავად „მოლას“ ახასიათებს.

დასრულებულობის პრობლემატიკაში უაღრესად მნიშვნელოვან განსაზღვრებას „შინაგანი სისრულის“ ცნება წარმოადგენს.

„Non-finito“-ს მთელი თეორიული არსენალი იქითქენაა მიმართული, რომ ხელოვნება ისეთ უკიდურესად სუბიექტურ და ქაოსურ ბუნების მოვლენად წარმოგვიდგინოს, რომელსაც არავითარი კანონზომიერება არ ახასიათებს. ამის საპასუხოდ წინამდებარე ნაშრომი ხელოვნების შინაგანი სისრულის კანონზომიერების საკითხს აღძრავს, რასაც აქ თეზისის სახით ვაყენებთ.

ზემოთ ჩვენ შევეცადეთ განვემარტა „დანაკლულებულის“ ცნება. ოღონდ თითქმის არ შევებივართ ქვალიტეტური თვალსაზრისით. მკითხველს „დანაკლულებულის“ ისეთ უკიდურეს „ვარიანტს“ გავახსენებთ, როგორიცაა ფრაგმენტი.

გვინდა ხაზი გაუსვათ იმ გარემოებას, რომ ხელოვნების ჭეშმარიტი ქმნილების ფრაგმენტი, მაყურებელში ესთეტიკურ კმაყო-

<sup>1</sup> სხვათა შორის ამ ნაწარმოების დაუსრულებლობას 1891 წ. № 15 „Тифлис-სკის ლისტოკ“-იც აღნიშნავდა. იხ. მ. დუღუჩავა, ვიგო გაბაშვილი, 1950, გვ. 20.



ფილების წარუშლელ გრძნობას იწვევს, რითაც სინქრონულ ეპოქაზე მხატვრული ამოცანებისა და ესთეტიკური იდიალების განვირებაც კი ხერხდება. ამავე დროს ფრაგმენტს, ისევე, როგორც დაუზიანებელ ან ნაწილობრივ დაზიანებულ ქმნილებას, ყოველ ეპოქაში ვარიაციული, მაგრამ „უცვეთი“ მიმზიდველობა ახასიათებს, რასაც ანგარიში უნდა გაეწიოს.

ამრიგად, ჰეშმარიტი ხელოვნება, რაკი ესთეტიკური ზემოქმედებით ისეთ ძალას შეიცავს, რაც ფრაგმენტშიც კი გამოსჭვივის, საფუძველს გვაძლევს მასში შინაგანი სისრულე დავინახოთ. ე. ი. შინაგანი სისრულე შემოგვაჯვს, როგორ დასრულებულობის პროცესმატიკაში გარკვევის ერთ-ერთი აუცილებელი ცნება.

როგორც ფრაგმენტის მაგალითზე ვხედავთ, ჰეშმარიტი ხელოვნების მთავარ ნიშანს შინაგანი სისრულე წარმოადგენს. იგი გვარწმუნებს თუ რაოდენ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება თვისობრიობასა და არა რაოდენობრიობას.

ცნება „დასრულებულობა“ უნდა განვიხილოთ უძრავში მოძრავის ბუნების პრიზმით, რაც ესოდენ დამახასიათებელია სახვითი ხელოვნებისათვის. სახვითი ხელოვნების ნაწარმოები თვითონ უგრძნობია და უმოძრაო, მაგრამ აღმქმელ სუბიექტში მოძრაობის ესთეტიკურ შთაბეჭდილებებსა და ემოციებს იწვევს. ეს ფაქტი თავისთავად გვაგულისხმებინებს, რომ ამის გამოწვევა, ერთის მხრივ თუ ნაწარმოების შინაგანი სისრულითაა შეპირობებული, მეორეს მხრივ სუბიექტის სოციალურ განწყობასა და ესთეტიკური აღქმის უნარზეცაა დამოკიდებული. ამდენად დასრულება ესთეტიკური აქტის აღნიშვნელი ცნებაა.

ასევე ესთეტიკური აქტის აღმნიშვნელ ცნებას წარმოადგენს დაუსრულებლობაც. „Non-finito“-ს თეორიის მოდერნისტული ფრთა ამ ცნებით საგნების დაუმთავრებლად წარმოსახვას, ან უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, უსაგნო ხელოვნების უპირატესობას ქადაგებს, რითაც დასრულებულობის პროცესში ბუნდოვნება შეაქვს. წინამდებარე ნაშრომში კი „დაუსრულებლობა“ არაერთი მნიშვნელობითაა გაეგბული. ჩვენ ყოველთვის მხედველობაში გვაქვს აღმქმელ სუბიექტში გონებისა და გრძნობის გათვალისწინების ლენინური პრინციპი, რაც შემდეგში გამოიხატება: ავტორმა ნაწარმოები იმ მიზნამდე მიიყვანს, რომ გასააზრებელი აღქმელ სუბიექტსაც დაუტოვოს.

მეორე მხრივ დაუსრულებლობის ცნებაში იგულისხმება ყოველი ჰეშმარიტი ხელოვანის უკვე მიღწეულით განუწყვეტელი დაუკმაყოფილებლობა და სულ იმის იმედი, რომ იდეას, რომელიც

მას აწუხებს, მომდევნო ნაწარმოებში უფრო სრულყოფილი განსახიერებს.

„დაუსრულებლობის“ ცნებაში იგულისხმება ხელოვნების განუწყვეტელი ცვალებადი ბუნება საერთოდ. რაოდენ დიღმიშვნელოვანიც არ უნდა იყოს ხელოვნება, იცვლება საზოგადოებრივი ცხოვრება, იდეოლოგია, სოციალური განწყობა გემოვნება და ხელოვნებაც ერთ წერტილზე არასოდეს არ იყინება. ამ მხრივაც იგი დაუსრულებელი ბუნებისაა.

„დაუსრულებლობის“ ცნებაში იგულისხმება აგრეთვე ჭეშმარიტი ხელოვნების მარადიული ბუნება. ეს დამოკიდებულია ნაწარმოებთა შინაგან სისრულეზე და ესთეტიკური დამოკიდებულების იმ უსასრულოდ ნიუანსურ მრავალფეროვნებაზე, რასაც მის მიმართ სხვადასხვა თაობები იჩენენ.

### ფერწერული „დაუმთავრებლობის“ გენეზისისათვის

ბერძნული კლასიკური ქანდაკების მშვენიერებამ, როგორც ცნობილია, საერთოდ წარუშლელი კვალი დაატყო მთელ შემდეგ-დროინდელ ხელოვნების განვითარებას. განსაკუთრებით რეალისტური კონცეფციებისა და საშემსრულებლო კულტურის აღორძინებას XIII—XV საუკუნეებში, მაგრამ მოგვიანებით მისი ზეგავლენა გარკვეული თვალსაზრისით საბედისწეროც გამოდგა, ყოველ შემთხვევაში დამთავრებულობის კრიტერიუმის თვალსაზრისით მაინც. XVI—XX საუკუნეების ხელოვნებაში რეალიზმის ნაკადი არსებითად დიალექტიკური მსოფლშეგრძნებით ვითარდებოდა და ძველი ბერძნულისაგან პრინციპულად განსხვავებული სახე მიიღო, ამასთან ბერძნული ნორმები რაკი ერთგვარ საერთო ეტალონის მნიშვნელობას ინარჩუნებდნენ, ახალ ღირებულებათა ობიექტური განსაზღვრა მეტად გაძნელდა.

კლასიკური ბერძნული ქანდაკების ერთერთ თვისებას ზედაპირის „გაშალაშინებულობა“, ანუ „ჩაკეტილი ფორმა“ წარმოადგენდა, რაც XIII—XV საუკუნეთა იტალიურ ხელოვნებაში იყო ათვისებული.

XVI საუკუნის დასაწყისიდან კი ფერდალიზმთან რენესანსული იდეალების შეჭიდებამ ხელოვნების წინაშე ახალი ამოცანები და-აყენა. რეფერალიზაციისა და კონტრარეფორმაციის შემცუთავი ატმოსფეროს წინააღმდეგ ამხედრებულ სულს მშვიდი და „გაშალაშინებული“ ანტიკური ტრადიცია აღარ გამოაღვა. მშფოთვარე-

ბისა და ბრძოლის შინაგანმა უინმა „გაუშალაშინებელს“, ანუ „ღია ფრანგული ფორმას“ მისცა უპირატესობა.

ეს სიახლე ჩინკვიჩენტის ეპოქის კორიფეებს ეკუთვნით, რომელთაგან განსაკუთრებით მიქელანჯელო გამოირჩევა. როგორც ყოველი სიახლე, ესეც ძველთან ჭიდილში დაინერგა. ამიტომა, რომ მიქელანჯელოს ზოგ ქანდაკებაში ერთდროულად „ხელვის“ ორივე ხერხია გამოყენებული.

„ღია ფორმის“ აღიარება, არსებითად, ხელოვნების ახალ მეტ-ყველებას და კერძოდ დამთავრების კრიტერიუმის გადასინჯვას ნიშნავდა. მაგრამ ვაზარიდან და კონდივიდან დაწყებული დღემდე ანტიკურ ნორმებს შეყვარებული, კონსერვატული და გემოვნებაში თავდაჯერებული თაობები ამ სიახლეებს ხელოვნებაში დაუმთავრებლობად აღიქვამდნენ, რაც ჩვენს დროში საინტერესო დისკუსიის საგნად იქცა.

დისკუსია დასავლეთი ევროპის ბურჟუაზიულ ხელოვნებათ-მცოდნეობასა და ესთეტიკაში. დაიწყო. რამაც ცხადია, დაუმთავრებლობის პრობლემის იდეალისტური „ახსნა“ განაპირობა!

ჩვენესანსის კორიფეების შემოქმედებაში აღმოჩენილ „დაუმთავრებლობის“ მატერიალისტური ახსნით „დახურული“ და „ღია“ ფორმები სხვადასხვა სტილში ხორციელდება, რის გამოც ისინი არა სტილის ცნების, არამედ გვარის კატეგორიას განეკუთვნებიან. ჩვენი გაგებით „დახურული ფორმები“ ხელოვნებაში მეტაფიზიკური მსოფლშეგრძნების გამოვლინებაა, „ღია ფორმები“ კი ღიალექტიკურისა. „ღია“ და „დახურული“ ფორმების პრობლემა ხელოვნებათმცოდნეობაში ობიექტური იდეალიზმის წარმომადგენელმა ველფინმა ოპტიკური მრსტიყით „ახსნა“ და ორი სხვადასხვა ხედვის შემნაცვლებელ მოვლენებად დასახა. მან „დახურული ფორმების“, ხაზობრივი სტილის ეტაპები კლასიკური ხელოვნების თვისებად სცნო, „ღია ფორმის, ანუ ფერწერული აზროვნების ეტაპები კი ბაროკოდ<sup>2</sup>.

ჩვენი ამოცანის ფარგლებს სცილდება ველფლინის მთელი კონცეფციის განხილვა, რადგან დასრულებულობის პრობლემატიკას იგი საგანგებოდ არ შეხებია, მაგრამ ვეხებით იმდენად რამდე-

<sup>1</sup> მატერიალისტური ახსნის პირველ სერიოზულ ცდას წარმოადგენს საბჭოთა მეცნიერის ბ. ვიპერის ნაშრომი: ბ. Р. Випер, Борьба течений в итальянском искусстве XVI века, Москва, 1956.

<sup>2</sup> Г. Вельфлини. Ренессанс и барокко. Мюнхен, 1888; Классическое искусство, СПБ, 1812; Основные понятия истории искусств, Москва—Ленинград, 1930.

ნადაც ფვითონ „Non-finito“-ს თეორია მისი „ძირითადი ფენტურული დან“<sup>1</sup> ორს — „დახურულსა“ და „ლია“ ფორმებს ემყარება.

ველფლინი სავეგბით მართალია, როდესაც შენიშნავს, რომ როგორც „დახურულმა“ ისე „ლია“ ფორმამ, ანუ კონტურულმა და ფერწერულმა აზროვნებამ, კაცობრიობას მრავალი მშვენიერება შესძინა, რომელიც ერთი მეორის დახმარებას, ან ერთის მეორით შეცვლას არ საჭიროებენ<sup>2</sup>.

„დახურული ფორმით“ ხასიათდება, მაგალითად, ძველი აღმოსავლეთისა და ანტიკური საბერძნეთის, ქრისტიანული იღმოსავლეთისა და დასავლეთის ხელოვნება XVI საუკუნის დასაწყისისამდე, გვიან კი კლასიკიზმი. „ლია ფორმით“ კი ხასიათდებოდა ელინისტური ხელოვნება, ტუშით ნახატები იაპონიისა და XVI საუკუნის იტალიური მხატვრობა. განსაკუთრებულ განვითარებას კი „ფერწერულობა“ და „ლია ფორმა“ აღწევს ბაროკოს ეპოქიდან დღემდე. როგორც დასავლეთის ისე აღმოსავლეთის, არა მარტო პროგრესულ, არამედ არაპროგრესულ მიმართულებებშიც.

კლასიკური წარსულის კორიფეებს შორის „ლია ფორმის“ ნიადაგზე იღვნებ ისეთი რეალისტები, როგორც ველასკესი, გოია და მით უფრო ჩემბრანტი, როდენი და მრავალი სხვაც. „ლია ფორმის“ ემყარება აბსტრაქციონიზმიც. აქედან ნათელი უნდა იყოს, რომ „Noi-finito“-ს თეორიის მიერ მოდერნიზმის არსებით და საკუთარ ნიშნად „ლია ფორმის“ გამოცხადება, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. თვით მოდერნიზმი ხომ „დახურული ფორმის“ ისეთ უკიდურეს გამოვლინებასაც შეიცავს, როგორიცაა ნატურალიზმი და მით უფრო პოპ-არტი<sup>3</sup>.

ბუნებრივია დაისვას საკითხი, რა ნიშნებით გამოიჩევა „დახურული“ ფორმა „ლიასგან“? ან რა არის მათი წარმოშობის საფუძვლი:

«...линейное видение, резко отделяет форму от формы, между тем как живописный глаз, наоборот, направляется на то движение, которое идет дальше совокупности предметов.

1 Г. Вельфлин, Основные понятия истории искусств, стр. 21—73, 145—174.

2 Вельфлин, 1936 г.

3 М. Кузьмина, Поп-арт, Оп-арт, кинетическое искусство, Модернизм, Анализ и критика основных направлений, Москва, 1969, стр. 192—206.



В первом случае — равномерно ясные линии, которые **производят впечатление элемента разделяющего**, во втором — неподчеркнутые границы, благоприятствующие связыванию. Чтобы создать впечатление всепроникающего движения, применяются также и другие приемы... но освобождение масс светотени, предоставление им возможности ловить друг друга в самодовлеющей игре, остается основой живописного впечатления. Тем самым также сказано, что решающим моментом здесь являются не отдельные детали, но вся совокупность картины, ибо только что упомянутое таинственное взаимопроникновение формы, света и краски может стать действенным только в целом, и ясно, что невещественное и бесплотное должно иметь здесь столь же важное значение, как и телесно-предметное»<sup>1</sup>. (ხაზი ჩემია — თ. ფ.).

ეს შედარებით მცირე ამონაშერიც კი საკმარისია ხაზობრივი, ანუ „დახურული ფორმისა“ და ფერწერული, ანუ „ღია ფორმას“ შორის განსხვავების გასარკვევად. ჩვენის ფიქრით, „დახურული ფორმა“ აღმოცენებულია სამყაროს მეტაფიზიკური შეგრძნების საფუძველზე, რომლის მიხედვით ყოველი საგანი და მოვლენა იზოლირებულად და შინაგანი სტატიურობით განიხილება. „ღია ფორმა“ კი ყოველივეს განიხილავს ურთიერთთან განუწყვეტელ კავშირს და მოძრაობაში<sup>2</sup>.

ზემოთ არაერთხელ ითქვა იმის შესახებ, რომ „Non-finito“-ს თეორიამ მოდერნიზმის უსაგნობის ახსნა „ღია ფორმით“ სცადა, თითქოს „ღია ფორმა“, პრინციპში, საგნების მოდერნისტული დაუმთავრებლობით ასახვას ნიშნავდეს.

დიალექტიკური მსოფლშეგრძნების პრინციპი განა ნიშნავს სამყაროს დაუმთავრებელი წარმოდგენის შექმნას? ან კონკრეტული საგნების დაუმთავრებელ გამოხატვას? რა თქმა უნდა, მას არ ნიშნავს. მიქელანჯელოს, რემბრანტის, ველასკესის, რუბენსის, ფრანც ჰალსის, დელაკრუას, კურბეს, რეპინის, კონსტებლის, კოროს, ლევიტანის და ფერწერულად მოაზროვნე თითოეული საბჭოთა მხატვრის შემოქმედება იმისი ნათელი დაღასტურებაა, რომ

<sup>1</sup> Г. Вельфлини, Основные понятия, стр. 23.

<sup>2</sup> XIII—XV ს. იტალიური ხელოვნების მეტაფიზიკური მსოფლშეგრძნება შესაძლოა რამდენადმე შეპირობებული იყო არისტოტელეს საერთო ზეგავლენითაც რენესანსის კულტურაზე. არისტოტელეს მეტაფიზიკის შესახებ იხ. ო თ ა ვ ა ძ ე, მშვენიერების პრობლემა მარქსამდელი ესორეტიკის ისტორიაში, თბილისი, 1962, გვ. 13, 14, 57 და სხვ.



ფერწერულობას მხატვრულ დაუმთავრებლობასთან არაფერწერულობასთან საერთო პირიქით, სამყაროს შესახებ შედარებით არასრულ წარმოდგენას სწორედ ის ეპოქები იძლეოდნენ, რომელნიც მას მეტაფიზიკურ სტატიკურობასა და იზოლირებულად წარმოისახავდნენ.

მაგრამ მიუხედავად ამისა, თუ არავის ეპარება ეჭვი, რომ ხელოვნებაში უკვდავი ღირებულებანი როგორც ერთ, ისე მეორე მსოფლშეგრძნებათა ნიადაგზეა შექმნილი, ნათელია, რომ დასრულებულობის კრიტერიუმის დადგენისათვის კიდევ სხვა თვალსაზრისია საჭირო. ეს არის სინამდვილისადმი პოზიტიური, რიტმულ ჰარმონიული დამოკიდებულება, რომელიც ხელოვნების დასრულებულ ნიმუშს ქმნის არა მარტო საგნობრივ სახეობებში, არამედ ისეთ გამოგონილსა და უსაგნოშიც კი, როგორიცაა მაგალითად გომეტრიული ორნამენტი.

„Non-finito“-ს თეორიაში თანამედროვეობის უსწრაფესი ტემპებით ფერწერული აზროვნების ახსნის ცდასაც კხვდებით. კერძოდ, ზალცბურგში ჰეგელისადმი 1964 წელს მიძღვნილ ესთეტიკოსთა კონგრესზე ბერძენმა ესთეტიკოსმა მიხელიშვილმა დასავლეთის თანამედროვე ხელოვნების თვისებად სწრაფად ცვალებადი და წამიერი შთაგონების განსახიერება გამოაცხადა. მიხელისის შეხედულებაში შესაძლებელია სიმართლის წილი იყოს, რამდენადაც წამიერის განხორციელება მცირე შთაგონების ნაყოფია. მაგრამ იგი მატერიალური სუბსტანციის „თანდათანი გაქრობის“ „Non-finito“-სეულ პოზიციაზე აღმოჩნდა, როგორც კი სწრაფად ცვალებადის, მცირე შთაგონებათა სათავის ძებნა მიქელანჯელოს შემოქმედებაში დაიწყო<sup>1</sup>.

საერთოდ დისკუსია, რაც ლეონარდო და ვინჩისა და მით უფრო მიქელანჯელოს შემოქმედებაში „Non-finito“-ს პრობლემასთანაა დაკავშირებული, თავიდან ბოლომდე იმ მცდარ წინამძღვარს ემყარება, რომელიც ხელოვნებაში დამთავრებულობას ემპირიული, ან ბერძნული ეტალონების სამარადისო საზომებით განსაზღვრავს. დისკუსიის მონაწილეებს ავიწყდებათ ერთი უბრალო ჭეშმარიტება, რომ ბერძნულ არქაულს და თვით კლასიკურ ხელოვნებასაც არ დასჭირვებია ღრმა ფსიქოლოგიური ამოცანებისა და დიდი სულიერი ტკივილების გამოსახვა, რომ იგი „ღვთაებრივი სიმშვიდის“ ამოცანებს არ გასცილებია. ამიტომ ანტიკური ხელოვნება ადამიანის

<sup>1</sup> ესარგებლობ მ. ოვსიანიკოვის ნაშრომში მოტანილი ციტატით: მ. ფ. Օვსიანიკოვ, აктуальные проблемы современной эстетики, Борьба идем в эстетике, Москва, 1966, стр. 182.

დიდი ტრანსფორმაციის პროცესთა წინაშე არ დამდგარა და აღა დაკავშირდა მიანს ზომიერად და ანატომიური „სიზუსტით“ გადმოცემდა.

ამ ტრადიციებზე გაწვრთნილი და მეტაფიზიკურად მოაზროვანებულუაზიულ ესთეტიკოსთა ის ნაწილი, რომელსაც ხელს აძლევს პოზიტივიზმის პოზიციებიდან მატერიალური სუბსტანციის „დაშლის“ აღნიშვნა, მიქელანჯელოს შემოქმედებაში ტრადიციიდან გადახვევას მატერიის „დაშლად“, ან მატერიისაგან სულის პლატონისტურ „განთავისუფლებად“ მიიჩნევს<sup>1</sup>. იგი ვერ ხედავს, ან არ სურს დაინახოს, რომ რენესანსის კორიფეების მიერ ტრადიციებისაგან გადახვევა მოდერნისტულად გაგებული „დაუმთავრებლობა“ კი არ არის, არამედ ისტორიული კატაკლიზმებით გამოწვეული იდეების შესაბამისი ხერხების ძიებაა. ყოველივე ეს კი რენესანსის კორიფეებში შემდეგით იყო გამოწვეული: XV—XVI საუკუნეების მიხნაზე დაიწყო ფრანგებისა და გერმანელების ის ხანგრძლივი თავდასხმები იტალიაზე, რამაც ხელი შეუწყო არა მარტო სახელმწიფო დაქუცმაცებას, არამედ სოციალურ ურთიერთობის გართულებებსაც და ფეოდალურ-კათოლიკური რეაქციის გაძლიერებაც გამოიწვია. იტალიის მოწინავე საზოგადოებრიობა საკონებელში ჩავარდა. დამონების საფრთხის წინაშე დგომამ ქვეყნის მოწინავე ჯგუფები გაერთიანების გზაზე დააყენა, მაგრამ ამ დიდი ეროვნული საქმისათვის საჭირო რეალური ძალები კი არსად ჩანარინენ.

ამ ურთულეს ვითარებაში მიიკვალებოდა მაღალი რენესანსული კულტურა და ყალიბდებოდა სამყაროს დიალექტიკური მსოფლშეგრძენების საფუძვლები, რამაც ლეონარდო და ვინჩის შემოქმედებაში დიდი გარდატეხა გამოიწვია. დაბადა სივრცესთან საგნების ორგანულ კავშირში წარმოსახვის მისწრაფება. ამან ჯერ „საიდუმლო სერობაში“, უფრო მეტად კი „ჭიოკონდაში“ პპოვა განვითარება. საგნების სივრცითურთ გააზრება გახდა იმის საბაზი, რომ ლეონარდო და ვინჩის ქმნილებებში „დაუმთავრებლობა“ „აღმოეჩინათ“<sup>2</sup>.

დიალექტიკურ მსოფლშეგრძენებას რენესანსში აპირობებდა რწმენა მომქმედი ადამიანის ძლევამოსილებისა და იმ შეხედულე-

<sup>1</sup> იხ. ზემოთ გვ. 199—201.

<sup>2</sup> ლეონარდოს შემოქმედების „Non-finito“-ს საკითხზე იხ. ლიტერატურა ა. კე იხის ნაშრომში: A. M. Checchini, Non finito e compiutezza nell'opera d'arte, Actes p. 223-4.



ბის შერყევა, რომ სამყარო ღმერთის მიერ ერთხელ და სამყარო მოდ „ასეთადა“ მოწყობილი. შემუშავდა სამყაროს, როგორც მუდ-მივ მოძრავისა და ცვალებადის გაგება.

ეროვნული და სოციალური თავისუფლების დაკარგვისა და რე-ნესანსული იდეების განუხორციელებლობის შიშის განცდით მუშა-ობდა მიქელანჯელო სიქსტის კაპელას ჭერის მოხატულობაზე. ეს შესამჩნევი გახდა მოხატულობის შესრულების ბოლო ეტაპზე, რო-დესაც გამკვეთრდა ფიგურათა დინამიკა და მონუმენტურობა, გაძ-ლიერდა შუქ-ჩრდილის კონტრასტები და გამუქდა კოლორიტი. კველაფერში მღელვარება, ვნება, სიშმავე და განცდათა სიღრმე გამოჩნდა!

მაგრამ დროის ქარტეხილები ჯერ წინ იყო, იტალიაში ჰეგემო-ნისათვის მებრძოლი ფრანგები გერმანელებთან კონკურენციაში დამარცხდნენ, თვით ფრანცისკო I ტყვედ ჩავარდა (1525 წ.), გერ-მანელებმა განაგრძეს ლაშქრობა და რომი აიკლეს (1527).

რომის პაპის ხელისუფლების მწვავე კრიზისით ისარგებლა ფლორენციის ბურჟუაზიამ და ფეოდალიზმის დასაყრდენი — იპო-ლიტო რა ალექსანდრო მედიჩების ბატონობა მოიშორა. კლიმენტი VII-მ სამხედრო შეთანხმება შეკრა გერმანელებთან და ფეოდალუ-რი წესწყობილების აღდგენისათვის ფლორენციაზე გაილაშქრა.

როგორც ცნობილია, ამ დროს მიქელანჯელო ფლორენციის თავდაცვის საფორტიფიკაციო საქმიანობას ხელმძღვანელობდა. ფლორენცია დამარცხდა, რაც თითქოს რენესანსის იდეალების კა-ტასტროფამაც მოასწავებდა, ეს ყოველმა პროგრესულმა იტალი-ელმა და მით უფრო მისმა საუკეთესო ნაწილმა მწვავედ განიცადა.

აი ფონი, რომელმაც შეაპირობა მიქელანჯელოს საპროტესტო განწყობილება ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც მის ქვეყანას პო-ლიტიკურსა და ეკონომიკურს, სოციალურსა და სულიერ მონობას უქადდა რეფეოდალიზაციის შედეგად და აღორძინების მაღალი იდეალების განუხორციელებლობის შიშით ტრაგიკულ განცლებს იწვევდა<sup>2</sup>.

მიქელანჯელოს შემოქმედებაში ე. წ. „დაუმთავრებლობის“ თეორეტიკოსებს, როგორც ჩანს მიაჩნიათ, რომ ესოდენი განცლები მიქელანჯელოს ანტიკური ზომიერებით უნდა განეხორციელებინა და დამთავრების პრინციპს მხოლოდ მაშინ არ უღალატებდა. ხოლო

<sup>1</sup> Б. Р. Виппер, Борьба течений в итальянском искусстве XVI века, Москва, 1956 г., стр. 29.

<sup>2</sup> Б. Р. Виппер, იქვე, გვ. 30—38.

ჩავი მან პირიქით, მღელვარე განცდათა გამოთქმისათვის, ტრადიციის დაზურვების მიშეც ხელი, ეს „Non-finito“-დ, ანუ „მატერიის უშლად“ გამოაცხადეს. (იხ. ზემოთ გვ. 200, 219 და სხვ.).

XVI საუკუნის იტალიის მძიმე ისტორიულ ვითარებას უშუალოდ ეხმაურება მონობის თემაზე შექმნილი ქანდაკებების სერია, რომელიც მიქელანჯელომ არსებითად პირველად აიყვანა საკაცობრიო მნიშვნელობის სიმაღლეზე. ასეთებია, მაგალითად, „მონა ილვიძებს“ და „ატლანტია“ წოდებული ქმნილება (ფლორენციის აკადემია).

როგორც ერთი, ისე მეორე წარმოადგენს ქვის მასის ტყვეობაში მყოფ გიგანტებს, რომელთაც მისგან თავი ვერ დაუღრწვიათ (იხ. სურ. I და II).

შინაგანად დამუხტული ძალა, რაც ესოდენ დამახასიათებელი იყო საერთოდ დიდი ფლორენციელის ფიგურებისათვის, მაგრამ რასაც თითქოს არ უჩანდა რეალური წინააღმდეგობა, მკვეთრად ჩანს შესანიშნავ „ატლანტში“ თუ „მონის გალვიძებაში“, სადაც ადამიანი თითქოს უსასრულო სიმძიმეებს ერკინება.


„Non-finito“-ს თეორეტიკოსებისათვის თუ მათი გულუბრყვილ კრიტიკოსებისათვის, რომლებსაც ახალ იდეათა შესაბამისად ტრადიციის ნგრევისა და ახალი ხერხების დიალექტიკისა არ ესმით, ან არ სურთ გაიგონ, ქვის ზოდის შენარჩუნება ნაწარმოებთა დაუმთავრებლობის ნიშნად აქვთ მიჩნეული და არა იმ უდიდესი ტანჯვის ექვივალენტურ ხერხად, სადაც ვეებერთელა ზოდსა და მისგან თავის დასახსნელად მებრძოლი ფიგურების შინაგანი წინააღმდეგობაა განსახიერებული.

ის, რაც ანა მარია კეკინს „მატერიის საზღვრის მიღმამდე მისვლად“ მიაჩნია, ხოლო ბეტინს მისტიკური „საიდუმლოებით მოცულ სამყაროდ“<sup>2</sup>, სინამდვილეში მონობის წინააღმდეგ პროტესტის, როგორც საკაცობრიო იდეის, დიდი შთაგონებით გამოხატვის ნიმუშებია.


ეჭვი არაა, რომ მიქელანჯელო ნახევარი საუკუნითაც კი წინ

1 მხედველობაში გვაჭვს ჰერბერტ ფონ აინემისა და პეტერ ფაისტის შეხედულებანი, რომლებსაც მიქელანჯელოს ვითომდა დაუმთავრებელი ნაწარმოებები მის შემოქმედებით მარტინ მარინით იხ. Peter H. Feist, Das „Non-finito bei Michelangelo, Michelangelo hente, s. 92-93

2 ბეტინის ნააზრებს იდეალისტური ბურუსი რომ არ უშლიდეს, მხატვრული ალორ იმდენად მახვილი უჩანს, რომ მიქელანჯელოს „Non-finito-ს“ საკითხში უთუოდ სწორ დასკვნამდე მივიღოდა. იხ. Bettini „Sut non-finito di Michelangiolo, La nuova Italia, VI, 1935, 1, p. 187.



სურ. V. ნახატი მირონის „ბაღროს მტყორცნელის“ მიხედვით.



სურ. VI. მიზონის „ბაღროს მტყორცნელი“.



რომ დაბადებულიყო, ტრადიციულ ხერხებს ამ მასშტაბით არ გვევდა. მის დროს კი, როდესაც ჩენესანსულ ხელოვნებას განვითარების უველა ძირითადი ეტაპი განვლილი ჰქონდა, და სამყაროს დიალექტიგურად აღიქვამდა, ასეთი ნოვატორობისათვის ნიადაგი შემზადებული იყო.

ტრალიაში ეროვნული თავისუფლების დაკარგვის შიში, რეფერალიზაციითა და კონტრრეფორმაციით გამოწვეული ტრაგიული განცდები და შინაგანი პროტესტი არანაკლებ აირეკლა მედიჩების აკლდამაში. „დილისა“ და „ღამის“ განსახიერებები მიქელ-ანჯელოს ტრადიციული „გაშაშალაშინებით“ აქვს დამუშავებული, „დღისა“ და „საღამოს“ განსახიერებებში კი ახალ ფორმათა ძიება გამოვლინდა. აქ მიქელანჯელომ ფერწერული აზროვნების და ფსიქოლოგიური შთამბეჭდაობის ზენიტს მიაღწია.

როგორც ცნობილია, „ღამის“ განსახიერებამ ბევრ ლირიკოსს აღუძრა ლექსის სურვილი. მიქელანჯელომ მათ ლექსითვე უპასუხა, რომლის შინაარსიც გასაღებს იძლევა, როგორც მისი განწყობილების გასათვალისწინებლად, ის „დღისა“ და „საღამოს“ „გაუშალაშინებლად“ დატოვების საიდუმლოს გასაგებად. აი ლექსის თარგმანი:

«Мне любо спать, а пуще — быть скалой,  
Когда царят позор и преступление,  
Не чувствовать, не видеть — облегченье,—  
Умолкни ж, друг, — не трогай мой покой»<sup>1</sup>.

ეს განწყობილება უველაზე მკვეთრად „დღის“ განსახიერებაში ჩანს, სადაც ტრადიციულად დამუშავებული ტანის ფონზე კლდე-კაცის სახე თანადროულობის წინააღმდეგ ამხედრებული ავტორის ტიტანური პროტესტის ხმად მოისმის. ტრადიციის ეს უარყოფაც ესთეტიკისთა შორის გულგრილმა მედავითნებმა მიქელანჯელოს „დაუმთავრებლობად“ მიიჩნიეს (იხ. სურ. III).

„საღამოს“ განსახიერების სახე ქვეყანას ისეთი დიდი სიმაღლიდან არ ამცნობს პროტესტის შეძახილს, მაგრამ იგი თავისი ხავოიანი ზედაპირით, რაც მიქელანჯელოს ბევრ ქანდაკებაშიც გამეორდა, აქ მან ფერწერული აზროვნების განსაცვიფრებელი ნიმუში შექმნა (იხ. სურ. IV).

ამრიგად, ეპოქის დიდმა ტკივილებმა მიქელანჯელოს დაარღვე-

<sup>1</sup> Д. Вазари, жизнеописания, II, 1933, стр. 357.

ვინა ქანდაკებათა „გაშალაშინების“ საუკუნოებრივი ტრადიცია დამთავრების სრულიად ახალი ნორმები გამოაძებნინა.

როგორც ვხედავთ დისკუსია მიქელანჯელოს „Non-finito“-ს შესახებ გამოწვეული იყო ჩინკვიჩენტოს ტიტანების შემოქმედებით გარდატეხით. საქმე ისაა, რომ ჩინკვიჩენტოს კორიფეულმა ანტიკური ტრადიციები ძირფესვიანად აითვისეს, მაგრამ ბრძა მიმღევრობით არ დაქმაყოფილდნენ. მათ ისინი დასძლიეს და ახალ ისტორიულ ვითარებაში, სამყაროსადმი ახლებურ დამოკიდებულებას, საკუთარი ხმა შეაგებეს. უბედურება სწორედ ის იქნებოდა, თუ ანტიკური ტრადიციების გამზეპირებელთა კლასიცისტურ დონეზე დარჩებოდნენ.

ლეონარდო და ვინჩის „სფუმატო“-დან ისახება, ხოლო მიქელანჯელოს შემოქმედების ბოლო ეტაპიდან იწყება დიალექტიკურ მსოფლშეგრძნების ექვივალენტური — ფერწერული წარმოსახვისადმი დიდი ლტოლვა „დღისა“ და „საღამოს“ განსახიერებებში.

ტრადიციულისა და ახლის ერთსა და იმავე ქმნილებებში დაშვება თავისთავად ნიშნავს იმ დიდი გარდატეხის საწყისს, რის წინაშეც დააყენა მიქელანჯელომ ევროპული ხელოვნების მომავალი. ამის ბუნებრივ განვითარებას წარმოადგენდა ისეთი გოლიათების ხელოვნება, როგორიცაა: ტიციანის, ველასკესის, რემბრანტის, ფრანც პალსის, გოიას, უერიკოს, დელაკრუას, კურბეს, რეპინის, ვრუბელის, სეროვის, კოროსი, კონსტებლის, როდენისა და სხვ.

ხელოვნების ისტორიოგრაფიასა და ესთეტიკაში დასრულებულობის პრობლემატიკა სწორ ნიაღვზე რომ ყოფილიყო, მიქელანჯელოსი და ლეონარდოს ეპოქალური სიახლეები დანაშაულად ან ეჭვის საგნად არ გამოცხადდებოდა.

### შიდა სისრულისა და დაუსრულებლობის საკითხისათვის

როგორც დავრწმუნდით დიალექტიკურმა მსოფლშეგრძნებამ ფერწერულ სტილში მშვენიერების უჩვეულო ფორმათა გამოვლენის ერა შექმნა, რომელმაც კარდინალურად ახალი ამოცანები დაუსახა ხელოვნების სინამდვილესთან მიმართებას. მთლიანად XVI—XX საუკუნეების ფერწერული პზროვნების პროგრესული მემკვიდრეობა ამის ნათელი დადასტურებაა. ამ თვალსაზრისით, ამაოდ ცდილობენ „Non-finito“-ს თეორეტიკოსები თუ მათივე მოკმათენიც. ფერწერული ხელოვნების დამთავრებულობის კრიტერიუმებად

„დახურული ფორმის“ ნორმათა გამოყენებას. ფერწერული ტექნიკური ყოველ კონკრეტულ ვარიაციაში, დამთავრებულ ლირებულებთა თავისი საზომები გააჩნია. საჭიროა მხოლოდ მათი გულდასმით, სწორი მეთოდოლოგიური შესწავლა.

მაგრამ ყოველგვარი მხატვრული „მეტყველება“, ფერწერული თუ ხაზობრივი ადამიანური განცდების სიღრმით განისაზღვრება. რა თქმა უნდა, ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს საქმე გვქონდეს განცდებისა და მხატვრული „მეტყველების“ მექანიკურ შეერთებასთან. ნახატსა თუ ქანდაკებაში აღბეჭდილი განცდები, სპეციფიკურად მხატვრული ბუნების განცდებს წარმოადგენენ.

მაგრამ განცდათა სიღრმე და მასშტაბი თუ რაოდენ ზეგავლენას ახდენს ნაწარმოების შთამბეჭდაობაზე, ეს თვით სხვადასხვა სტილისტურ ისეთ ნაერთშიც კი მოჩანს, როგორიცაა მიქელანჯელოს „დოისა“ (სურ. III) და „საღამოს“ (სურ. IV) განსახიერებანი. ისინი ორი სხვადასხვა მსოფლშეგრძნების ხერხებითაა შესრულებული, ტრადიციულსა და ახალს ერთდროულად შეიცავენ, მაგრამ განცდის სიღიადის გამო განუყოფელ მოვლენებად აღიქმებიან.

„დოისა“ და „საღამოს“ განსახიერებებში გადატკეცილი ტანებისაგან „უხეში“ ნათალობით მკვეთრად გამოირჩევიან მათივე სახე-ები. მაგრამ ეს მათ ოდნავადაც არ აკლებს შიდა რიტმულსა და კომპოზიციურ ერთიანობაში აღბეჭდილი იდეური ზემოქმედების განსაცვიფრებელ ძალას. მაშასადამე აქ მთავარია შემოქმედის შინაგანი განცდის განსხეულება კომპოზიციურ-რიტმულ აგებულებაში, რაც შიდა სისრულის საოცარ ინტენსიონის აღწევს.

მეცნიერთა გარკვეული ნაწილი ჩანს ამან აიძულა, რომ მიქელანჯელოსთან „Non-finito“-ს პრობლემა საღაოდ გაეხადა, თორებდასახელებულ ნაწარმოებთა გარეგნული არათანაფარდობა ხომ ეჭვს არ იწვევს.

დიდ ხელოვნებაში შემოქმედის სულიერი ლტოლვის მატერიალური გამოხატულება, როგორც ორგანული ერთიანობა, ხშირად თვით ფრანგმენტშიც კი ინარჩუნებს თავისთავადობასა და შინაგანი სისრულის ბუნებას. ფრაგმენტის დანაკლულებაში შინაგანი „ლოგიკური“ სისრულის „ძალმომრეობა“ არის ის, რაც მაყურებელში მის აღდგენა-გამთლიანების იმპულსებსა და განუწყვეტილ ესოეტიკურ ტკბობას იწვევს.

ფრაგმენტისა და ესკიზის თვისებათა გათვალისწინებას თანდა-თან მივყავართ ცნება დასრულებულის არა ქვანტიტეტურ, არამედ ქვალიტეტური გაეგბის უპირატესობამდე, „დამთავრებულისა“ და „შინაგანად სრულის“ ცნებათა შორს არსებულ განსხვავებათა

გარკვევამდე. ნაწარმოების დამთავრებულობა ყოველთვის არ ნიშანავს მის სრულყოფილებას, რაც თავისთავად შინაგან სისრულეს გულისხმობს.

შიშველი ადამიანის თემაზე აკადემიური გულმოდგინებით, ან ანატომიური ატლასისათვის შესრულებული ნახატი, ჩვეულებრივ „ყოველმხრივ“ დამთავრებულია. იგივე ითქმის ქანდაკებაში აკადემიური „ნატურის“ შესახებაც. მაგრამ არა თუ საუკუნეების შემდეგ, მათი ხელმეორედ ნახვის სურვილი შეიძლება არავის არ დაებადოს. საგნის გულმოდგინე განმეორება დამთავრებულის განსაზღვრებას იმსახურებს, მაგრამ ეს სრულებითაც არ არის მხატვრული დასრულება. მხატვრულ დასრულებაში, როგორც ფრაგმენტის მაგალითზე ვხედავთ, ქვანტიტეტურ საზომებს გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს.

ახლა დავაკვირდეთ უძრავში მოძრავ ბუნებას, რაც ესოდენ ახასიათებს სახვით ხელოვნებას. კერძოდ ის ფაქტი, რომ აქ მოძრაობა უძრაობის სპეციფიკურ „ჩარჩოებშია“ „მომწყვდეული“.

სპეციფიკური უძრაობა ისე არ უნდა გავიკოთ, თითქოს იგი სახვითი ხელოვნების ნაკლს წარმოადგენდეს. ერთი წუთითაც რომ წარმოვიდგინოთ მოძრავი სურათები ან ქანდაკებები, რასაკვირველია, სულ სხვა ხელოვნებასთან გვექნებოდა საქმე და მშვენიერების სხვა მოთხოვნილებებს წავუყენებდით. უძრავში შინაგანი მოძრავის ბუნება სახვითი ხელოვნების ის თავისებური სარბიელია, როთაც იგი ხელოვნების სხვა სახეებისაგან სრულიად განსხვავებულ სილამაზეს შეიცავს. მაშინ, როდესაც კინო-ეკრანზე ტექნიკური დაბრკოლების გამო შეჩერებული კადრი, უზრო და არაესთეტიკურია საყურებელია. სახვითი ხელოვნების ქმნილება სწორედ ასეთ „გაშეშებულ“ მდგომარეობაში ავლენს მთელ თავის შესაძლებლობას.

საქმე ისაა, რომ სახვითი ხელოვნების უძრაობა არასოდეს არ ნიშნავს გაყინულ მდგომარეობას. იგი შინაგანად მუდამ მოძრავია. მისი მოძრაობა ფოტოს, ან კინოს გაშეშებული კადრისაგან პრინციპშივე განსხვავდება შინაგანი მოძრაობის სინთეზური ბუნებით<sup>1</sup>. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებო მასალას იძლევა ქანდაკების სფერო, სადაც ბრინჯაოში, ქვაში, ან მარმარილოში შინაგანი მოძრაობები საოცარ ემოციებს იწვევენ. იგივე ითქმის ჩარჩოზე გადაჭიმულ და ფერადი პიგმენტებით დაფარული უძრავი ტილოს შესახებაც.

<sup>1</sup> Н. Дмитриева, Изображение и слово, Москва, 1962, стр. 69—93.



ამ უძრავი მასალის ემოციების უნარი, ცხადია, ნაწარების შედა იმპულსებზე მეტყველებს, რასაც მოძრაობაში მოჰყავს მაყურებლის სულიერი ძალები.

ლესინგის შემდეგ, ჩვეულებრივ, „მოძრაობის ნაყოფიერი მოძანტის“ თეორიით წყდება საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ იწვევს აღმქმელ სუბიექტში უძრავი მასალა მოძრაობის განცდებს. ლესინგი ამას ასე განმარტავს:

«Плодотворное только то, что оставляет свободное поле воображению»<sup>1</sup>.

ამ თეორიის უსათუოდ უნდა გასწეოდა და მომავალშიც გაეწიოს ანგარიში, რამდენადაც იგი ნაწარმოებსა და აღმქმელს შორის კონტაქტის მნიშვნელოვან ასპექტებს ითვალისწინებს. მაგრამ მოძრაობის ნაყოფიერი მომენტი მხოლოდ ესთეტიკურ ფენომენს არ ადგენს. როგორც ფიზიკური აქტი იგი სპორტულ სანახაობებში და საერთოდ პრაქტიკულ ცხოვრებაში, ყოველ ნაბიჯზე შეიძლება შეგვხვდეს. მართალია მხატვრულად განწყობილი ადამიანები მას ესთეტიკურადაც განიცდიან, მაგრამ წამიერი განცდა, ხორცესხმული ესთეტიკური ღირებულება არ არის. ხელოვნების ნაწარმოებში კი, მოძრაობის ნაყოფიერი მომენტი უმთავრესად ესთეტიკურობით ფასდება და იგი სწორედ ამით მოქმედებს მაყურებელზე.

ხელოვნების ნაწარმოებში ფოტო სურათის „გაყინულობისა-გან“ განსხვავებით მოძრაობის ნაყოფიერი მომენტი სინთეზური მდგომარეობაა. ამიტომ იგი მაყურებელში წინა და მომდევნო მოძრაობათა გათვალისწინებას იწვევს. ამას ნიკოლაუს ჰარტმანი საგანგებო ყურადღებას აქცევს და ესთეტიკურ აქტად მიიჩნევს<sup>2</sup>. არსებითად იგივე თვალსაზრისი აქვს გამოთქმული ნ. დმიტრიევასაც<sup>3</sup>.

ლესინგი, ჰარტმანი, დმიტრიევა და სხვ. მოძრაობის ნაყოფიერ მომენტს აღმის აქტან თრგანულ კავშირში განიხილავენ. მათ მიაჩნიათ, რომ ამით უძრავში მოძრავის ესთეტიკურ ბუნებას ხსნიან. სინამდვილეში კი მათი თვალთახედვის კუთხე არსებითად მხოლოდ ფიზიკური და ფსიქოლოგიურია.

მოძრაობის ნაყოფიერი მომენტის ცნება, ცხადია, ნაწარმოების ისეთ მდგომარეობას ეხება, რომელიც მაყურებელს წარმოად-

<sup>1</sup> Готхольд Эфраим Лессинг. Лаокоон, Москва, Издигиз 1933, стр. 69: Амаვე საკითხზე, იხ. დმიტრიევას მითიოებული ნაშრომი, გვ. 83—84, 86, 89 და სხვ.

<sup>2</sup> Н. Гартман, Эстетика, Москва, 1958, стр. 142—146.

<sup>3</sup> Н. Дмитриева, Изображение и слово, стр. 81—102.

გვნინებს მოქმედების დროში განვითარებას. ასე, მაგალითად, მომენტის რონის „ბალროს მტყორცნელზე“ როცა ამბობენ, რომ მოძრაობის ნაყოფიერ მომენტშია წარმოდგენილი, ამით გულისხმობენ, რომ მირონმა მაყურებელს მოძრაობის დროში განვითარების თანაწარმოსახვის საშუალება დაუტოვა.

როგორც ვხედავთ, აქ ქანდაკებაში გამოხატული არსების ფიზიკურ მდგომარეობაზეა საუბარი, მაყურებლის მხრივ კი მის აღმაზე. ამდენად ორი აქტი იგულისხმება: ფიზიკური და ფსიქოლოგიური. ერთი თვით ნაწარმოების შიგნითაა, მეორე გარეთ, მაყურებლის წარმოსახვის სახით. მაგრამ ფსიქოლოგიური ფაქტორი ყოველთვის მხოლოდ მაყურებლის სულიერ მდგომარეობას არ ვულისხმობს. თუ თავისთვავად ნაწარმოების პერსონაჟი შეიცავს სულიერ განცდებს, მაშინ მოძრაობის ნაკოფიერი მომენტის ცნება პერსონაჟის სულის მოძრაობასაც ეხება. ასე მაგალითად, როცა ლეონარდო და ვინჩის „ჭიოკონდას“ ღია მილის არაჩვეულებრივ ზემოქმედებაზე მსჯელობენ, უპირველეს ყოვლისა მისი სულიერი მოძრაობის ნაყოფიერ მომენტს გულისხმობენ.

ამ შემთხვევაში ფსიქოლოგიური თვალსაზრისი თვით ნაწარმოებსაც ეხება. მაგრამ როგორი შემთხვევაც არ უნდა ავილოთ. იმისაგან დამოუკიდებლად თვით ნაწარმოები შეიცავს თუ არა ფსიქოლოგიურ ამოცანებს, ეს ვერაფრით ვერ სცვლის სუბიექტის ფსიქოლოგიურ დამოკიდებულებას.

მოძრაობის ნაყოფიერი მომენტის თეორია, ჩვენის ფიქრით, დღეს უკვე აღარ არის საკმარისი ესთეტიკური ფენომენის შეფასებისათვის.

საქმე ისაა, რომ ხელოვნების შეფასება შინაგანი თუ გარეგანი, აშკარა თუ პოტენციური, ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური, ნაყოფიერი მომენტით ბევრს ვერაფერს გვეუბნება ნაწარმოების მხატვრული ზემოქმედების ფაქტორზე. იგი ვერც ესთეტიკურ ფენომენის შესახებ გვაძლევს სწორ წარმოდგენას, როცა ნაწარმოებს აღქმის აქტთან ორგანულ კავშირში ვიხილავთ, აქ საქმე არსებითად არ იცვლება, ძალაში ჩემი არის თვალსაზრისი — ფიზიკური და ფსიქოლოგიური.

გამოდის, რომ მეცნიერება ხელოვნების, ან მშვენიერების შესაბ ფიზიკისა და ფსიქოლოგის მეთოდებს იყენებს, ესთეტიკურ შეფასებას კი თითქმის უგულებელყოფს.

ამავე დროს, მხატვრობასა თუ ქანდაკებაში არავითარი მოძრაობა, გარეგანი თუ შინაგანი, ფიზიკური თუ სულიერი, მხატვრული თვალთახედვის გარეშე არ არსებობს. ყოველი მათგანი, მშვენიერებისა და მოძრაობის საშუალება დაუტოვა.

ბის კუთხით დანახული და ნაგრძნობი მოძრაობაა. ამდენად ნებაში დასრულებულობის პრობლემაც ცხადია, ამ თვალთახედვით უნდა იყოს განხილული.

მაგალითებისათვის, ავილოთ ისევ მირონის „ბატროს მტყორცნელი“, მის ღირსებათა გასათვალისწინებლად განა საქმარისია მოძრაობის ნაყოფიერი მომენტის თვალსაზრისი? შევხედოთ მას მკერდის მხრიდან. (იხ. სურ. VI) დავიწყოთ იმით, რომ მისი უკიდურესად დაჭიმული ტანი, შორს გასატყორცნადაა წამიერად მოტრიალებული (ჰარტმანი), „როდესაც ბადრო უკიდურეს სიმაღლეზე აქვს აწეული და წამის რაღაც ნაწილაკის განმავლობაში შეჩერებულა, რათა მთელი ენერგიით გასტყორცნოს“ (დმიტრიევა).

აბსოლუტურად იგივე შეიძლება ითქვას ასპარეზზე გამოსული ცველა სპორტსმენის მოძრაობებთან დაკავშირებით. განა ბატროს რომელიმე მტყორცნელს ასეთი მომენტი არა აქვს ხოლმე? ამდენად ეს განსაზღვრება თითქმის არაფერს გვეუბნება, თვითონ ნაწარმოების მხატვრული ზემოქმედების შესახებ.

ახლა დავაკვირდეთ მას მხატვრული თვალსაზრისით: ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ მირონის სპორტსმენის დაშვებული ხელი ბეჭების ზედა კონტურთან ერთად არ აგრძელებდეს ბატროინი ხელის პლასტიკურ რკალს და იგი არ წარმოადგენდეს დეკორატიული მოტივის გაგრძელებას, არამედ რომელიმე მხარეს იყოს ნებისმიერად გაკეცილი. რას მივიღებდით? რასაკვირველია, დაირღვეოდა მოძრაობის ის ჰარმონია, რომელიც ასე დეკორატიულ ნახაზად ჰქონდეს მთელს სანახაობას, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ მოძრაობის ნაყოფიერი მომენტი გამახვილებულიყო კიდეც. (შეად. სურ. V-VI) ან წარმოვიდგინოთ მოკეცილი ფეხი, რომ არ აგრძელებდეს თავისუფლად ჩამოშვებული ხელის მოძრაობას, ანდა მხრებისა და ხელების მოძრაობის მთლიან რკალს ზურგის „კონტურით“ შექმნილი მეორე რკალი რომ არ ეთანხმებოდეს.

ამრიგად, აქ მთავარი არის არა შიშველი ფიზიკური აქტი, არამედ მოძრაობის ნაყოფიერი მომენტი, რომელიც დეკორატიული გრძნობითაა დანახული. დავაკვირდეთ რომელიმე მრავალფიგურიან ნაწარმოებსაც. გავიხსენოთ ათენის პართენონის ბარელიეფებიდან ფიდიასის „მხედრები“ (იხ. სურ. VII), შევადაროთ იპოდრომის ცოცხალ მხედრებს, რომლებიც სხვადასხვა ჯიშის ცხენებისა და მოძრაობის ნაყოფიერ მომენტთა სიუხვით გამოირჩევიან. ისინი მაყურებელში მრავალმხრივ ინტერესს აღძრავენ შეჯიბრის ექსტაზის თვალსაზრისითაც. ფიდიასის ცხენები და ცხენოსნები კი მოძრაობის



„მხოლოდ“ „ნაყოფიერ მოენტში“ არიან ოლბეჭდილები. მაშასადამეტე გვარების თითქოს ბევრად ნაკლებ საინტერესონი უნდა იყვნენ.

მიუხედავად ამისა, ფიდიასის ნაწარმოები ჯადოქრული ძალით გიზიდავს, რასაც ვერავითარი ღოლის სანახაობა ვერ შესცვლის. მასში არც შეჯიბრით გამოწვეული სულიერი დაძაბულობის საფუძველია და არც რეალური ფიზიკური აქტები. მაგრამ ამ ცივ მარმარილოს განიცდით როგორც საოცრად ნიკიერად დაწერილ მუსიკას.

რა იწვევს ამ გრძნობებს? ფიდიასს მხედართა მოძრაობა, კერძობითისა და შემთხვევითის გამორიცხვით, მხატვრული აუცილებლობის განმაციფრებელ სიმაღლეზე აუყვანია. ამავე დროს ლაკონიურობა მუსიკალური რიტმის ფოლადისებურ მკაფიობაზეა აგებული: ბარელიეფის სულ წინა ფენაზე ცხენების მხოლოდ ზეაწეული ფეხების რიტმული ტალღა ადის და ჩადის. შიდა ფენაზე კი მიწასთან მაიხლოვებული უკანა ფეხების რიტმული ტალღები. ამ მღელვარე რიტმს ეხოს აძლევს საერთო ფიზიკური ძლიერება, არა მარტო დაძაბული კუნთმაგარი მხედრებისა, არამედ ფაფარაბურძგვნილი მოჭიხვინე ცხენებისაც.

ყურადღებას იქცევს ცხენების პლასტებად განლაგების ხერხიც: ბარელიეფის მარჯვენა ცხენს (იგულისხმება მაყურებლის მხრიდან), კომპოზიციის ყველაზე წინა ფენა უჭირავს, შემდეგს შემდეგი ფენა. ყველაზე კიდურა მარცხენა მხედარი კი, ყველაზე შიდა ფენაზეა. მაგრამ ყველივე ეს ისეთი ტაქტითა შესრულებული, რომ ბარელიეფის სიბრტყითობა არ ირღვევა.

მხედრებისა და ცხენების ფეხები ორნამენტული სიმწყობრით ჰქვეთენ ცხენების კორპუსებს. ეს ტალღოვანებაც ქვედა მუქი ჩრდილებითაა ახმიანებული.

არ შეიძლება ამ თითქოს ერთფეროვნებაში საოცარი ნიუანსური მრავალფეროვნების სილამაზე არ შეინიშნოს.

მთლიანად ცხენოსანთა ომაზიანი ჯგუფის მშვენიერება, ნაწილთა შინაგანი დინამიკური რიტმის პრინციპზეა აკინძული და ამით პარმონიის განსაციფრებელი სიმკვრივისა და განუყოფელობის შთაბედდილებას ახდენს.

ფიდიასის ბარელიეფში მხოლოდ მოძრაობის ნაყოფიერი მომენტის შერჩევა ვერაფრით ვერ ახსნითა ნაწარმოების მიმზიდველობას, რაც ფიგურათა სილამაზის რიტმული გაერთიანებითაა მიღწეული.

როგორც ვხედავთ მრავალფიგურიან კომპოზიციებში უკეთ ჩანს თუ როგორ ექვემდებარებიან ფიზიკური და ფსიქოლოგიური აქტები მხატვრულ თვალსაზრისს. თვითონ მხატვრული თვალსაზეული

რისი კი სიღრმისეული ადამიანურ მიზანსწრაფვებითაა განახობული ამ შემთხვევაში ვხედავთ, თუ ფიდიასი, როგორც პატივის პატრიოტი, როგორი ილტვოდა პერიკლეს მხედრებით აღფრთვანების გადმოსაცემად, რაც რიტმიულ-ჰარმონიულ მთლიანობაში კომპოზიციური აკინძგის საოცარი უნარით განახორციელა.

დღეს მაყურებელს კონკრეტულად პერიკლეს მხედრების ისტორიული ბედი კი არ აღელვებს, არამედ პატრიოტიზმით შთაგონებული მიწიერი სილამაზის განცდათა ვიჩტულოზული აღმეცდილობა, როგორც მარადიული ესთეტიკური მოთხოვნილების საგანი.

პართენონის კომპოზიციიდან მხოლოდ ერთი ფრაგმენტიც რომ იყოს შემორჩენილი, და ფიდიასის პატრიოტიზმი არ იყიდთხებოდეს, ცხოვრებისეული სილამაზის რიტმული ანარეკლის კვალიც კი. საკმარისი იქნებოდა, რომ მაყურებელში ესთეტიკური გრძნობები გამოეწვია. ე. ი. თუ კი ფრაგმენტში ცხოვრებისეული სილამაზის ჭეშმარიტი რიტმული განცდის კვალი შემორჩენილია, შიდა სისრულის განჭვრეტისათვის ასეც საკმარისი სიდიდეა.

ამასთან დაკავშირებით გვაგონდება ბ. ვორონოვის სიტუვები:

«Ю. Олеша рассказывал, как читал он однажды скучную, обыденную и «правильную» книгу. И вдруг произошло чудо — он почувствовал трепетную настоящесть, заметалась иступленно Настасья Филипповна, все преобрело краски, жизнь, движение... Это в типографии случайно вплели в книгу несколько страниц Достоевского. И вот даже не эпизод — частичка, элемент, обрывок — сразу же показали мастерство, гениальность даже во фрагменте, в «микровырезе»!.

ამრიგად, ხელოვნების ნაწარმოები გარევნულად შეიძლება დაუმთავრებლის შთაბეჭდილებას სტოვებდეს, მაგრამ შემოქმედის სიღრმისეული განცდა შიდა სისრულის ისეთ ძალას იჩენს, რომ არ იკარგება თვით ფრაგმენტად ქცევის შემთხვევაში ცკი.

ამდენად, დამთავრებულობის კრიტურიუმებს შორის ჩვენის აზრით უძირითადესი შიდა სისრულეა.

მხატვრულ ნაწარმოებზე მსჯელობის დროს სშირად უყურადღებოდ გვრჩება ის გარემოება, რომ ესთეტიკური აქტის წინაშე ვდგავართ. ნაწარმოების ღირსეულების და ამდენად მისი დასრულებულობის თუ დაუსრულებლობის განმსაზღვრელიც აღმქმედი სუბიექტია. ამიტომ ფენომენოლოგიური ესთეტიკა ამაოდ ამტკი-

1 Н. Воронов, Искусство Амашукели, «Декоративное искусство СССР», 1970, 10, стр. 29.



ସ୍ତ୍ରୀ. VII. ଫୁଲଦାଳୀ, ଦାର୍ଶନିକ ପାଠ୍ୟନିରମଳା.



ცებს, მხატვრულ ნაწარმოებთა განსაზღვრების ფსიქოლოგიური მიზანით თვალსაზრისისაგან დამოუკიდებლობას<sup>1</sup>. ჩვენის აზრით აღმქმელი სუბიექტი ესთეტიკური განსაზღვრების აუცილებელი დეტერმინანტია<sup>2</sup>.

ხელოვნების ნაწარმოები შეიძლება საკუუნეთა განმავლობაში მიწის ქვეშ იყოს დაცული და მხატვრულ ღირებულებად „ვერ იქცეს“, ვიდრე ადამიანი გათხრის საშუალებით არ მიაგნებს და ფიზიკური არსებობის დადგენასთან ერთად მის ღირებულებასაც არ შეიცნობს.

თუ იმ აუცილებელ პირობასაც არ დავივიწყებთ, რომ სახვითი ხელოვნების ქმნილება უძრავში მოძრავის ბუნებისაა და ავტორის მიერ მინიშნებული შინაგანი მოძრაობის განცდის გარეშე უტყვიარ ჩება, აშკარაა, რომ მისი ესთეტიკური „დასრულება“ ესთეტიკურ აქტში ხორციელდება.

ამ თვალსაზრისით იგი როგორც ავტორისაგან, ისე აღმქმელისაგან დამოუკიდებლად, დაუსრულებლობის (და არა დაუმთავრებლის) ბუნებისაა.

ესთეტიკური აქტის პირველი და ძირითადი ელემენტი, ეპოქის სოციალური განწყობით გამოწვეული ხელოვანის იდეური მიზან-სწრაფვა და ესთეტიკური იდეალებია, რომელთა შთაგონებითაც ხელოვანი, ტილოსა თუ ქვაში, შესაფერის მატერიალურ განხორციელებას ეძიებს.

დასრულებულობის განსაზღვრების მეორე ელემენტი უკვე ხორციელებული ქმნილებაა, რომელმაც აღმქმელში ავტორის მიერ „შთაბერილ“ ემოციათა გამოწვევა უნდა შესძლოს. თვით ნაწარმოებს, შემოქმედისა და აღმქმელისაგან დამოუკიდებლად, რა თქმა უნდა, არავითარი ემოციები არა აქვს და არც შეიძლება პქონდეს. სამაგიეროდ მას აქვს კონსტიტუციური გამლიზიანებულები, რომელთაგან ძირითადია დეკორატიულ რიტმად აკინძული პირობითი სინამდვილე, სათანადო კომპოზიციით, პლასტიკით, ფერთა მეტყველებით და სხვ.

ყველაზე რთულს და საყურადღებო პროცესს წარმოადგენს

<sup>1</sup> ფენომენოლოგიური ესთეტიკის ძირითად დებულებათა გასაცნობად იხ. ა. ბოჭორიშვილი, ფენომენოლოგიური ესთეტიკა, თბილისი, 1966.

<sup>2</sup>. ლიბისის შთაგრძნობის თეორია მეორე უკიდურესობას იცავს, მისთვის არსებობს მხოლოდ სუბიექტით თავისი „მე-თი, სინამდვილე კი როგორც ესთეტიკური აღქმის ობიექტი, არსებითად არ არსებობს. (იხ. ნ. ტუფინაშვილი, შთაგრძნობის ესთეტიკური თეორიის კრიტიკა, კრებულში: თანამედროვე ბურჯუაზიული ესთეტიკური თეორიების კრიტიკა, თბილისი, 1966, გვ. 55—111).

დასრულებულობის მესამე ელემენტის, ანუ თვით ნაწარმოებთან დამოკიდებულება აღმქმელი სუბიექტისა, რაც ისეთ გააქტივებს ნიშნავს; რომ იგი ნაწარმოებზე რიტმიულად აღბეჭდილ პირობით საგნებს, მხატვრულ სიცოცხლედ წარმოისახავს, და მხატვრის მინიჭნებულის თანადამსრულებელი ხდება.

ნ. ჰარტმანმა მირონის „ბადროს მტყორცნელის“, ვეროკიოს „კოლეონის“, მიქელანჯელოს „დავითისა“ და სხვა მაგალითთა ანალიზის საფუძველზე ნათელყო, რომ თითოეული მათგანი და საერთოდ ყოველი მხატვრული ნაწარმოები შეიცავს წინა რეალურ ფიზიკურ ფენას და უკანა, აგრეთვე კონკრეტულ, მაგრამ ირჩეალურ ფენას, რომელთა მთლიანობაც ქმნის ესთეტიკურ ფენომენს, რომ უკანა ირჩეალური ფენის წარმოსახვის გარეშე იგი, არსებითად, ფიზიკურ საგანში (მარმარილო, ბრინჯაო, ტილო და სხვ.) მოცემული პოტენციაა, რომელიც გაცოცხლებისათვის აღმქმელის ემოციურ დამოკიდებულებას მოელის.

«У метателя диска, — შენიშნავს ჰარტმანი, — тело схвачено в момент высшего напряжения — в момент поворота для броска, и только внешняя форма этого мгновения запечатлена в камне. Но созерцающему в этом является все происшествие с его динамикой, включая полет диска в палестре. То же самое происходит и у борцов и у танцующего сатира, даже у «Давида» Микельанджело... Всегда осязается противоположность словес: тихо стоящий реальный образ и движение являющегося»<sup>1</sup>.

იგივე „ბადროს მტყორცნელი“ თვით ჩვეულებრივ ოთახშიც რომ იდგას, მასთან ერთად მაყურებელი აღმქვამს სივრცესაც, საითქნაც ბადრო „უნდა გაიტყორცნოს“. ასე, რომ რეალურად არსებული ჭერი ხელს არ უშლის ირჩეალური სივრცის წარმოსახვას.

ავილოთ კიდევ სხვა მაგალითი:

«Конь Коллеони, — гаნაგრძობს ჰარტმანი, — тихо стоит на своем цоколе, и в то же время он шагает; мы видим неподвижное стояние и видим шагание; одно не мешает другому, не противоречит ему, напротив, только одно делает видимым другое...

«...вылитый из бронзы всадник на своем «шагающем» коне стоит на цоколе, является движение, совершающееся при верховой езде, но оно совершенно не может иметь места, как

<sup>1</sup> Н. Гартман, Эстетика, стр. 142.



на цоколе, так и в явлении; грубо выражаясь, всадник **совсем** не представляется, как бы едущим верхом на цоколе, и тем не менее это не представляется чем-то бессмысленным. Всадник едет по равнине, по полю; но поля нет, значит, оно должно появиться. Следовательно, является другое пространство, в котором едет верхом Коллеони... Реальное и являющееся пространство мешают друг другу так же мало, как статическая форма бронзы мешает движению, совершающемуся при верховой езде<sup>1</sup>.

«**А** тѣмъ ўбѣда, ог҃улліосѣмѣда პლასტიკური აზროვნების ცოტად თუ ბევრად განვითარებული და ემოციური მაყურებელი, რომელიც თვითონაც განიცდის და ნაკლებად ფიქრობს იმაზე, რომ ყოველივე ეს ირჩეალურია, რომ რეალურად მის წინ ცივი და სრულიად უძრავი ბრინჯაოს დიდი საგანი დგას.

ეშვი ორა ხელოვანი ცხენოსანი სარდლის ქანდაკების შექმნისას ირჩეალურ ფენასაც ითვალისწინებდა და ქანდაკებაში აქსოვდა მას, როგორც მხატვრულ მინიშნებას.

ხოლო, რადგანაც ხელოვნების ნიმუში თავისთავად რაღაც ისეთ მხატვრულ კონსტრუქციას შეიცავს, რომელიც შემქმნელსა და აღმქმელში თანაბარი განცდის იმპულსებს იწვევს, რაც ნაწარმოების გარეთაც აგრძელებინებს წარმოსახვას, ეს იმას ნიშნავს, რომ ხელოვნების ნაწარმოები თავისთავში შეიცავს მაყურებლის ფანტაზის წარმმართველ ძალას, ამასთან ერთად ნაწარმოებს „აკლია“ ეს თეტიკური ფენომენის ნაწილი, რომელიც უეჭველად აღმქმელის ფანტაზით შეივსება, ანუ დასასრულებელი რჩება. ხელოვნების ნაწარმოები, პრინციპში ისეთი შიდა სისრულით ხასიათდება, რასაც გარეგანად, შემქმნელის შემღება აღმქმელიც „დაასრულებს“.

როგორც ვხედავთ, ესთეტიკური ფენომენის გავებაში ნაწარმოებთან ერთად იგულისხმება აღმქმელი სუბიექტი, როგორც ხელოვანის მიერ მინიშნებული ირჩეალური ფენის უეჭველი თანაგამცდელი და თანაშემვები.

ამრიგად, მხატვრული ლირებულების გარკვეულობა თავს იჩენს ნაწარმოების ესთეტიკურ აღმაში. ერთ მხარეზეა ნაწარმოები, რომელშიც შემქმნელმა თავის იდეას ხორცი შეასხა. და მეორეზე აღ-

<sup>1</sup> Н. Гартман, Эстетика, стр. 142 и 144.

მქმელი, რომელიც მოწოდებულია მას ჩასწევდეს. ეს ორი ერთად იძლევა ესთეტიკური ფენომენის გარკვეულობას, ანუ „სრულ“ წარმოდგენას, თუ ხელოვნების ქმნილება როგორ აღიქმება სუბიექტში.

ყოველივე ამასთან ერთად აშკარაა ესთეტიკური აქტის რელატიური ბუნებაც, რაც იმითა განსაზღვრული, რომ ხელოვნების ნაწარმოებისადმი დამოკიდებულება იცვლება, როგორც ცალკე სუბიექტის, ისევე მთელი თაობისა თუ ეპოქის მიხედვით. ყოველ მათგანს მოაქვს განსხვავებული განწყობილება, კულტურის დონე, შემეცნების მასშტაბი. ამიტომა, რომ აღმქმელისათვის კონკრეტული ნაწარმოები ყოველთვის არ წარმოადგენს ერთსა და იმავე მხატვრულ სიდიდეს და ამდენადაც იძენს დაუსრულებლობის თვისებას. იცვლება მხატვრული გემოვნება და ლირებულების კრიტერიუმი, — მყარი რჩება მხოლოდ ნაწარმოების შანაგანი მხატვრული სისრულე. ხელოვნების ჭეშმარიტი ჭმნილება დაუსრულებლობის და არა დაუმთავრებლის ბუნებისა — იგი მხატვრულ ინტერესთა უსასრულობის საფუძვლია.

სინამდვილისადმი ხელოვნების განწყობისეული, ნიუანსურად ცვალებადი დამოკიდებულება პიროვნული ნიჭის თავისებურებათა მიუხედავად, არსებითად თანადროული განვითარებადი სოციალური გარემოთია განსაზღვრული. მაგრამ პიროვნული ნიჭი მაინც ავლენს თავის ტენდენციას მხატვრული მეთოდის ძიებაში, რის მიხედვითაც შემოქმედთა ორი ძირითადი კატეგორია გამოიყოფა. პირველი აღრე წყვეტის შემოქმედებით ძიებას და კმაყოფილდება ერთხელვე მიღწეულის ვარიაციებით. მის დანერგვაში დიდ ენერგიას ხარჯავდნენ კლასიცისტური აკადემიები, რომელნიც ხელოვანთა მეთოდის სამუდამო „დასრულებას“ წინასწარ აღწევდნენ სამოღვაწეო ასპარეზზე გაშვებამდე.

მეორე კატეგორია დაუსრულებელი ძიებით ხასიათდება. მისთვის ნიშანდობლივია მიღწეულით განუწყვეტელი დაუქმაყოფილებლობა, იმის ცდაში, რომ იდეა, რომელიც სულს „უღრნის“, მოდევნო ნაწარმოებში უფრო სრულყოფილად განასახიეროს.

ცხადია ხელოვნების განუწყვეტელ განვითარებას საკმაოდ ჩამორჩება აღქმის უნარი, რომელიც განვლილი ეტაპის შეთვისებას ძლივს ასწრებს, რადგან ახალი იბადება. ამიტომ ხელოვნების გაგება ერთავად ჩამორჩენილისა და დაწევისათვის განწყობილის

შდგომარეობაა, ზოგჯერ დაუწევლობა კონსერვატულ გრანულ-  
ტესტშიც ვლინდება. ამის საილუსტრაციოდ საქმარისია გუცინის  
ნოთ თანამედროვეების დამოკიდებულება რემბრანტისა და დელა-  
კრუასადმი, ჩვენში კი ფიროსმანისა და გულიაშვილისადმი. მაგრამ  
ყოველივე ეს ხელოვნების განვითარებას ვერ აჩერებს. პირიქით  
ზოგჯერ იგი წინააღმდეგობაში იძაბება და ძლიერდება კიდევ.

თეატრის ისტორიის კათედრა

ელევ გელიაზვილი  
უფროსი ლაბორანტი

შ. რუსთაველის სახელობის საქართველოს სახელიშვილოს სახელიშვილო  
თეატრალური ინსტიტუტი  
(მოკლე ნარკვევი)

შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის, ჩვენი რესპუბლიკის თეატრალური კულტურის ერთ-ერთ მძღვრ კერას, 30 წელი შეუსრულდა.

ათეული წლების მანძილზე, შეიძლება ითქვას საუკუნის, ყველა ქართველი თეატრალური მოღვაწის სანუკვარი ოცნება, საქართველოში თეატრალური განათლების შექმნა იყო. სხვადასხვა დროს მისთვის იღწვოდნენ: გ. ერისთავი, ვ. აბაშიძე, ვლ. მესხიშვილი. ვ. შალიკაშვილი, გ. ჭაბადარი, აკ. ფალავა და მრავალი სხვა რევოლუციამდელი ქართული თეატრის მოღვაწე; დროდადრო მათი ოცნება ხორციელდებოდა კიდევ, მაგრამ მხოლოდ დროებით, რაღაც არც მეტის რუსეთის კოლონიალური პოლიტიკის და არც მენშევიკების მთავრობის ინტერესებში არ შედიოდა საქართველოში თეატრალური განათლების დაფუძნებისათვის საჭირო პირობების შექმნა. მხოლოდ საბჭოთა პირობებში მოხერხდა თეატრალური განათლების დაფუძნება, მისი ნამდვილ მეცნიერულ ნიადაგზე დამკვიდრება.

1922 წლის გაზაფხულზე, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების თითქმის ერთი წლისთვის გაიხსნა ქართული დრამატული სტუდია, რომელიც 1924 წელს გადაკეთდა სახელმწიფო დრამატულ სტუდიად; 1926 წ. სტუდია გაიხსნა რუსთაველის სახელობის თეატრთან, ხოლო 1931 წელს მარჯანიშვილის სახელობის თეატრთან.

ამ, ამ სტუდენტების ბაზაზე საქართველოს მთავრობის ბრძანებით შეიქმნა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალურია.



ინსტიტუტი, რომელმაც მუშაობა დაიწყო 1939 წლის 1 სექტემბერს  
ინსტიტუტის დირექტორად დაინიშნა ამ საქმის მოთავე ჩვენი დროის  
უდიდესი მსახიობი და თვალსაჩინო თეატრალური მოღვაწე სსრკ  
სახალხო არტისტი პროფესორი აკაკი ხორავა, მის მოღვაწე და  
ატრალური განათლების დარგში ამაგდარი მოღვაწე პროფესორი  
აკაკი ფალავა.

ამ დროიდან მოყოლებული რუსთაველის სახელობის სახელ-  
მწიფო თეატრალური ინსტიტუტი გადაიქცა მნიშვნელოვან კულ-  
ტურულ დაწესებულებად, რომელიც ზრდის და ამზადებს ქართუ-  
ლი საბჭოთა თეატრისათვის საიმედო მომავალს, ჩვენი თეატრების  
ნიჭიერ და სახელოვან შემოქმედთა ღირსეულ ცვლას.

ამ მეტად რთულ და საპატიო მოვალეობას ინსტიტუტი ღირსე-  
ულად და პირნათლად ასრულებს მაღალკალიფიციური პედაგოგი-  
ური კადრის უშუალო მონაწილეობით და დახმარებით, რომლითაც  
თავვიდანვე დაკომპლექტდა ინსტიტუტი. ამ კადრით სამართლიანად  
ამაყობს ინსტიტუტი, ხოლო მისი ორზრდილები მოწიფებითა და მაღ-  
ლიერების გრძნობით წარმოსთქვამენ სახელებს: სსრკ სახალხო არ-  
ტისტების, პროფესორების აკ. ხორავას და აკ. ვასაძის, ხელოვნების  
დამსახურებული მოღვაწის, პროფ. აკ. ფალავას, რესპუბლიკის სა-  
ხალხო არტისტ პროფესორ დ. ალექსიძის, სსრკ სახალხო არტისტ  
პროფ. გ. ტოვასტონოვის, ხელოვნების დამსახურებული მოღვა-  
წის, პროფ. მ/შ. გ. მრევლიშვილის, ხელოვნების დამსახურებული  
მოღვაწის, პროფ. დ. ჯანელიძის, ხელოვნების დამსახურებული  
მოღვაწის, პროფ. კ. მელვინეთუხუცესის, ხელოვნების დამს. მოღვ. დო-  
ცენტ კ. პატარიძის, რესპ. დამს. არტისტ დოც. გ. სარჩიმელიძის,  
უფრ. მასწავლებლების: ხელ. დამს. მოღვაწის დოც. მ/შ. ა. მიქელა-  
ძის, დამსახურებული ბიბლიოთეკარ რ. მიქელაძის, ხელოვნების  
დამსახურებული მოღვაწეების ა. კიკნაძის და კ. ბადრიძის, რესპუბ-  
ლიკის დამს. არტისტ ე. კედიას, დაღესტნის ასსრ ხელოვნების დამს.  
მოღვ. ა. თავზარაშვილის, პროფ. ვ. ულენტის, რესპ. დამსახურებულ  
არტისტ ვ. გამსახურდიას, ნ. თაქთაქიშვილის, სსრკ დამსახურებულ  
მწვრთნელის ა. ფეოდოროვის.

შემდეგში პედაგოგთა ამ შემადგენლობას მიემატა ფილოსო-  
ფიურ მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერების დამსახურებული  
მოღვაწე, პროფ. ი. თავაძე, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატები,  
საქ. სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები, დოცენტები  
ე. გუგუშვილი და ნ. შალუტაშვილი, ხელოვნებათმცოდნეობის კან-  
დიდატები, დოცენტები: ე. თოფურიძე, ო. ფირალიშვილი, შ. მაჭავა-  
ოიაძი, ფილოსოფიურ ძეცხიერებათა კანდიდატი დოცენტი თ. კოს-

ტანაშვილი, სსრკ სახალხო არტისტი ვ. ჭაბუკიანი, საქ. სსრ ხელოფული მოღვაწე გ. ლორთქიფანიძე, საქ. სსრ სახალხო არტისტი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ლ. გვარამაძე, საქ. სსრ დამსახურებული არტისტები ნ. როშჩეპკინა და ო. ზარეცკი, უფრ. მასწ. ე. გვადევანიშვილი, ნ. კონტრიძე, შ. გოგიძე. მ. კაჭარავა, ბ. აივაზოვი.

შეუძლებელია სიამოვნებით არ აღინიშნოს ამავე ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა რიცხვის ზრდა ინსტიტუტის პედაგოგთა შორის: საქ. სსრ სახალხო არტისტი, დოცენტი გ. თუმანიშვილი, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი, დოც. ბ. ნიკოლაიშვილი, საქ. სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები ლ. იოსელიანი და ო. დვალიშვილი, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი, საქ. სსრ ხელოვნების დამს. მოღვაწე ე. შაფათავა, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი, უფრ. მასწ. ნ. იონათამიშვილი, საქ. სსრ ხელოვნების დამს. მოღვაწე დოცენტის მ. შ. ო. კაკულია, საქ. სსრ ხელოვნების დამს. მოღვაწე კ. სურმავა, საქ. სსრ ხელოვნების დამს. მოღვაწე რ. შაფოთოშვილი, საქ. სსრ სახალხო არტისტი კ. მახარაძე, საქ. სსრ დამსახურებული არტისტები გ. სალარაძე და ბ. კობახიძე, აჭარის ასსრ ხელოვნების დამს. მოღვაწე, უფრ. მასწ. გ. უორდანია, უფრ. მასწავლებლები: გ. სარჩიმელიძე, ნ. კანდელავი, ნ. გახავა, შ. გაწერელია, მ. კუჭუხიძე, ლ. კაპანაძე, ლ. მირცხულავა, ვ. ანდრონიკაშვილი ვ. კიკნაძე, ვ. ქართველიშვილი მასწავლებელი ნ. ჩიტაია და სხვ. ყველა ესენი გვერდით ამოუდგნენ დიდი პედაგოგიური გამოცდილების შექმნების უფროს თაობას, მათსავე აღმზრდელებს და მათთან ერთად განაგრძეს პედაგოგის საპატიო მოვალეობის შესრულება. ისინი უდიდესი ზრუნვითა და სიფაქიზით წარმართავენ ახალგაზრდა შემოქმედთა აღზრდას საბჭოთა თეატრის რეალისტურ პრინციპებზე. თეატრალურ ინსტიტუტში დგას მომავალი მსახიობის, რეჟისორის და თეატრმცოდნის იდეურ-პროფესიული აღზრდის საკითხი. აქ თეატრის მომავალი მოღვაწე სპეციალობასთან ერთად ღრმად ეუფლება მარქსისტულ-ლენინურ მსოფლიხედველობას, რაც მათ მოღვაწეობას აძლევს მტკიცე იდეურ მიმართულებას. მომავალი მსახიობისა და რეჟისორის შემოქმედებით აღზრდას საფუძვლად უდევს კ. სტანისლავსკის სისტემა, რაც პრაქტიკულად შემდეგნაირად ხორციელდება: სწავლების პირველ წელს მომავალი მსახიობი ეცნობა და ეუფლება მსახიობის შემოქმედების პირველად ელემენტებს; მეორე კურსზე სტუდენტი მუშაობს ნაწყვეტებზე, მესამე და მეოთხე კურსებზე საკურსო და საღიპლომო

მხატვრული  
გენერალი

## სპექტაკლებში იგი მუშაობს მთლიან, დასრულებულ მხატვრული სახეზე.

ამგვარად, თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულ მსახიობს უკვე აქვს სცენურ სახეზე მუშაობის ერთგვარი გამოცდილება, სწორედ ამ მიზნით ხორციელდება სპექტაკლები ინსტიტუტის სცენაზე. ასეთსაც პრაქტიკას გადის მომავალი რეჟისორიც ინსტრუტის კედლებშივე. თეორიული საგნების ღრმა და საფუძვლიან შესწავლასთან ერთად, მესამე და მეოთხე კურსზე მათ საშუალება ეძლევათ პრაქტიკულად სტუდენტებთან განახორციელონ მცირე ფორმის პიესების დადგმები, ხოლო მეხუთე კურსზე კი ისინი სადიპლომო სპექტაკლებს დგამენ უკვე თეატრში პროფესიონალ მსახიობებთან.

სასწავლო რეპერტუარის საკითხს ინსტიტუტში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. თავისი არსებობის მთელ მანძილზე თეატრალური ინსტიტუტი შემოქმედებით კადრს ყოველთვის ზრდიდა მოწინავე დრამატურგიაზე და ამით შესანიშნავ ტრადიციას უქმნიდა მომავალ თაობას, რომ იგი კანონზომიერად მისულიყო იმ თანამედროვე თემების ასახვამდე, რაც ბოლო წლებში დაიდგა ინსტიტუტში საკურსო და სადიპლომო სპექტაკლებად.

ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, გ. ერისთავის, ა. ცაგარლის, ვ. ფშაველას, დ. კლდიაშვილის, შ. დადიანის, ა. ჩეხევრის, ა. ოსტროვსკის. ნ. გოგოლის, უ. შექსპირის, კ. გოლდონის, ბომარშეს და განსაკუთრებით მ. გორკის მაღალმხატვრულ დრამატურგიაზე აღზრდილმა სტუდენტობამ შესძლო ინსტიტუტის სცენაზე წარმატებით განხორციელებინა პ. კაჯაბაძის, ვ. გაბისკირიას, მ. მრევლიშვილის, ბ. ლავრენევის, კ. სიმონოვის, ა. აფინოგენოვის, ი. ფუჩიკისა და სხვათა პიესები.

განსაკუთრებით დიდია გორკის დრამატურგიის როლი ინსტიტუტის სტუდენტთა იდეურ-მხატვრული სახის ფორმირებაში. „მდაბიონი“, „უკანასკნელნი“, „მზის შვილები“, „ვასა უელეზნოვა“, „მოხუცი“, „ფსკერზე“, არაერთხელ წარმატებით განხორციელებულა ინსტიტუტის სცენაზე. ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ ინსტიტუტის სპექტაკლმა „მდაბიონი“ (გ. ტოვსტონოვის კლასი) გორკის პიესების საკავშირო დათვალიერებაზე 1945 წელს მაღალი შეტასება დაიმსახურა. აღსანიშნავა ისიც, რომ ბოლო წლებში ჩვენი ინსტიტუტის სპექტაკლებმა დიდი წარმატებები მოიპოვეს საკავშირო დათვალიერებებზე. ასე, მაგალითად: 1958 წელს მოსკოვში სადიპლომო სპექტაკლების პირველ საკავშირო დათვალიერებაზე ინსტიტუტმა ორი სპექტაკლი უჩვენა: ა. კრონინის „იუპიტერი იცი-

ნის“ (შედაგოვ ა. მიქელაძის კლასი) და აფხაზურმა ჭგუფმა ა. ცაგარელის „ციმბირელი“ (სსრ კავშირის სახალხო არტისტ პროფ. აკ. ხორავას კლასი). ორივე სპექტაკლის პროფესიონალურმა ღონებმ უიურის მაღალი შეფასება დაიმსახურა.

1966 წელს სარეჟისორო ფაკულტეტის სტუდენტთა ნამუშევრების საკავშირო დათვალიერებაზე მოსკოვში სარეჟისორო ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტ გ. ქავთარაძის ნამუშევარს -ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელს“ პირველი ადგილი მიეკუთვნა.

1969 წელს ლენინგრადში ლენინის დაბადების 100 წლისთავი-სადმი მიძღვნილ თანამედროვეობის ამსახველ რეპერტუარზე დადგმულ სადიპლომო სპექტაკლების საკავშირო დათვალიერებაზე სადიპლომო სპექტაკლმა ა. გერაძის „ჩევნ ვიცოცხლებთ“ („შმინდანები ჯოგორეთში“, ხელ. დამს. მოღვაწის ი. კაკულიას კლასი), კვლავ მაღალი შეფასება დაიმსახურა და განსაკუთრებული ჯილდოთი იქნა აღნიშნული მისი დამდგმელი და მონაწილენი, რაც სსრკ კულტურის სამინისტროს განსაკუთრებულ ბრძანებაში იყო აღნიშნული.

ცხადია, მხოლოდ კლასიკური დრამატურგია და თანამედროვე თეატრიკის რეპერტუარი საკმარისი არ იქნებოდა ახალგაზრდა საბჭოთა ხელოვანის იდეურ-მხატვრული სახის ჩამოსაყალიბებლად. ამისათვის საჭირო იყო მათი მეცნიერული ცოდნით შეიარაღება, რის-თვისაც ინსტიტუტში სწარმოებს დიდი სამეცნიერო-კვლევითი, მუშაობა, როგორც კათედრებზე და ამ კათედრებთან არსებულ კაბინეტებში, ისე სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების ხაზით. ინსტიტუტის პედაგოგების მიერ იწერება სპეციალური სამეცნიერო შრომები და სახელმძღვანელოები. დღემდე დაწერილია ასეთი სახის 200-ზე მეტი შრომა და სახელმძღვანელო. მათი უმრავლესობა გამოცემულია სახელმწიფო გამომცემლობების მიერ როგორც ქართულ, ასევე რუსულ ენაზე. მაგალითად: ი. თავაძის — „ვ. ი. ლენინი ჰეგელის „ლოგიკის მეცნიერების შესხებ“, დ. ალექსიძის — „მსახიობის აღზრდის საკითხები“ გ. მრევლიშვილის — „სასცენო მეტყველების ფონეტიკური საფუძვლები“, აკ. ფარავას — „ლადო მესხიშვილი“, დ. ჯანელიძის — „ქართული თეატრის ისტორია უძველესი დროიდან მე-19 საუკუნის მეორე ნახევრამდე“, „ქართული თეატრის მოქლე მიმოხილვა“, „სახიობა“, ე. გუგუშვილის — „აკაკი ხორავა“, „თეატრალური პორტრეტები“, „ბოლშევიკური პრესა და თეატრი“, ე. გუგუშვილის და დ. ჯანელიძის — „კ. მარჯანიშვილის სახელმწიფო თეატრი“, ე. თოთურიძის — „ელეონორა დუბე“, გ. სარჩიმელიძის — „გრიმი“, ნ. შალუტაშვილის — „გრიბოედოვის თეატრი“, „დიალი მეგობრობის ფურცლები“, „ოსტროვ-



სკი ქართულ სცენაზე“, ნ. ურუშაძის „ვ. ანგაფარიძე“, „ცაცა მუშაობაში ჯიბი“, „ს. თაყაიშვილი და სხვ. სამეცნიერო მუშაობაში სტუდენტთა და სახმარებლად ჩამულია თეატრის ისტორიის და მსახიობის ოსტომბისა და რეჟისორის კაბინეტები, სადაც ინსტიტუტის კურს-დამთავრებული თეატრმცოდნეები: ე. გელდიშვილი, მ. გოგსაძე, ე. დავითაძე და ე. პოპოვა მუშაობენ. ამ კაბინეტებში თეატრის ისტორიის კათედრის ხელმძღვანელობით მომზადდა და გამოიცა „კ. მარგანიშვილის კრებული“ I და II ტომები. თეატრის ისტორიის კათედრის პედაგოგებთან ერთად კაბინეტებში მომუშავე თეატრმცოდნეები მუშაობენ ქართული საბჭოთა თეატრის სახელმძღვანელოს შედგენაზე და ს. ახმეტელის შემოქმედებითი მემკვიდრეობის შესწავლაზე. დიდად ეხმარება სტუდენტობას სამეცნიერო მუშაობაში მარქსიზმ-ლენინიზმის კაბინეტი, სადაც ინტენსიურ მუშაობას წარმოებენ მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის პედაგოგები — ღოც-თ. კოსტანაშვილი, შ. გოგიძე, ღოც. ნ. ცხაკაია და კაბინეტის გამგეთ. ჩიკვაძე.

დიდად ეხმარება სტუდენტობას და პროფესორ-მასწავლებლებს სამეცნიერო მუშაობის წარმოებაში ინსტიტუტის ბიბლიოთეკა, რომელიც დაკომპლექტებულია უნიკალური წიგნებით ინსტიტუტის პროფილის მიხედვით და თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ თეატრის ისტორიასა და თეორიაში დღეისათვის მთელს ქალაქში იგი წარმოადგენს ერთადერთ ადგილს, სადაც თავმოყრილია ამ დარგის შესანიშნავი კოლექცია, სისტემატურად ივსება მისი ფონდები თეატრალური კადრების იდეური და ესთეტიკური ორგანიზაციების საჭირო ახალი ლიტერატურით. აქ ჩვენ არ შეგვიძლია განსაკუთრებით არ აღვნიშნოთ ბიბლიოთეკის გამგის რ. მიქელაძის დამსახურება ბიბლიოთეკის უნიკალური ფონდის შექმნაში. ბიბლიოთეკაში წლების მანძილზე მუშაობდნენ ე. არჩევანიძე, ტ. ლამბაშიძე, თ. ასათიანი, ი. ლორთქითანიძე, ხოლო ამჟამად მუშაობენ ე. წულუკიძე და ლ. მეგვაბიშვილი.

ინსტიტუტი ყოველთვის ფართედ ეხმაურება საზოგადოებრივი მოვლენების დიდ ფაქტებს და ღირსშესანიშნავ თარიღებს, რაც ასახვას პოულობს ინსტიტუტში მოწყობილ სამეცნიერო სესიებსა, თეორიულ კონფერენციებსა და საჯარო სხდომებში. ასე, მაგალითად, დიდი გამოხმაურება ჰპოვა ინსტიტუტში დისკუსიაში თემაზე — „ლრმად შევისწავლოთ და შემოქმედებითად განვავითაროთ კ. ს. სტალისლავსკის მემკვიდრეობა“ და დისკუსიაში სასცენო მეტყველების საკითხებზე, რასაც სპეციალური სხდომები მიეძღვნა. სამეცნიერო სესიები მიეძღვნა კ. ს. მარგანიშვილის დაბადების 90 წლის-

თავს, გ. ერისთავის დაბადების 150 წლისთავს, მ. გორქის დაბადების 100 წლისთავს, კ. მარქსის დაბადების 150 წლისთავს, ოქტომბრის რევოლუციის 30, 40, 50 წლისთავს, ქართული თეატრის აღდგენის 100 წლისთავს, ბ. ბელინსკის გარდაცვალების 100 წლისთავს, მოსკოვის სამხატვრო თეატრის 50 წლისთავს, მოსკოვის მცირე თეატრის დაარსების 125 წლისთავს, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს, უ. შექსპირის დაბადების 400 წლისთავს და სხვ. მრავალი ღონისძიებაა ჩატარებული სტუდენტთა თეორიული ცოდნის გასამდიდრებლად; ამავე მიზნით ინსტიტუტის რეაქტორატი ზოგადი განათლების და ჰუმანიტარული საგნების წასაკითხად იწვევდა დიდ სპეციალისტებს, რომელთა შორის იყვნენ: არ. ჩიქობავა, ს. ჭანაშვილი, ი. აბულაძე, თ. ბეგიაშვილი, ტ. ხუნდაძე, რ. ნათაძე, გრ. კიკნაძე, ბ. ულენტი, ვ. ბერიძე, ლ. რჩეულიშვილი, პ. ზაქარაია, ი. ციცოშვილი, ი. მეგრელიძე, თ. ყაუხებიშვილი, დ. ბენაშვილი, შ. მესხია, ო. ჯინორია, ჭ. ჰუმბოლიძე, აკ. გაწერელია, გ. ნადირაძე, გ. უორდანია, ე. აბაშიძე, მ. დუდუჩიავა, ჭ. ჭორგია, გ. ნათიძე და სხვა.

ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოში შედიოდნენ და დიდად უწყობდნენ ხელს ინსტიტუტში სამეცნიერო დონის ამაღლებას ისეთი გამოჩენილი მეცნიერები, როგორებიც არიან აკადემიკოსები: ა. ჩიქობავა, გ. ჩუბინაშვილი, გ. ახვლედიანი, ს. ყაუხებიშვილი, ი. გრიშაშვილი, შ. ამირანაშვილი, რ. ნათაძე.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ ქართული თეატრის და მუსიკის მოღვაწეები, რომლებიც წლების მანძილზე მუშაობდნენ თეატრალურ ინსტიტუტში და დიდი ამაგი დასდეს თეატრალური ახალგაზრდობის აღზრდის კეთილშობილურ საქმეს: სსრკ სახალხო არტისტები ვ. ანგაფარიძე, ს. ინაშვილი და ს. ზაქარიაძე, საქ. სსრ სახალხო არტისტი ვ. ყუშიტაშვილი, საქ. სსე ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები: კ. ანდრონიქაშვილი, გ. ლვინიაშვილი, ვ. ტაბლიაშვილი, ს. ჭელიძე, ა. გამსახურდია, ნ. შვანგირაძე, დ. ჭავრიშვილი, ს. გერსამია, გრ. ჩხივაძე, პ. ხუჭუა.

